საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის
სახელობის ისტორიის და ეთნოლოგიის ინსტიტუტი

ალექსანდრე ნაზღაიძე

ჩიბოგიძეთა გვარი

თბილისი
2005

რედაქტორი: **ვალერიან ითონიშვილი**
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

რეცენზენტები: **იური სიხარულიძე**
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი
ლევან ფრუიძე
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი

რეკომენდირებულია დასაბეჭდად საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს მიერ 2003 წლის 17 სექტემბერს (ოქმი № 8).

წინასიტყვაობის მაგიერ

ალექსანდრე ნაზღაიძის ნაშრომი "ჩიგოგიძეთა გვარი" მიზნად ისახავს ერთ–ერთი ქართული გვარის ჩიგოგიძეების ისტორიის შესწავლას. ქართულ საგვარეულოთა წარსულის შესწავლა აუცილებელი და სასურველი პირობაა საქართველოს ისტორიის რიგი უცნობი ფაქტების დასადგენად, ჩვენი ქვეყნის ისტორიის ახალი მასალით გასამ–დიდრებლად. ალნიშნულ ნაშრომს თავისი წვლილი შეაქვს საქართველოს ისტორიის შესწავლაში.

ვფიქრობ, ავტორმა საინტერესო ნაშრომი შექმნა, რომლის გამოქვეყნება სასურველად მიმაჩნია. ნაშრომი დააინტერესებს თავისი ქვეყნის ისტორიით დაინტერესებულ პირებს.

ავტორს უკვე გამოქვეყნებული აქვს რიგი გამოკვლევები ცალკეულ ქართულ გვართა ისტო–რიების შესახებ და კვლავაც აპირებს ამ მხრივ მუშაობის გაგრძელებას. ვუსურვებთ წარმატებას.

აკადემიკოსი მარიამ ლორთქიფანიძე

რედაქტორისაგან

უძველესი ისტორიული წარსულის მქონე მსოფლიოს ცივილიზებულ ერებს შორის ქართველ ხალხს ფრიად საპატიო ადგილი აქვს დამკვიდრებული, რაც განპირობებულია ერთ ტერიტორიაზე მუდმივი მრავალსაუკუნოვანი ცხოვრებით და ერის ისტორიული განვითარებით გვაროვნული წყობილებიდან დღემდე. რად ღირს თუნდაც ის უტყუარი ფაქტი, რომ ქართველ ერს გააჩნია უწყვეტი სახელმწიფოებრიობის 3000 წლოვანი ისტორია, ფარნავაზის მეფობიდან (ძვ. წ. IV–III სს.) საფუძველი ეყრება ქართული ანბანის შექმნას და მწიგნობრობის განვითარებას. ისიც ხომ ცნობილია, რომ მართლმადიდებელი ქრისტიანობა საქართველოში 20 საუკუნეს მოიცავს, ხოლო ქართული ლიტერატურის განვითარება სულ ცოტა 15 საუკუნეს მოითვლის.

ქართველი ერის სრულფასოვანი ისტორიულ–ეთნოგრაფიული შესწავლისათვის გასათვალისწინებელია არა მარტო წერილობითი წყაროების, არამედ საქართველოს ყველა მხარის, ეთნოგრაფიული რეგიონის თუ სოფლის მონაცემების კომპლექსური კვლევა. ამ მიმართულებით წარმოებულ ძიებაში მნიშვნელოვანი ადგილი მიეკუთვნება მეტ–ნაკლები სიდიდის მქონე ქართული გვარების წარმოშობისა და ისტორიული განვითარების შესწავლას როგორც არსებული საისტორიო წყაროების, ისე ეთნოგრაფიული, ფოლკლორული, ტოპონიმიკური და ონომასტიკური მასალების გამოყენებით. ეს, თავის მხრივ, მკვლევარს მრავალმხრივ ნაყოფიერ და ობიექტურ მუშაობას ავალდებულებს.

ესოდენ რთული და საპასუხისმგებლო ამოცანის წინაშე აღმოჩნდა ეთნოგრაფი და კარტოგრაფი ალექსანდრე ნასღაიძე, რომელმაც ჩიგოგიძეთა სახელოვანი გვარის შესწავლა ითავა და ეს მისია პირნათლად შეასრულა.

ავტორმა მოიძია ხელმისაწვდომი წერილობითი წყაროები, საარქივო მასალები, დააფიქსირა დღემდე შემორჩენილი სეპირსი–ტყვიერი გადმოცემები, ჩაატარა საფუძვლიანი სამეცნიერო კვლევა და კომპლექსური ანალიზის საფუძველზე შექმნა ენობრივად გამართული, ჭეშმარიტი საგვარეულო მატიანე. წიგნს ღირსებას მატებს ავტორის მიერ შედგენილი გენეალოგიური სქემები, რაც ნათლად წარმოგვიდგენს ჩიგოგიძეთა გვარის განშტოებებს, ხოლო მის მიერვე მაღალ პროფესიულ დონეზე შედგენილი რუკები გვიჩვენებს ამ განშტოებათა განსახლებას გურიაში, საქართველოში და მსოფლიოში.

ეს ნაშრომი ერთი საგვარეულოს ისტორიისა და თანამედროვეობის წარმოჩენის ცდას წარმოადგენს, რაც ამ ცდის წარმატებით განხორციელების ნიმუშად გვესახება. ალ. ნასღაიძის გამოკვლევა ქართული საისტორიო მეცნიერების მნიშვნელოვანი შენაძენია, რამდენადაც გვარის ისტორია ერის ისტორიის ერთ–ერთი შემადგენელი ნაწილია. მითუმეტეს იმის გათვალისწინებით, რომ ღირსეული გვარისშვილობა თავისთავად ღირსეული მამულიშვილობაც არის.

ავტორი არა მარტო ჩამოთვლის, არამედ დოკუმენტური სიზუსტით ლაკონურად აღწერს კიდეეაც ჩიგოგიძეთა გვარის თითოეული გამოჩენილი პიროვნების საქმიანობას. ნაშრომში მან თავისი ადგილი მიუჩინა უსამართლოდ რეპრესირებულ მრავალ

ადამიანსაც, რომლებიც კომუნისტურ რეჟიმს ემსხვერპლნენ მხოლოდ იმის გამო, რომ აზნაურული გვარის წარმომადგენლები იყვნენ, ეკლესიას თუ სამხედრო საქმეს ემსახურებოდნენ და სამშობლოს კეთილდღეობისათვის იღწვოდნენ.

პარალელურად ნაშრომში გაცოცხლებულია ქვეყნისა და ხალხის სამსახურში თავდადებულ მებრძოლთა სახელები როგორც რევოლუციამდელ ეპოქაში, ისე საბჭოურ პერიოდში. ფაქტობრივი მონაცემების მიხედვით, მრავალი მათგანი ბრძოლის ველზე გმირული სიკვდილით დაეცა, გადარჩენილნი კი კვლავ მხედრულ საქმიანობას განაგრძობდნენ.

ავტორმა ჩემი აზრით, შექმნა უტყუარ ფაქტებზე დაფუძნებული ნაშრომი – გვარის მატიანე, რომლის მნიშვნელობა არ განისაზღვრება მარტოოდენ დღევანდელობით. ამ წიგნს უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება მომავალი თაობებისათვის, რომელთაც სიამაყის გრძნობა დაეუფლებათ თავიანთი მოდგმის, სახელოვან წინაპართა მოღვაწეობის და ყველა ეპოქის გამოჩენილ მამულიშვილთა ღვაწლის გაცნობით. გვარის მატიანე მათ შთააგონებს, რომ წინაპართა დაეწყება უსვისტომობის ტოლფასია.

ვალერიან ითონიშვილი
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

გურია და გურულები

გურია დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი ულამაზესი ისტორიულ-გეოგრაფიული და თავისებურებებით აღსავსე ეთნოგრაფიული მხარეა, რომელიც განვითარებული და გვიანი ფეოდალიზმის ხანაში საქართველოს ადმინისტრაციულ და პოლიტიკურ ერთეულს წარმოადგენდა.

დიდი ქართველი ისტორიკოსი, ეთნოგრაფი, გეოგრაფი და კარტოგრაფი ვახუშტი ბაგრატიონი გურიის შესახებ ასე მოგვითხრობს:

„ხოლო გურია არა წილი ეგროსისა არს, არამედ ქართლოსისა. გარნა ოდეს გამეფდა ლეონ აფხაზთა, მაშინ ამათ არღა-რა ინებეს მორჩილება ოძრახოს ერისთვისა, რომელნი იყვნენ ძენი სტეფანოზ ბაგრატიონისანი, ადარნასე და ძე მისი აშოტ. ამათგან განდგნენ და მიერთნენ ლეონს, ვითარცა სახელი აცხადებს: „გურიობით განდგომილნი“ და ენა მათი, რომელსა უბნობენ, მესხურ და არა იმერთაებრ არამედ მსგერის ამ გურიას: აღმოსავლით მთა ფერსათი, სამცხე-გურიას შორისი და საჯავახოს შორისი სამხრით ჭოროხის მდინარე და მთა მცირე, ფერსათიდამ ჩამოსული დასავლით, აჭარა-გურიას შორისი, ჩდილოთ რიონი გურია-ოდიშს შორისი და დასავლით შავი ზღვა...

ხოლო სიგრძე გურიისა არს სამცხის მთის თხემიდამ ზღვამდე და განი ჭოროხიდამ რიონამდე. ჰავით არს კეთილი და მშუენი. საფხულის ცხელი, წვიმიანი, სოელი, ნოტიო. ზამთარი თბილი, დიდთოელიანი ვითარცა იმერეთი და უყივნო; მთა გორიანი, აგარაკიანი, ტყიანი და მცირე ველოვანი. ნაყოფიერებენ ყოველნი მარცვალნი, კუალად აბრეშუმი, ბამბა არა ეგდენ. ცხოვარნი მცირედ, სხუა პირუტყუნი თვინიერ აქლემისა, ჯოგად. მროწლედ, მრავალნი და მძოვარნი ზამთარ-საფხულს უმწყემსოთ. ფრინველნი მრავალნი,

ხილნი მრავალნი და ბათომს, გონიას და ერგეს ნარინჯი, თურინჯი, ლიმონი, ზეთისხილი, ბროწეული მრავალი და ზღვის კიდესაცა. ვენახნი მაღლარნი, ღვინო კეთილი, მსუბუქი და შემრგო, გემოიან-სუნიანი მრავლად". (ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, „ქართლის ცხოერება," IV, თბ. 1973, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, გვ. 789, 792, 793).

საქართველოს ერთიანობის ჟამს გურია საერისთავოს წარმოადგენდა, ხოლო „შემდგომად განყოფისა" იგი სამთავროდ ჩამოყალიბდა. გურიის ერისთავნი და შემდეგ ერისთავთ-ერისთავნი, ვარდანისძეთა ფეოდალური სახლის წარმომადგენლები იყვნენ, რომლებიც XV საუკუნის II ნახევრიდან გურიის სამთავროს წარმოშობასთან ერთად გურიის მთავრებად იქცნენ და გურიელებად იწოდნენ. გურიელთა მთავარი რეზიდენცია იყო ოზურგეთში, ხოლო მთავარი საგვარეულო საძვალე იყო მაცხოვრის ფერისცვალების ეკლესია შემოქმედში. ოზურგეთს გარდა გურიელებს რეზიდენციები ჰქონდათ: ნაგომარში, უჩხობში, თხინვალში, ლიხაურში, ბაილეთში, ბათომში, ჩაქვში, აღამბარში, ჩეხედენაში და სხვა.

თავიდან გურიის სამთავროს ფარგლებში შედიოდა აჭარა და ჭანეთის აღმოსავლეთი ნაწილი. ჭანეთში გურიის მთავრის სამფლობელოთა საზღვარი აღწევდა „რკინის პალომდე" (ამჟამად ადგილი ქალაქ რიზეს დასავლეთით, თურქეთში).

1512 წელს სამცხის ათაბაგებმა გურიელებს აჭარა და ჭანეთი წაართვეს, მაგრამ 1535 წელს იმერთა მეფის ბაგრატ III-ის დახმარებით გურიელებმა შესძლეს ამ ადგილებში თავისი გავლენის აღდგენა.

XVI საუკუნის I ნახევარში გურიის ლაშქარმა ორი მძიმე მარცხი განიცადა, ჯიქეთში (ოდიშის ლაშქართან ერთად) და ბასიანში (იმერეთის და ქართლის ლაშქართან ერთად). ბასიანში სოხოისტას ველზე ქართველთა მარცხის შემდეგ (1545 წელი), ოსმალებმა სამ-

ცხის დიდი ნაწილი დაიკავეს და აჭარა-ჭანეთის მხარეც წაართვეს გურიელებს.

1609 წელს გურიის ლაშქარმა შესძლო ოსმალების განდევნა აჭარიდან და ქვემო გურიაში ბათომიც დაიკავა, მაგრამ ამჯერად გურიელის დრო'შა ჭოროხს გაღმა ვერ გაეიდა. ჭანეთი მტრის ხელში დარჩა. ოსმალები ჭოროხზე გამაგრდნენ და როგორც კი ყიზილბაშებთან ომი გაასრულეს, შაეი ზღვისპირეთისაკენაც მოიცალეს და ამ ადგილებში ჯარების თავმოყრა დაიწყეს. სულ მალე 1614 წელს გურიის მთავარი იძულებული გახდა აჭარა უბრძოლველად დაეთმო ოსმალებისათვის და მძიმე ხარკიც ეკისრა. XVIII საუკუნის 20-იან წლებში ოსმალები ბათომშიც გაბატონდნენ და მთელ ქვემო გურიასაც შემოეჭიდნენ.

1757 წელს გურიის ლაშქარმა იმერთა, ოდიშართა და აფხაზთა ლაშქრის მხარდამხარ თავგანწირვით იბრძოლა ხრესილის ველზე, სადაც სასტიკად დაამარცხეს და უკუაქციეს იმერეთში შემოჭრილი ოსმალები.

1784 წელს იმერლების და გურულების გაერთიანებულმა ლაშქარმა ქვემო გურიაში დაბუდებულ ოსმალებს შეუტია. აიღეს და დააქციეს ქობულეთის და ჩაქვის ციხეები, მაგრამ ვერ აიღეს ბათომი, ხოლო უკანდახევისას ნაჭიშკრალთან დიდი მარცხიც განიცადეს. ქვემო გურია ოსმალთა ხელში დარჩა. საზღვარი მდინარე ჩოლოქზე დადგინდა.

გვიანი ფეოდალიზმის ხანაში დასავლეთ საქართველოს, განსაკუთრებით იმერეთის, გურიის და სამეგრელოს მოსახლეობას დიდ უბედურებად დაატყდა თავს ისეთი ფართოდ გაერცელებული და სამარცხვინო მოვლენა, როგორიც იყო „ტყვის სყიდვა". ათასობით ქართველი იყიდებოდა ოსმალეთის მონათა ბაზრებზე. ამ საქმეს ხელს უწყობდა, როგორც ახალციხის საფაშოდან გადმოსული მარ-ბიელი რაზმების თარეში ისე ადგილობრივი ფეოდალების

ურთიერთქიშპი და ადამიანებზე მონადირე ავაზაკების სიმრავლე.

გურიის სამთავროში ადამიანთა გამტაცებლებისთვის სასჯელად ცეცხლში დაწვა შემოიღეს (იმერეთის სამეფოში ასეთი დამნაშავეებისათვის თვალების დათხრა და შეჩვენება იყო სასჯელი), მაგრამ ამით ტყვეთა სყიდვა არ შეჩერებულა.

ისტორიკოსი ნიკოლოზ დადიანი თავის „ქართველთა ცხოვრებაში“ XVIII საუკუნის II ნახევრის გურიის შესახებ მოგვითხრობს: „დიდად ეკირთებოდნენ თათარნი გურიასა და აწუხებდნენ მიხდომითა, კაცის კელითა და წარყვანითა ტყვეთა, ცხინლა და ყოველი გურია აღიხოცა, რომელნიმე თათარსა მიყავდა და რომელნიმე განიბნენ იმერეთად თუ ოდიშად“.

XIX საუკუნიდან საქართველოში რუსთა ბატონობა იწყება. რუსებმა ჯერ ქართლ–კახეთის სამეფო გააუქმეს (1801 წელი) ტფილისის გუბერნია დაარქვეს და რუსეთის იმპერიას შეუერთეს, შემდეგ იმერეთის სამეფო გააუქმეს (1810 წელი), ქუთაისის გუბერნია დაარქვეს და რუსეთის იმპერიას შეუერთეს. 1828 წელს რუსებმა გურიის სამთავროც გააუქმეს, ოზურგეთის მაზრა უწოდეს და ქუთაისის გუბერნიას ანუ რუსეთის იმპერიას შეუერთეს. ამრიგად ამ დროისათვის გურია როგორც პოლიტიკური ერთეული აღარ არსებობს. მისი ნაწილი, ქვემო გურია (ქობულეთი–ბათუმის მხარე) ოსმალთა ბატონობის ქვეშ იყო, ხოლო ოსმალებს გადარჩენილი გურიის ნაწილი (ოზურგეთის, ლანჩხუთის, ჩოხატაურის მხარე), რუსთა ბატონობის ქვეშ მოექცა.

1841 წელს რუსთა საბატონო გურიაში აჯანყებამ იფეთქა. ეს იყო სოციალური და ეროვნული ჩაგვრით გამწარებული ხალხის გაბრძოლება, რომელიც თავიდანვე მარცხისათვის იყო განწირული. რუსთა ჯარებმა აჯანყება სისხლში ჩაახშეს.

1854–1855 წლებში და 1877–1878 წლებში რუსეთ–ოსმალეთის ომებში ქრისტიანი და მაჰმადიანი გურულები ორივე მხარეს გურული

აქტიურობით იბრძოდნენ.

XIX–XX საუკუნეთა მიჯნაზე გურიაში ფართოდ გავრცელდა სოციალ-დემოკრატიული იდეები, ფირალობა და ტერორიზმი. საქართველოს სხვა მხარეებთან შედარებით გურიაში მეტი აქტიურობა იყო 1905 წლის რევოლუციის დროსაც (ბახვის მანიფესტი).

არსებობს მონაცემები იმის შესახებ, რომ საქართველოში რუსთა ჯარების მეორედ შემოსელამდე (1921 წელი) გურიის პარტიულ ორგანიზაციებში იმდენი „მენშევიკი" იყო, რამდენიც „ბოლშევიკი" საქართველოში, სომხეთში და აზერბაიჯანში ერთად.

არც ბოლშევიკების ნაკლებობა იყო გურიაში. რუსეთის მიერ საქართველოს მეორედ დაპყრობის, ეგრეთწოდებული „გასაბჭოების" შემდეგ გურიის ბოლშევიკებმა განსაკუთრებით იაქტიურეს ანტირელიგიურ კამპანიაში. გურული სისწრაფით განადგურდა გურიის ეკლესია-მონასტრები, უფრო მეტად ვიდრე საქართველოს სხვა მხარეებში. ღვთის მადლით ჩვენს დროში ადამიანები უკვე აცნობიერებენ მაშინ ჩადენილ ცოდვებს. დაწყებულია ეკლესიათა აღდგენის პროცესი.

გურიის მკვიდრთა ეთნოფსიქოლოგიის საინტერესო დახასიათებას იძლევა ვახუშტი ბაგრატიონი:

„ხოლო კაცნი და ქალნი მგზავსნი იმერთა ზნითა, ქცევითა, სარწმუნოებითა რჯულითა. სამწყსონი აფხაზეთის კათალიკოზისანი, შემოსილნი ეგრეთვე და შუენიერებითაცა, არამედ უმეტეს კეკელანი და რბილნი, ენა ტკბილმოუბარენი, უმეტეს წიგნის სიტყვით, (მესხთაებრ), არამედ ქართულისავე ენისანი და არა სხვისა. ბრძოლასა შინა შემმართებელნი და იმერთა თანა ვერ შემდარენი, უქურდალნი, უავაზაკონი; ვითარცა ოდიშარნი, სტუმრის მოყუარენი და კეთილად შემწყნარენი, კეთილ-მგალობელ-მწიგნობარნი, მშვიდნი, არამედ მყის გულმწყრალნი." (ვახუშტი ბაგრატიონი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 793).

გურულების ზუსტი დახასიათება მოგვცა იაკობ გოგებაშვილმაც, თავის ეთნოგრაფიულ ნარკვევში „საქართველო და მისი ნაწილები", სადაც ვკითხულობთ: „ერთს გურულს გლეხსა ჰკითხეს: „აზნაური ხარ თუ ყაზახიო?" და იმან თავმომწონედ უპასუხა: „კაი კი ვარ, კილავ, და რას ჩიევი შენ, აზნაური ვარ თუ არაო?" რაჭველი გლეხკაცი ასე ვერ უპასუხებდაო – დასძენს იაკობ გოგებაშვილი და განაგრძობს: „გურული კაცი მეტად ჩქარია ლაპარაკში, მოძრაობაში, საქმეში, უყვარს პირდაპირობა და სძულს პირმოთნეობა, სწრაფად მოსდის გული, მაგრამ ჩქარავე მშვიდდება. სიმარჯვე და გულადობა გურულისა ნაქებია. გურულები ნიჭიერნი, მარდნი და მარჯვენი არიან ყველაფერში და განათლებასაც ძლიერ მისდევენ." (იაკობ გოგებაშვილი, საგანძური, თბ. 1986წ. გვ. 261, 264).

საინტერესოა გოგებაშვილის ცნობები გურიის მოსახლეობის ყოფის, კულტურის და სამეურნეო საქმიანობის თავისებურებების შესახებ: „მდინარეების დაყოლებაზედ მიწას ასეთი ნაყოფიერება აქვს, რომ ამისი თანასწორი იშვიათად მოიპოვება ჩვენს ქვეყანაში, მაგრამ ერთი უდიდესი ნაკლულევანება აქაურის ბუნებისა არის ის, რომ ჰაეა აქ არ არის საღი, მეტადრე რიონის ახლო, სუფსისა და სხვა წყლების ღელეებში. დაბალსა, ჭალიანსა და ჭაობიანს ადგილებში ზაფხულში იშვიათად სახლობა იქნება, რომ ციებ–ცხელება არ ეწვიოს. მუცელა ხომ კიდეე უფრო მუსრს აელებს ხალხს. ცუდი თვისება აქაურის ბუნებისა და დიდი ჭირი მოსაელისათვის არის უდროეოდ წვიმები....

სარჩო საკმაოდ მოდის გურიაში. პური გურულებს არ მოჰყავთ და არც ჰხმარობენ, მხოლოდ რიონის მხარესედ მცირედს სთესენენ. თაეი სარჩო და საზრდო გურულებისა ღომი და სიმინდია...

მიწას გურიაში უმეტეს ნაწილად ჰბარავენ ან სთოხნიან, გუთნით კი ძვირად ჰხვნენ...

ვენახები გურიაში ძლიერ ბევრია. ვენახები აქ სულ მაღლარია,

ესე იგი ვაზები მაღალ ხეებზეა გაბმულ-გამობმული. ვაზებს მოელა სრულიად არა აქვს, მაგრამ მაინც ზოგიერთს ადგილებში ჩინებული ღვინო დგება...

პირუტყვის მოშენებას გურულები არ მისდევენ, რადგან საძოვარი ადგილები არა აქვთ.

გურული სადგომად იყენებს ფიცრის სახლს, ანუ ოდას, ზემოდან ჰხურავს ყავარსა ან კრამიტსა და სადგომს ითბობს ბუხრით ან კერით.

ტანისამოსად გურული იცვამს ჩოხასა და თავზედ იხვევს ყაბალახსა. ჩოხის მაგივრად კიდევ ჰხმარობენ გურიაში მოკლე კოხტა გადასაცმელს წელამდინ – „ჭონიას", რომელიც ძლიერ ჰშვენის გურულებს. ეს ჭონია ხმარებაშია უფრო გურიის სამხრეთ ნაწილებში, ოსმალეთის მოსაზღვრე სოფლებში." (იაკობ გოგებაშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 263, 264).

გურიაში სამი საეპისკოპოსო კათედრა მოქმედებდა: ხინოს, ჯუმათის და შემოქმედის, ყოველთვის სამი ეპისკოპოსი ჰყოფათ გურიაში: ხინოწმინდელები, ჯუმათელები და შემოქმედელები. მაგრამ XVIII საუკუნეში ქვემო გურიაში ოსმალების გაბატონების და ისლამის გავრცელების გამო ხინოს საეპისკოპოსო კათედრამ არსებობა შეწყვიტა. უკანასკნელი ხინოწმინდელი ჩოლოქს გადმოღმა გურიაში გადმოიხვეწა.

ღმერთისა და საქართველოსათვის და ბაგრატიონთა ტახტის ძლიერებისათვის, „ყამსა ერთობისასა" გურიის ფეოდალური არისტოკრატია „ქუდზე კაცად" და გურიის მსახურეული გლეხობა „კომლზე კაცად" გამოდიოდა ერთიანი ქართული ლაშქრის „მემარჯვენედ მიმსელელ-მცემელთა" სადროშოში, სრულად ლიხთ-იქითის ქართველებთან და აფხაზ-ჯიქებთან ერთად, ხოლო „ყამსა განყოფისასა" გურიის ლაშქარი ხან იმერთა მეფის დროშის ქვეშ, ხან ცალკე, გურიელის დროშის ქვეშ გამოდიოდა გარეშე მტრის

წინააღმდეგ და გურიის დაცვით და გურიის ციხეთა მაგრებით საქართველოსაც იცავდა.

მაგრამ „უამსა განყოფისასა“ ესეც ხდებოდა, რომ გურიის ლაშქარი ძმათამკვლელ შინაომებში მონაწილეობდა და მტერს საქმეს უადვილებდა. ეს მთელი საქართველოს სატკივარი იყო. აკი სწერდა მკაცრი სიმართლით მაშინდელი მემატიანე: „საქართველო თავად ცოტა იყო და მერმე მრავლათ დაყოფილი და ერთმანერთნის ურჩნი და ქიშპნი, მტერნი ერთმანეთისა მარბევნი და მაწყინარნი“. („ქართლის ცხოვრება“).

გურიის ფეოდალური არისტოკრატიის უმაღლეს საფეხურზე იდგა გურიის მთავართა სახლი. მთავრის ტიტული იყო „ხელმწიფე გურიელი“. გურიელის სახლის შვილებს „ბატონიშვილები“ და „გურიელისძეები“ ერქვათ ისინი საუფლისწულო ყმა-მამულს ფლობდნენ.

მთავართა სახლის შემდეგ, ფეოდალური იერარქიის მომდევნო საფეხურზე იდგნენ თავადები, რომლებიც ფლობდნენ სათავადო მამულებს, ციხეებს, კარის ეკლესიებს, საგვარეულო სასაფლაოებს. მათ დაქვემდებარებაში იყო სათავადოს ადმინისტრაცია. თავადებს ეკუთვნოდათ უმაღლესი თანამდებობები მთავართა კარზე: სარდლობა, სახლთუხუცესობა, მესტუმრეთუხუცესობა, მოურავობა და სხვა. გურიაში თავადები იყვნენ: გუგუნავები, მაჭუტაძეები, მაქსიმენიშვილები, ნაკაშიძეები, თავდგირიძეები, შალიკაშვილები, ამილახვრები და ერისთავ-შერვაშიძეები.

თავადების შემდეგ საფეხურზე უნდა მივიჩნიოთ „საპატიო კაცნი“ უამთა ვითარებით დამცრობილნი ძველი წარჩინებულნი: ბერიძენი, კვერღელიძენი, ბერეჟიანნი, ჯაყელნი, კობალაძენი.

გურიის ფეოდალთა ყველაზე მრავალრიცხოვან ფენას შეადგენდნენ: სამთავრო ანუ ტახტის, საეკლესიო და სათავადო ანუ საბატონო აზნაურები. ამათგან ზოგიერთი (მცირე ნაწილი)

გვარჩამომაქლობით დიდებული აზნაურები ციხესა და კარის ეკლესიას ფლობდნენ. უმეტესობას საშუალო შეძლების აზნაურობა წარმოადგენდა, ხოლო და მცირე ნაწილი გურიის აზნაურებისა ხელმოკლე, უყმო აზნაურები ყოფილან. აზნაურები ინიშნებოდნენ: მელვინეთუხუცესის, მოურავის, მამასახლისის, მოლარეთუხუცესის და სხვა შედარებით დაბალ თანამდებობებზე. აზნაური მთავრის, თავადის ან ეკლესიის (უშუალო ბატონის) ნებართვის გარეშე ვერ გაასხვისებდა ნაბოძებ მამულს. აზნაურების უმთავრესი საქმიანობა დაკავშირებული იყო სამხედრო საქმესთან, ფეოდალური ლაშქრის ბირთვი სწორედ აზნაურებისაგან შედგებოდა. გურიის აზნაურთა სრული სია არ არსებობს. რუსების მიერ 1850 წ. შედგენილ სიაში დასახელებულნი არიან შემდეგი აზნაურები: აბულაძეები, ანთაძეები, ასათიანები, ბერიძეები, ბებურიშვილები, ბოლქვაძეები, გეგიძეები, გოთუები, გიგინეიშვილები, გოგიბერიძეები, გოგიტიძეები, გოგოლიშვილები, დუდუჩავები, დუმბაძეები, ებრალიძეები, თავართქილაძეები, თაყაიშვილები, თიკანაძეები, იორაიშვილები, კომახიძეები, კვაშალები, კანდელაკები, მგელაძეები, მდივნები, მაჭუტაძეები, მანელიშვილები, მახარაძეები, მგალობლიშვილები, ნაკაიძეები, ჟორდანიები, ულენტები, ტუსკიები, უჯმაჯურუძეები, ღლონტები, ყენიები, შარაშიძეები, შალიკაშვილები, შევარდნაძეები, ჩხიკეიშვილები, ჩხატარაიშვილები, ცქიტიშვილები, წითლიძეები, ჭილაძეები, ჭყონიები, ხუტულაიშვილები, ჯაყელები. (გურიის თავადთა და აზნაურთა ოჯახების სია, (რუსულად) 1850წ.).

რუსების მიერ შედგენილ აზნაურთა სიაში გამორჩენილია გურიის უამრავი აზნაურული გვარი. სამართლიანობისათვის უნდა აღინიშნოს, რომ 1850 წელს შედგენილ რუსულ სიაში ვერ მოხვედნენ ქვემო გურიის აზნაურები. ისინი რუსეთის იმპერიის ფარგლებს გარეთ ცხოვრობდნენ, სხვა იმპერიის – ოსმალეთის ფარგლებში.

გურიის აზნაურობაზე მეტ-ნაკლებად სრული წარმოდგენის

შესაქმნელად წარმოდგენილ სიას უნდა დაემატოს შემდეგი გურული აზნაურები (ქვემო გურულების ჩათვლით): სალუქვაძეები, ცეცხლაძეები, ქათამიძეები, კვერღელიძეები, კაიკაციშვილები, მახაძეები, ბერეჟიანები, ართომელაძეები, ციკაძეები, კობალაძეები, შაქარაშვილები, ჯაშები, წილოსნები, გიორგაძეები, პაპუნაიშვილები, თამაზაიშვილები, ქარციკაძეები, წუწუნავები, ფარხანაძეები, მელიმონაძეები, იაშვილები, ქობულიები, ბეჟანიშვილები, ხალვაშები, ცინცაძეები, ბიბინეიშვილები, ქიქაევები, ლომყრუიშვილები, ზვამბაიები, ბატატუნაშვილები, შარაბიძეები, აბაშიძეები, რამიშვილები, სანიგიძეები, მსხალაძეები, ვაშალომიძეები, სურმანიძეები, ტოკვები, იობიშვილები, მამულაიშვილები, თოიძეები, სურგულაძეები, სარჯველაძეები, ნიკოლაიშვილები, ნანაძეები, ჩიგოგიძეები და სხვა (ქ.ჩხატარაიშვილი, ზ. ჭუმბურიძე, გურიის თავად-აზნაურთა სია, გურიის თავადთა და აზნაურთა ოჯახები, თბ. 1993 წ. გვ. 14, 15).

ჩიგოგიძეთა გვარსახელი

ჩიგოგიძის – როგორც გვარსახელის ეტიმოლოგიური ახსნის რამდენიმე ვერსია არსებობს.

პირველი ვერსიის მიხედვით, თითქოს, „ჩიგოგიძე“ სახეცვლილი ფორმაა და სინამდვილეში ძველად „ჩეგოგიძე“ ყოფილა. თითქოს „ჩეგოგი“ ჭანურად თეთრ გიორგის ნიშნავს და აქ უკვე ორი ალბათობაა: ან ჩიგოგიძეთა წინაპარს ერქვა გიორგი და რატომღაც (ეთქვათ ჭაღარის გამო) თეთრ გიორგის ეძახდნენ (მაგალითად შავი დათუა – შავდათუაშვილი) ან ჩიგოგიძეების წინაპრები ჭანეთში ლოცულობდნენ თეთრ გიორგიზე ანუ ჩეგოგიზე და თეთრგიორგიშვილობა ანუ ჩეგოგიძეობა გაუგვარდათ (როგორც ოდესღაც წმინდა გიორგის ყმებს სამეგრელოში გეგეჭკორობა გაუგვარდათ).

გურიაში ჩიგოგიძეთაგან სხვა მოსაზრებაც გამოითქვა საკუთარი გვარსახელის შესახებ. კერძოდ, გურულ ჩიგოგიძეებში ეჭვი არსებობს სიტყვა „ჩიგოგი“-ს იტალიურობის შესახებ, მაგრამ ვერ ამბობენ, როგორ ითარგმნება ეს სიტყვა იტალიურად ან თუ ითარგმნება საერთოდ.

ეს ვერსია შეიძლება ისეთივე სერიოზულობით განვიხილოთ, როგორც გურიაში გავრცელებული მოსაზრება გურული გვარების: ჯიბუტის, ულენტის, ღლონტის იტალიური წარმომავლობის შესახებ.

არსებობს ჩიგოგიძეთა გვარსახელის მნიშვნელობის ახსნის მესამე ვერსიაც: ჩიგოგიძეთა გვარსახელის ფუძეში ფიქსირებულია წინაპრის საკუთარი სახელი.

ჩიგო – საკუთარი სახელია კაცისა, ხოლო: ჩიგია, ჩიგიანა, ჩიგინა, ჩიგილა, ჩიგლა, ჩიგონა, ჩიგორა და ჩიგოგა ამავე სახელის კნინობით–მოფერებითი ფორმებია. ეს სახელები ფართოდ იყო გავრცელებული ძველად მთელ საქართველოში.

პირსახელ ჩიგოს რამდენიმე კნინობითი ნაირსახეობა გვხვდება როგორც ძველი ისე დღემდე არსებული ქართული გვარსახელების ფუძეებში, მაგალითად:

ჩიგიანაშვილი – (იხსენება 1708 წლის ვახტანგ ბატონიშვილის სიგელში, ს.კაკაბაძე, საისტორიო საბუთები, ტ.V, ტფ. 1913, გვ. 18)

ჩიგილაშვილი – (ამჟამად ახმეტაში და თელავში გაერცელებული თუშური გვარი)

ჩიგონიძე – (იხსენება ტბეთის სულთა მატიანეში, თ.ენუქიძე თბ. 1977).

ჩიგორავა – (იხსენება 1628 წლის ლევან II დადიანის სიგელში, პირთა ანოტირებული ლექსიკონი, ტ.II, თბ.1993, გვ.6).

ჩიგოგაა – (ნ.ჯღომიდავა, კოლხური გვარ–სახელები, თბ. 1996, გვ. 171).

ჩიგოგა – (ამჟამად ზესტაფონში და ბაღდათში გაერცელებულ იმერული გვარი).

ჩიგოგიძე – (ამჟამად ჩოხატაურში და ოზურგეთში გაერცელებული გურული გვარი).

ამ გვარებს სრულიად სხვადასხვა წარმომავლობა აქვთ. აქ საუბარი ეხება გვარსახელთა ფუძეების მსგავსებას და არა გვარმოდენილობათა სისხლით ნათესაობას.

წარმოდგენილი ანთროპონიმური მასალა საფუძველს იძლევა იმისათვის, რომ გვარსახელი „ჩიგოგიძე“ ეპონიმური ტიპის ანუ წინაპრის საკუთარი სახელიდან მომდინარე გვარსახელად მიეიჩნიოთ.

სტრუქტურის მიხედვით „ჩიგოგიძე“ კომპონენტური ტიპის გვარსახელია. შედგება ორი ნაწილისაგან, ფუძე – პირსახელ ჩიგოს კნინობითი ფორმა, ჩიგოგა და გვარსახელის მაწარმოებელი სუფიქსი – ძე.

ამრიგად გვარსახელი ჩიგოგიძე სემანტიკურად ეპონიმური ტიპის და სტრუქტურულად კომპონენტური ტიპის გვარსახელია, ისევე როგორც ქართული გვარსახელების დიდი უმრავლესობა.

ვიმეორებთ, ეს მხოლოდ ვერსიებია. ჩვენ, რა თქმა უნდა, მესამე ვერსიისკენ ვიხრებით, მაგრამ მკითხველს უფლება აქვს თავისი შეხედულებისამებრ ის ვერსია ირწმუნოს, რომელიც უფრო დამაჯერებლად მოეჩვენება.

ჩიგოგიძეთა გვარმოდენილობა

საიდან და როდიდან იწყება ჩიგოგიძეთა გვარმოდენილობა, სად არის ჩიგოგიძეთა გვარის ბუდე–პირველსაცხოვრისი და როდის აქეთ გაუგვარდათ ჩიგოგიძეობა? აი კითხვები, რომლებზეც პირველ რიგში უნდა გაიცეს პასუხი.

ჩიგოგიძეები გურიაში ორ სოფელს ასახელებენ, სადაც მათ წინაპრებს უცხოვრიათ. ამ ორ სოფელში ჩიგოგიძეები დღესაც უფრო მეტი რაოდენობით ცხოვრობენ, ვიდრე სხვა სოფლებში. ესენია: ჩოხატაურის რაიონის სოფელი ინტაბუეთი და ამავე რაიონის სოფელი ახალშენი. ზოგი ჩიგოგიძე ახალშენის ნაცვლად ხიდისთავს იტყვის წინაპართა პირველსაცხოვრისად. ამის მიზეზი უბრალოა: ახალშენი ჯერ უბანი ყოფილა ხიდისთავისა და მერე ხიდისთავის თემში შემავალ სოფლად გადაქცეულა.

თუ გვარი ერთი წინაპრისაგან მომდინარეობს, ე.ი. თუ გვარი ერთძირიანია და შეყრილობით არ შექმნილა, მაშინ ბუდეც ერთი უნდა ჰქონდეს და არა რამდენიმე.

ორივე დასახელებულ სოფელში და გურიის სხვა სოფლებშიც ჩიგოგიძეთა გამოკითხვის შედეგად ამ საკითხზე შემდეგის თქმა შეიძლება: ჩიგოგიძეებმა არაფერი იციან გვარის შეყრილობაზე, არც უარყოფენ და არც ადასტურებენ, უბრალოდ არაფერი იციან, ანუ მათგან არავის არაფერი სმენია იმის შესახებ, რომ ჩიგოგიძეების გვარს როდისმე რომელიმე გვარი ან შტო–გვარი შემოერთებოდეს, შემოყროდეს და მათი გვარი მიეღოს. შეყრილობა ბევრ ქართულ გვარში მომხდარა, ჩიგოგიძეებშიც რომ მომხდარიყო, თაობათა ხსოვნაში აუცილებლად შემორჩებოდა. ასეთი რამ არ ავიწყდებათ არც დამხვედურთა და არც მოსულთა შთამომავლებს. რადგან ჩიგოგიძეების გვარში შეყრილობის შესახებ ხსოვნა არ არსებობს,

ალბათ, არც მომხდარა. სამაგიეროდ, გამოკითხული ჩიგოგიძეები ერთხმად აღნიშნავენ, რომ მათ ყველას ერთი წინაპარი ჰყავდათ, რაც იმას ნიშნავს, რომ ისინი ერთმანეთის სისხლით ნათესავები არიან, ხოლო ჩიგოგიძეთა შტო-გვარები ერთი ხის ტოტებს წარმოადგენენ.

ამრიგად, ჩვენ წინაშეა ორი ფაქტი:

ჩიგოგიძეების გვარში არ არსებობს ხსოვნა შეყრილობის შესახებ:

ჩიგოგიძეები საერთო წინაპრისაგან შთამომავლობას ადას-ტურებენ.

ამ ფაქტებზე დაყრდნობით შეგვიძლია ჩიგოგიძეთა გვარი ერთძირიან გვარად მივიჩნიოთ.

ერთძირიან გვარს ერთი ბუდე უნდა ჰქონდეს. ჩვენს შემთხვევაში ან სოფელი ინტაბუეთი იყო ჩიგოგიძეთა ბუდე-სოფელი და ახალშენში შემდეგ გადავიდნენ, ან პირიქით, ჯერ ახალშენში უცხოერიათ და მერე დამკვიდრებულან ინტაბუეთში. ჩიგოგიძეთა ერთძირიანი გვარის წარმოშობის ადგილად ორ სხვადასხვა სოფელს ვერ მივიჩნევთ.

ჩვენ ხელთ არსებული ეთნოგრაფიული, გეოგრაფიული, ტოპონ-იმიკური და საარქივო-დოკუმენტური მასალის ანალიზის შედეგად ჩვენ უფრო პირველი ვერსიის სასარგებლოდ ვიხრებით, ანუ მიგვაჩნია, რომ ჩიგოგიძეთა წინაპრები ჯერ სოფელ ინტაბუეთში მკვიდრობდნენ და შემდეგ მათი ნაწილი გადავიდა ახალშენში. გურიისა და საქართველოს სხვა სოფლებში ჩიგოგიძეები ამ ორი სოფლიდან გაიშალნენ.

რა არგუმენტები არსებობს ამგვარი ვარაუდისათვის:

სოფელ ინტაბუეთში ყველა ჩიგოგიძე მიიჩნევს, რომ სწორედ ინტაბუეთია ჩიგოგიძეთა პირველსაცხოვრისი, მაშინ როდესაც სოფელ ახალშენში ჩიგოგიძეთა მხოლოდ ნაწილი მიიჩნევს ახალშენს წინაპართა უპირველეს საცხოვრისად, ხოლო ნაწილი იზიარებს

ინტაბუეთელ ჩიგოგიძეთა აზრს. ეს ფაქტი შემთხვევითი არ უნდა იყოს.

ინტაბუეთში ძველად ორი სასაფლაო და სამი ეკლესია ყოფილა, ხოლო ახალშენში ერთი სასაფლაო და ერთი ეკლესია. ინტაბუეთის ძველი სასაფლაო დიდი ხნის გაუქმებულია. გადმოცემით, ინტაბუეთის ღვთისმშობლის ძველი ეკლესია (ღვთისმშობლის ახალი ეკლესიაც არსებობდა ინტაბუეთში), ბოლშევიკების შემოსევამდე დიდი ხნით ადრე, ოსმალების ერთ-ერთი შემოსევის დროს დამწვარა, თითქოს, XVI საუკუნეში. ასეთივე ან მსგავსი გადმოცემა ვერ გაიგონეთ ახალშენელებისაგან. ეფიქრობთ, ინტაბუეთი შედარებით ძველი სოფელია და ახალშენი შედარებით ახალი. შესაბამისად, მოსახლეობაც ინტაბუეთში ძველი უნდა იყოს და ახალშენში – ახალი.

მიგვაჩნია, რომ სოფლის გეოგრაფიულ მდებარეობასაც გარკვეული მნიშვნელობა აქვს. სოფელი ინტაბუეთი ზღვის დონიდან უფრო მაღლა მდებარეობს და უფრო მთიანი სოფელია, ხოლო ახალშენი ზღვის დონიდან უფრო დაბლა მდებარეობს და ვაკის სოფელია. თუ ჩვენი ისტორიის ცალკეულ ხანმოკლე მონაკვეთებს მხედველობაში არ მივიღებთ, საერთოდ, საქართველოში მოსახლეობის მიგრაციული ნაკადები ზევიდან ქვევით – მთიდან ბარისკენ იყო მიმართული.

ინტაბუეთში ჩიგოგიძეთა გვარ-სახელთან დაკავშირებული სამი მიკროტოპონიმი არსებობს: „ჩიგოგიძის ადგილი“ – ტყე, „მირონისეს ფართობი“ – მირონისე ჩიგოგიძის მამული, „ჩიგოგიძნების გორა“ – გორა სამოსახლო; ხოლო ახალშენში მხოლოდ ერთი მოიძიეს: „ჩიგოგიძის ნასახლარი“ – ბეგი ჩიგოგიძის ნასახლარი.

ინტაბუეთში XIX საუკუნის აღწერის მასალებით ჩიგოგიძეთა 11 კომლს უცხოვრია, ხოლო ახალშენში – 9 კომლს. ბოლო მონაცემებითაც ინტაბუეთელი ჩიგოგიძენი ჭარბობენ ახალშენელებს

(შესაბამისად 16 და 12 კომლი). ინტაბუეთში ჩიგოგიძეთა 4 შტო-გვარი არსებობს, ხოლო ახალშენში – 3. ამასთან ახალშენელი ჩიგოგიძეების შტო-გვარები (გურულად საგინებლები) უფრო ახლო ნათესაურ კავშირში ჩანან ერთმანეთთან, ვიდრე ინტაბუეთელ ჩიგოგიძეთა შტო-გვარები. მაგალითად, საარქივო მასალების მიხედვით, 1810-იან წლებში დაბადებული ახალშენელი სეიმონ ჩიგოგიძე აღმოჩნდა ახალშენის ჩიგოგიძეთა ორი შტო-გვარის საერთო წინაპარი, მაშინ როდესაც ინტაბუეთის ჩიგოგიძეებში თაობებს XVIII საუკუნის შუა ხანებამდე მიეადევნეთ თვალი, მაგრამ ვერც ერთი შტო-გვარი ერთმანეთთან ვერ დაეკავშირეთ. როგორც ჩანს ინტაბუეთის ჩიგოგიძეებში შტო-გვარები უფრო ადრე განშტოებულან, ვიდრე ახალშენის ჩიგოგიძეებში.

ყველა ეს არგუმენტი საფუძველს იძლევა ვარაუდისთვის, რომ ჩიგოგიძეთა ერთძირიანი გვარის ბუდე-პირველსაცხოვრისად ანუ გვარის დაბადების ადგილად გურიის სოფელი ინტაბუეთი მივიჩნიოთ.

ამით პასუხი გაეცა ჩვენს მიერ დასმულ პირველ შეკითხვას, თუ საიდან იწყება ჩიგოგიძეთა გვარი. პასუხგაუცემელი გვრჩება მეორე შეკითხვა: როდიდან იწყება ჩიგოგიძეთა გვარი? ამ საკითხთან დაკავშირებით საყურადღებოა ჩიგოგიძეებში შემორჩენილი ერთი გადმოცემა, რომელიც, ნაწილობრივ, უკვე ვახსენეთ.

სოფელ ინტაბუეთში უკანასკნელი მღვდლის, იობი ჩიგოგიძის სახლის (იმ ადგილზე ამჟამად მღვდელი იობის შთამომავალი ზაალ ჩიგოგიძე ცხოვრობს) ზევით მაღალი გორაა წამომართული. ამ გორაზე ღვთისმშობლის ძველი ეკლესია მდგარა, რომელიც თითქოს XVI საუკუნეში დამწვარა (სავარაუდოდ, ეკლესია ხისგან ყოფილა ნაგები). გადმოცემით, ამ ეკლესიის ეზოში სასაფლაო ყოფილა (სასაფლაოს ადგილზე ბოლშევიკების დროს მანდარინის ბაღი გაუშენებიათ). ინტაბუეთელი ჩიგოგიძეები ამბობენ, იმ სასაფლაოზე მხოლოდ ჩიგოგიძეები იმარხებოდნენ, ინტაბუეთში იმხანად სხვა არც

არაეინ ცხოერობდაო. თუ ამ გადმოცემას სარწმუნოდ მიეიჩნეეთ, არა მარტო ჩიგოგიძეთათეის ყოფილა სოფელი ინტაბუეთი ბუდე-პირეელსაცხოერისი, არამედ ინტაბუეთისთეისაც ჩიგოგიძენი პირეელმოსახლედ გეეელინებიან. რადგან XVI საუკუნეში და შესაძლოა, უფრო ადრეც, ისინი ინტაბუეთის ღეთისმშობლის ძეელი ეკლესიის სასაფლაოზე იმარხებოდნენ. გამოდის, რომ ჩიგოგიძეთა გეარი ოთხი ან მეტი საუკუნისაა.

უნდა აღინიშნოს, რომ ეს არის ზეპირი გადმოცემა და ჩეენ არაეითარი საბუთი არ გაგეაჩნია ამ გადმოცემის დასამტკიცებლად ან უარსაყოფად.

ჩეენს ხელთ არსებულ საარქიეო-დოკუმენტურ მასალაში ჩიგოგიძეთა გეარი XVIII საუკუნის I ნახეერიდან მოიხსენიება. თაეისთაეად ჩნდება კითხეა: თუ გეარი XVI საუკუნიდან ან უფრო ძეელი დროიდან არსებობს, რატომ არ იხსენიება ქართეულ წერილობით წყაროებში XVIII საუკუნემდე? ეინ იცის, იქნებ იხსენიებოდა და ალბათ ასეც იქნებოდა, მაგრამ ეამრაეი დოკუმენტი განადგურებულია: დაკარგულია გურიის მთაერის სახლის არქიეი, რომელიც მრაეალ ძეირფას, მათ შორის ტყაეზე დაწერილ საბუთს შეიცაედა, აღარ არსებობს გურიის დროებითი მმართეელობის და ოზურგეთის მაზრის არქიეები, რომელიც 1896–1898 წლებში ყასბებს მიჰყიდეს, რაც გადარჩა 1920–1921 წლებში ქაღალდად გაყიდეს. ამაეე ხანებში ასეეე ქაღალდად გაიყიდა გურიის სასოფლო საზო-გადოებების არქიეებიც. რამდენიმე წლით ადრე რუსეთში გაიზიდა და იქ სამოქალაქო ომის ხანძარში განადგურდა ქუთაისის საგუ-ბერნიო არქიეის ნაწილი, რომელშიც დასაელეთ საქართეელოს და მათ შორის გურიის საბუთებიც იყო. დაკარგულია გურიის სამიეე საეპისკოპოსო კათედრის (ხინოს, შემოქმედის, ჯუმათის) საბუთები. ეამრაეი საეკლესიო დავთარი და ეკლესიაში შემონახული საბუთი განადგურდა გურიის ეკლესიებთან ერთად ბოლშეეიზმის წლებში.

დავუბრუნდეთ ჩვენ ხელთ არსებულ პირველ დოკუმენტს. ეს არის ბატონიშვილის, გიორგი გურიელისშვილის შეწირულობის წიგნი ქრისტეს საფლავისადმი. საბუთი ინახება თბილისში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის, კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში (ფონდი Hd, საბუთი № 11274).

-ქ ესე წიგნი დაგიწერე და მოგეცი მე, ბატონიშვილმა გიორგი თქუენ, ქრისტეს საფლავს, ასე რომე პირველად თქუენი ყმა ტატუაშვილს და მამულაიშვილს გაეყიდა და იავანა კილაძე შაუეშვილი დაეხსნა. ახლათ პატრიაქის კაცი, ექვსარიხოსი სვიმეონ მევიდა და სამართლით ვალაპარაკე და თქუენი ყმით დახსნილი კაცი დაგირჩა და სამართლითაც გაგიჩნდა: და ახლათ თქუენთვის შამოგვიწირავს. ქრისტეს საფლავო, იავანა კილაძე მისი ცოლი და შვილი. შამოგვიწირავს ჩუენ, ბატონიშვილს გიორგის, ჩუენდა გასაძლიერებლად და ძეთა და ასულთა მოსაცემად, სულისა ჩუენისა საოხად. ახლათ, პატრიარხის მაგიერი კაცის პირობით. რახან რომ მისი დარჩი, იესე ნაკვერცხალისეული მამული და ორი ჭური მოგვიცემია და წელიწადში ქრისტეს საფლავს თითო ფრულს ბეგარას მისცემდე, და სხვა რაც ჯვარის მამა მევიდეს, რავარც სხვას სამსახური ემართოს, შენც ისე ემსახურებოდე, სხვა რაც საქუეყნო საქმე მევიდეს, თვარამ ჩუენგან არაფელი გეთხოვებოდეს, ქრისტეს საფლავისთვის შემიწირავხარ.

არის ამის მოწამე და გამრიგე: პატრიახის მაგიერი კაცი, ექვსარიხოსი სვიმეონ, ჩიქოგიძე იესე, გიგინეიშვილი ოთარი და იესე, კუპრაძე გიორგი, თავართქილაძე ოთარი და ბეჟია და ლორთქმანიძე ბერი და გიორგი ოსი.“

გვარსახელი „ჩიქოგიძე“ ისევე როგორც „ლორთქმანიძე“ საქართველოში არც ძველად არსებობდა და არც ამჟამად არსებობს. მიგვაჩნია, რომ საბუთში მოწმეებად დასახელებული ჩიქოგიძე იესე იგივე ჩიგოგიძე იესეა, ხოლო ლორთქმანიძე ბერი იგივე

ლორთქიფანიძე ბერი.

საინტერესოა მოწმეთა ვინაობა. ეის გეერდით იხსენიება იესე ჩიგოგიძე. ექესარიხოსი სვიმეონ ამაღე საბუთის მიხედვით პატრიარქის გამოგზავნილი კაცი – სასულიერო პირია. სხვა საბუთების მოშველიებით ირკვევა, რომ გიგინეიშვილები და თავართქილაძეები გურული აზნაურები იყვნენ, კუპრაძეების წოდება არ ჩანს, მაგრამ მათ ჯუმათის ჯვარისმტერთველობა მოუდიოდათ, ლორთქიფანიძეები თავადები და აზნაურები იყვნენ იმერეთში და აზნაურები გურიაში.

საეარაუდოა, რომ საბუთში მოწმეებად დასახელებულ პიროვნებათაგან ზოგი გიორგი ბატონიშვილის სამსახურში იდგა და ზოგი სასულიერო პირი იყო. იესე ჩიგოგიძე მათ საზოგადოებაში იხსენიება და მიგვაჩნია, რომ იგი ან გურიელის ან ეკლესიის სამსახურში იდგა. შესაძლებელია მას წოდებაც გააჩნდა. ჩიგოგიძეებში არსებობდა აზნაურული შტო. (ამაზე ქვემოთ გვექნება საუბარი).

წარმოდგენილი საბუთი უთარიღოა. ექვთიმე თაყაიშვილი ამ შეწირულობის წიგნს XVIII საუკუნის საბუთად მიიჩნევს, ხოლო შოთა ბურჯანაძე XVIII საუკუნის I ნახევრით ათარიღებს. მას მიაჩნია, რომ ბატონიშვილი გიორგი გურიელიშვილი გურიის მთავრის მამია გურიელის ძმა იყო. მამია გურიელი XVIII საუკუნის I ნახევარში მთავრობდა (შ. ბურჯანაძე „ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა და გურია–ოდიშის სამთავროებისა“ თბ. 1964, ტ. I, გვ. 145–146).

ქართული ფეოდალიზმის მკვლევარი ქალბატონი ოლღა სოსელია ეთნოგრაფიულ მასალაზე და გვიანფეოდალური ხანის დოკუმენტებზე დაყრდნობით აღადგენს რა დასავლეთ საქართველოში და კერძოდ, გურიაში სოციალურ ურთიერთობათა სურათს, გურიაში თავად ერისთავ–შერვაშიძეთა აზნაურების ჩამოთვლისას აზნაურ ჩიგოგიძეებსაც იხსენიებს (ო.სოსელია

„ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან“ თბ. 1973, ტ. I, გვ. 263).

ჩიგოგიძეები თუ ერისთავ-შერვაშიძეთა აზნაურები იყვნენ, ამის შესახებ ჩიგოგიძეთა გვარში ხსოვნა არ შემორჩენილა, ასეთი რამ ჩიგოგიძეებს არ გაუგიათ, თუმცა ადასტურებენ, რომ მათ გვარში არსებობდა აზნაურული შტო. ისინი ამბობენ, რომ ძველად ზოგი ჩიგოგიძე გლეხი ყოფილა და ზოგი – აზნაური.

რა დამსახურებისათვის მიულიათ ჩიგოგიძეებს აზნაურობა, ამის შესახებ ჩიგოგიძეები ვერაფერს ამბობენ. არ არსებობს არავითარი გადმოცემა. როგორ მოხდა, რომ ერთძირიან გვარში სოციალური განსხვავება არსებობს. ჩიგოგიძეები ხომ ერთი წინაპრის შთამომაველებად მიიჩნევენ თავს.

ასეთი მდგომარეობა უცხო არაა სხვა ქართულ გვართათვის. არსებობს გვარები, რომელთა წარმომადგენლები ქართული ფეოდალური კიბის სამივე საფეხურზე მდგარან (აბაშიძეები, წერეთლები, ჩიქოვანები...), ერთი გვარის წევრები იყვნენ გლეხებიც, აზნაურებიც და თავადებიც.

აზნაურობა რომ ჩიგოგიძეთა საერთო წინაპარს მიეღო, მაშინ ეს წოდება მის ყველა შთამომავალზე გავცერლდებოდა, მაგრამ ასე არ მომხდარა. როგორც ჩანს, აზნაურობა ებოძა არა იმ „პირველ ჩიგოგიძეს“ არამედ მის ერთ-ერთ შთამომავალს, ხოლო სხვა შთამომავალნი, ამ გააზნაურებული ჩიგოგიძის ალალი ბიძაშვილები, ისევ გლეხებად დარჩნენ.

მკლავის და ვაჟობის დრო იდგა. ფიცის სწამდათ. ერთგულება ფასობდა.. თუ გლეხკაცს გუთნისდედობასთან ერთად იარაღის ხმარებაც ეხერხებოდა (ომი ხომ არ გვაკლდა და არც მშვიდობაში გვილხინდა), სადმე ღმერთისა და საქართველოსათვის ხმალს მარჯვედ მოიქნევდა, სახელი თავად გაუვარდებოდა და მეფეც აზნაურობას უბოძებდა. რა თქმა უნდა სხვა შემთხვევებიც იქნებოდა,

მაგრამ მეტწილად ასნაურობა დამსახურებით მიიღწეოდა. საქართველოს ისტორიაში მრავალი მაგალითი მოიძებნება ამის დასტურად.

ადრევე დაწყებულა ჩიგოგიძეთა გადასვლა გურიის სამთავროდან იმერეთის სამეფოში.

1809 წლის 22 მაისს შედგენილ თავდებობის წიგნში იხსენიება იმერეთში, თავად აგიაშვილთა მამულში მცხოვრები გურული ბასილიკა ჩიგოგიძე. საბუთი ინახება ქუთაისის მუზეუმის ფონდსაცავში (საბუთი № 1776–15).

„ქ. ესე სათავდებო წიგნი მოგართვი თქვენ, სარდალ–ციხისთავს ბატონს აგიაშვილს იოვანეს, დავითს და სეიმონს, მე ჩიგოგიძე ბასილიკამ გურულმა ასთე, რომ თქვენი კაცი ივანიკა სინოურიძის შვილი გოგიელა დაჭირული გყავდათ და ჩვენ თავდებათ დაუდექით და აუშვით. თუ სადმე ეს ჩემი ნათავდებევი კაცი სინოურიძე წაგვიდეს. მე ვიყო ამისი მომრთმევი და თუ ამ თავდებობაში გაგიმტყუნდე, ყოველად მოწყალე ხელმწიფის მხედრობის მან, მისმა მხედრობამ მომკითხოს.

არის ამისი მოწამე ციხის მოურავი ტყავაძე და მე. იაშვილს დავითს დამიწერია და მოწამეცა ვარ ამისი.

დაიწერა წიგნი ესე ქორონიკონს ათას რვაას და ცხრას, მაისის თერთმეტს„ (ო.სოსელია „მასალები კლასობრიბი ბრძოლის ისტორიისათვის ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოში" თბ. 1960. გვ. 50–51).

თავდებობა ფართოდ გავრცელებული მოვლენა იყო იმერეთში და საერთოდ დასავლეთ საქართველოში გვიანი ფეოდალიზმის ხანაში. გაქცეულ გლეხს თუ ბატონი დაიჭერდა, საქმეში ერეოდნენ ნათესავ–მოკეთეები და მეზობლები, თავდებად უდგებოდნენ და აშვებინებდნენ. ასეთი შინაარსის უამრავი საბუთი იწერებოდა, მაგრამ რაში ეკითხებოდა გურულ ბასილიკა ჩიგოგიძეს იმერეთში თავადი

აგიაშვილები თავის ყმას გოგიელა სინოურიძეს დაიჭერდნენ, თუ გაუშვებდნენ? სავარაუდოა, რომ ბასილიკა ჩიგოგიძე იმერეთში ცხოვრობდა. ის გოგიელა სინოურიძე მისი თანასოფლელი ან მოკეთე იყო და ალბათ, ამიტომ ჩაერია საქმეში. ესეც სავარაუდოა, რომ ალბათ, ბასილიკა ჩიგოგიძეს სიტყვა დაეჯერებოდა, რახან პირობის მიცემით კაცი გამოაშვებინა.

1815 წლის 2 იანვარს დაწერილ პირობის წიგნშიც იმერეთში გადმოსული ჩიგოგიძე იხსენიება. პირობის წიგნი მიუცია მღვდელს, თომა ქუთათელაძეს მღვდელ-მონაზონ ევასილისათვის. საბუთი ინახება თბილისში, ხელნაწერთა ინსტიტუტში (ფონდი Hd, საბუთი № 9989).

„ქ. ესე საუდეო წიგნი და პირობა მოგეცი მე ღუდელმა ქუთათელაძე თომამ შენ დეკანოზის ძეს ღუდელ-მონაზონს ევასილს და შენ შვილს ანატოლას, ესრეთ რომე ბატონმა მთავარ ეფისკოპოსმა სვიმონ წულუკიძისაგან ამომიყვანა და თავისი ეკლესიისათვის დამიკავა და შენ ამ საქმეშიდ შვამდგომელად იყავი სვიმონთან და დიდათ გაისარჯე და კიდეც გაარიგე და ამაშიდ ადგილს დაგპირდი და კიდეც მომიცემია. მამა ჩემს რომ ვენახი ქონდა თავისი ძმების პასარიონისა და ბერიკელეის გორაზე, მამა ჩემს რაც ერგებოდა, შენთვის მომიცემია ყოლის კაცის უსადეოთ და არც ჩემი ძე და მომავალი ამაში შენსა ძესა და მომავალს არ ედეოს და ვინ ამაში მოდავე მოგადგეს, პასუხის გამცემი ჩვენ ვიყოთ.

არის ამისი მოწამე ბატონის მთავარეპისკოპოსი მოძღვარი წინამძღვარი დავით ჩიგოგიძე, ჯვარის მტვირთველი ჩხეიძე ლაზარე და ჩხენკელი იოვანე და მე, მღვდელ-მონაზონს ღოღობერიძე ბერს სოფრომს დამიწერია და მოწამეცა ვარ ამისი, აღიწერა წელთ უფლისათა ჩყიე, იანვრის ბ. ეს ადგილი გრიგოლა დავითაშვილის გორაზე, მახობა მოურავის გორაზე და კიკოლა ქუთათელაძის გორაზე შვაში არის.“ (დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ. 1953, ტ. II გვ. 291).

მოწმეების ჩამოთვლისას იხსენიება „ბატონის მთავარეპისკოპოსი მოძღვარი წინამძღვარი დავით ჩიგოგიძე", ეს ადგილი ცოტა ბუნდოვანია. საბუთის მიხედვით დავით ჩიგოგიძე მთავარეპისკოპოსიც არის, მოძღვარიც და წინამძღვარიც. შეიძლება ჩაწერაში დაშვებულ მექანიკურ შეცდომასთან გვაქვს საქმე. თუ შეცდომას გამოვრიცხავთ, გამოდის, რომ დავით ჩიგოგიძე ქუთაისელი მთავარეპისკოპოსი ყოფილა. შეუძლებელი არაფერია. ერთი რამ კი ცხადია: XIX საუკუნის დასაწყისში მოღვაწე დავით ჩიგოგიძე ნამდვილად სასულიერო პირი იყო.

სასულიერო პირი ყოფილა ამავე საუკუნის შუახანებში მოღვაწე სერაპიონ ჩიგოგიძეც. იგი იხსენიება ხელნაწერთა ინსტიტუტში (H) კოლექციის №№ 920–ე ნომრით დაცულ ხელნაწერ წიგნში, „სამთვარიო"– ში, 43–ე გვერდის მინაწერ'ში: „ეკუთვნის სამთვარიო ესე მღვდელ–მონაზონს სერაპიონ ჩიგოგიძეს." მინაწერს თარიღი არ ახლავს, მაგრამ დათარიღებისათვის საყურადღებოა მისივე ხელით შესრულებული მეორე მინაწერი–ანდერძი, რომელშიც იხსენიება წიგნის გადამწერი დიაკვანი ბასილი ქურციკიძე: „აღიწერა წიგნი ესე სამთვარიო ხელითა ფრიად ცოდვილის ბასილ დიაკვნის ქურციკიძისათა, მასზედ ვითხოვ ყოველთა მხილველთა მიერ, რათა შენდობას მიბრძანებდეთ ღვთისათვის, ღვთისა მიერნო მამანო და ძმანო." წიგნი გადაწერილია 1844 წელს. მიგვაჩნია, რომ მღვდელ–მონაზონი სერაპიონ ჩიგოგიძე XIX საუკუნის შუა ხანების მოღვაწეა, მაგრამ ვერაფერს ვიტყვით, თუ სად მოღვაწეობდა, ან ჩიგოგიძეთა რომელ შტოს ეკუთვნოდა ეს პიროვნება.

შემდეგი საბუთი, რომელიც ჩიგოგიძეებს შეეხება, წარმოადგენს თხოვნა–საჩივარს.

1848 წლის 9 თებერვალს გურიის სოფელ გუთურში მცხოვრები აზნაური ტარიელ იესეს ძე ჩიგოგიძე არზით მიმართავს ოსურგეთის მაზრის უფროსს. საბუთის დედანი ინახება ხელნაწერთა

ინსტიტუტში (ფონდი Sd, საბუთი № 2694); ამავე საბუთის ასლი ინახება ჩოხატაურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა ფონდში (იბეჭდება პირველად).

„მის ბრწყინვალებას ოზურგეთის უეზდის ნაჩალნიკს უფალს ღვარდიის კაპიტანს და კავალერს რევაზ ივანეს ძეს კნიაზ ანდრონიკოვს.

ოზურგეთის უეზდის, ჩოხატაურის უჩასტკის სოფელსა გუთურს მცხოვრების საბატონო აზნაურის ტარიელ იესეს ძე ჩიგოგიძესაგან თხოვნა.

ივლისის კე–სა (25) რიცხვსა წარსულისა წლისასა მე მირთმეულითა ჩემ მიერ წინა მუადგილისადმი თქვენისა არძითა ვიჩიველე ვითარცა დაბრუნება უმართლოდ წართმეულისა ჩემისა საკუთრებისაგან პრაპორშჩიკის ალექსი ბერიძის მიერ ნივთებისა, რომლისა ქალიშვილი ყავდა უკვე გარდაცვალებულსა ძმასა ჩემსა გიტო ჩიგოგიძესა ცოლად. ეგრეთვე ნუ იქნების წართმეული გოგო იგი, რომელიც არს გაყიდული მის ჩემი ძმისა სიცოცხლეშიდ იმერეთს, გარნა რა განკარგულება ქვნილ არს, მე არა ფული ვიდრე აქამომდე არა გამიცხადებიეს, ხოლო მე ვარ სრულიად მოკლებული თვისა საკუთრებასა სრულიად ამ საქმეში ამისთვის განმეორებით ვსთხოვ თქვენს ბრწყინვალებას რათა მომეცეს მე კანონიერი კმაყოფილება აღწერილითა იმა წინა პირველისა ჩემისა არძისა შინა გარემოებითა ჩემისა მირთმეულისა ჩემ მიერ თქვენის მოადგილისადმი, რომელიცა როგორცა საგულისხმო არს საწარმოებელად არს რწმუნებულისა თქუენისა ბრწყინვალებისა უეზდის უპრავლენისა შინა ოზურგეთს.

არძა ესე შევთხზე და გადაეწერე აზნაურმა ბეჟუკი ჩიგოგიძემ. ჩყმჱ წელსა (1848) თებერვლის 9–სა. მთხოვნელი აზნაური ტარა ჩიგოგიძე“.

როგორც ვხედავთ, აზნაური ტარიელ ჩიგოგიძე ორ საქმესე

დაჟობს: ჯერ ერთი, ის ედავება მისი გარდაცვლილი ძმის სიმამრს აზნაურ ალექსი ბერიძეს, რომელსაც მისთვის „ნიეთები“ წაურთმევია (როგორც ჩანს, აქ საუბარი ეხება მისი რძლის, ბერიძის ქალის, მზითვებს, რომელიც, შესაძლებელია, დაქვრივების შემდეგ მამის სახლში დაბრუნდა), მეორეც : ტარიელ ჩიგოგიძე დავობს იმ გოგოზე (მოახლეზე), რომელიც მის ძმას ადრე იმერეთში გაუყიდია.

საბუთის დამწერი აზნაური ბეჟუკი, ანუ ბეჟან ჩიგოგიძე იხსენიება რამდენიმე წლით ადრე შედგენილ აღსარების მთქმელთა სიაში. ამ საინტერესო საარქივო დოკუმენტის სათაური ასეთია: „აღსარების მთქმელთა სია გურიის მაზრის სოფლის ინტაბუეთის წმინდის გიორგის ეკლესიისა ჩყლთ–სა წლისათვის“ (1839წ.), თარიღი გადასწორებულია და „ჩყმ“ სწერია (1840წ.). ამ სიაში ინტაბუეთელი ჩიგოგიძენი მოიხსენიებიან როგორც: 1. სამღვდელონი, 2. აზნაურნი საბატონონი და 3. საბატონო ყმანი.

სამღვდელოთა შორის იხსენიებიან:

მღვდელი იობი ოტიას ძე ჩიგოგიძე (39 წლის), ცოლი მისი ანნა გიორგის ასული (30 წლის), შვილნი მმათნი ეფთვიმე (12 წლის), თაყა (8 წლის), ერმალაოზ (7 წლის), ხალამპრე (5 წლის), მზეხა (3 წლის) და ეკა (1 წლის), იობის დედა თამარ ბუჯვას ასული (60 წლის).

მღვდელი იოვანე იესეს ძე ჩიგოგიძე (60 წლის).

აზნაურთა შორის იხსენიებიან:

აზნაური დავით იოვანეს ძე ჩიგოგიძე (50 წლის), ცოლი მისი თამარ იესეს ასული (50 წლის), შვილნი მათნი: გლახვა (25 წლის), ლევან (15 წლის), ბეჟან (10 წლის), ცოლი გლახვასი ჯუფან იოანეს ასული (22 წლის).

აზნაური პეტრე იესეს ძე ჩიგოგიძე (50 წლის), ცოლი მისი რუსუდან იესეს ასული (40 წლის), შვილნი მათნი: ოქროპირ (30 წლის), ანტონ (20 წლის), დავით (14 წლის) და გრიგოლ (11 წლის), ცოლი ოქროპირისი მაგდან ქაიხოსროს ასული (22 წლის), შვილი

მათი ფრიდონ (2 წლის), ცოლი ანტონისი სოფიო ლეევანის ასული (20 წლის), ძმისწული პეტრესი მაქსიმენ (35 წლის).

საბატონო ყმათა შორის იხსენიებიან:

გლეხი გიორგი დავითის ძე ჩიგოგიძე (40 წლის), ცოლი მისი ნინო გაბრიელის ასული (35 წლის), შვილნი მათნი: იესე (11 წლის), დავით (7 წლის) და ივანი (2 წლის).

გლეხი ნიკოლოზ გიორგის ძე ჩიგოგიძე (40 წლის), ცოლი მისი თამარ იესეს ასული (35 წლის), იესე (11 წლის), ბარბალე (6 წლის) და მზეხა (4 წლის), ძმა ნიკოლოზისა დიანოს (32 წლის), ცოლი მისი (სახელი არ იკითხება ა. ნ.), შვილნი მათნი: ბიჭია (9 წლის), მარინა (5 წლის), ნინო (4 წლის) და ანუსია (2 წლის).

გლეხი დავით გიორგის ძე ჩიგოგიძე (32 წლის), ცოლი მისი თინათინ ბიჭიას ასული (30 წლის), შვილნი მათნი: იოვანი (12 წლის), მაქსიმენ (10 წლის), გრიგოლ (4 წლის), ხვარამზე (9 წლის), მილიხანე (6 წლის), გულქან (5 წლის), რუსუდან (3 წლის).

გლეხი ბიჭია ხახუტას ძე ჩიგოგიძე (წლოვანება გაურკეეველია, შინამოსამსახურედ იდგა აზნაურ მაქსიმე შარაშენიძის ოჯახში).

ამას გარდა, სიიდან ირკვევა, რომ მღვდელს იობი ჩიგოგიძეს სახლში ერთი მოახლე ქალი ემსახურებოდა, აზნაურ პეტრე ჩიგოგიძეს ორი მოახლე ქალი და ორი შინამოსამსახურე კაცი ჰყავდა, ხოლო აზნაურ დავით ჩიგოგიძეს ასევე ერთი მოახლე ქალი ემსახურებოდა.

ამ სიის ინფორმაცია ჩიგოგიძეების შესახებ და ამასთან ერთად, ჩოხატაურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ფონდსაცავში ნაპოვნი ინტაბუეთის და ახალშენის ეკლესიების მეტრიკული ჩანაწერების წიგნების ინფორმაცია (1842–1885 წლების) და კამერალური აღწერების მასალები, შეძლებისდაგვარად გამოყენებულია ჩიგოგიძეთა შტო-გვარების გენეალოგიური ნახაზების შედგენისას. ამაზე ცალკე თავში გვექნება საუბარი.

მიეყვეთ იმ საბუთების ქრონოლოგიურ თანმიმდევრობას, რომელებშიც ჩიგოგიძეთა გვარი იხსენიება.

1860 წლის 1 იანვრით თარიღდება ნასყიდობის ხელწერილი, რომელიც ჩიგოგიძეთა ერთ-ერთ წინაპარს, ისევე სასულიერო პირს, რაჭაში მოიხსენიებს. საბუთი ინახება თბილისში, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში, ახალი ისტორიის განყოფილების ქართული ხელნაწერი დოკუმენტების ფონდში (საბუთი № 130 6-56/7).

„ათას რვაას სამოცსა წელსა იანვრის პირველსა რიცხვსა. ქვემორე ამისა ხელის მომწერთ, რაჭის უეზდის, უწერის უჩასტკის, სოფელსა ჯოისუბანს მცხოვრებ აზნაურთ საჩინო კაციას ძემ და ჩემმა შვილმა დიმიტრიმ, ბაქრაძეთ მოგვსყიდეთ ჩვენდამო კუთვნილი ტყე, სახელდობრ ველთვეთის ტყე, ჩემდამო საწილო, რაიცა მერგებოდა, ოთხი წილი და მეხუთედი ჩემთავე დარჩა, თქვენ, ჩემსავე საკუთარ ყმებს: კიკოლას, ნანიას და ბასილას კაციას ძეთ – ერთი წილი; მათკას და მერაბას გოგინას ძეთ, მეორე წილი – გვარით ბაიაშვილებს; ბეჟანას გოგიას და ხარებას – მესამე წილი; დავითას ნინიას და ოსია ხუცი შვილებთა – მეოთხე წილი და ფული მივიღე ოთხმოცი მანეთი ვერცხლისა, ესე იგი რვა თუმანი. ესე ვითარი ტყიდან ჩემის ნებართვის სარგებლობით უმეტეს ოთხმოცის წლისა და ახლა მოგეცით ხელიაღებ ოთხი წილი ზემოხსენებულ გლეხთ და მეხუთედი ჩემდავე დავიტოვე. რომელს ტყიანს ადგილში თქვენ, ხუცი შვილებს და ბაია შვილებს არავინ გედეოსთ და უკეთუ ვინეე აღმოჩნდეს მოდევე, მაშინ მე მიეცე პასუხი და თქვენ უზრუნველი გყოთ, რასა შინა ხელს ვაწერ აზნაური საჩინო ბაქრაძე. ხელს ვაწერ თვით გამომსყიდველი მებატონე, აზნაური დიმიტრი ბაქრაძე. თხოვნითა გამსყიდველისათა ვსწერ მე, მღვდელი გრიგოლ დავითის ძე ჩიკოკიძე და მოწამეც ვარ ამისი. არიან ამის მოწამენი ქვემორე ხელის მომწერელნი. ვინაითგან სეხელმწიფო ხელოსანმა სიმონა თოდაძემ წერა არ იცოდა, მისი თხოვნით ვაწერ ბესარიონ

გოგრიჭიანი და მე შემდგომ ამისა მოწამე ვარ ამ წერილისა დიაკონი ბესარიონ გოგრიჭიანი. რადგან მიხეილ ბაქრაძემ, ნიკოლოზის ძემ წერა არ იცოდა, მის ნაცვლად ხელს ვაწერ ბესარიონ გოგრიჭიანი.“ („მასალები საქართველოს სოციალურ–ეკონომიკური ისტორიისათვის“ შ. ლომსაძის რედაქციით. თბ. 1989, გვ. 42).

საბუთში იხსენიება მღვდელი გრიგოლ დავითის ძე ჩიკოკიძე. ასეთი გვარი, ზემოთ ნახსენები ჩიქოგიძის მსგავსად საქართველოში არც ძველად ყოფილა და არც ამჟამად არსებობს. ჩიკოკიძე შეცდომით ჩაწერილი ჩიგოგიძე უნდა იყოს.

ვინ უნდა ყოფილიყო მღვდელი გრიგოლ დავითის ძე ჩიგოგიძე. ინტაბუეთში აღსარების მთქმელთა სიაში ჩვენ უკვე ვახსენეთ ერთი გრიგოლ დავითის ძე ჩიგოგიძე, რომელიც 1860 წლისათვის უკვე 25 წლის იქნებოდა. არც ისაა გამორიცხული, რომ ეს მღვდელი გრიგოლ დავითის ძე ჩიგოგიძე იმ წინამძღვარ დავით ჩიგოგიძის შვილი იყო, რომელიც ზემოთ განხილულ 1815 წლის საბუთში იხსენიება იმერეთში.

არის კიდევ ერთი უთარიღო საბუთი, რომელიც უშუალოდ ჩიგოგიძეებს შეეხება (იბეჭდება პირველად):

„მის მაღალკეთილშობილებას უფალს ოზურგეთის უეზდის ნაჩალნიკს.

აზნაურის ბიჭია როსტომის ძე ბერიძისაგან თხოვნა.

კუთვნილი ჩემდამო ყმანი ინტაბუეთს მცხოვრებნი გრიგოლ და დათა პეტრეს ძე ჩიგოგიძენი, გამოეიდნენ რა სრულიად ჩემის მორჩილებისაგან ესრეთ რომელ არა თუ მემსახურებიან იგინი ვალდებულსა მათ მიერ ჩემდამი სამსახურთა არამედ როდესაც მე მოვთხოვე მათ ყმას ვალისამებრ გადასახადი, იწინააღმდექეს და მრავალის უშვერის და უშესაბამო სიტყვითა გამლანძღეს, ამისათვის უმორჩილესად გთხოვ თქვენო მაღალკეთილშობილებავე დაიბაროთ ისინი საშვალობითა ადგილობრიეის უჩასტკის ნაჩალნიკისათა და

ჩაესვათ ზემორე აღწერილს უმორჩილებისათვის ნაობახტში თუთხმეტის დღის ვადით, ხოლო ხარჯის ფულს მანითნახეარს ამასთანავე წარმოადგენ თანასწორ ამითა და ბრძანოთ ვისდამიცა ჯერ იყოს დაკმაყოფილება ჩემი ვალდებულის მათის ჩიგოგიძის ყმებთა მიერ.

განცხადებითა აზნაური ბიჭია ბერიძე (საბუთი ინახება ჩოხატაურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ფონდსაცავში, ნომრის გარეშე).

როგორც ცნობილია 1828 წლამდე გურია ცალკე სამთავრო იყო და მას მთავარი გურიელები მართავდნენ, 1828–1840 წლებში გურიის სამთავროს დროებითი რუსულ-ქართული მმართველობა არსებობდა, ხოლო 1840 წლიდან ეს დროებითი მმართველობა გაუქმდა და გურია როგორც ოზურგეთის მაზრა ქუთაისის გუბერნიაში და რუსეთის იმპერიაში შეიყვანეს. რადგან ბერიძის საჩივარი ოზურგეთის მაზრის უფროსის სახელზეა დაწერილი ესე იგი 1840 წელზე ადრინდელი ვერ იქნება. რადგან აზნაური ბერიძე საჩივარში ჩიგოგიძეებს ყმებად მიიჩნეს, 1864 წელზე გვიან, ანუ ბატონყმობის გაუქმების შემდეგ არ დაიწერებოდა ეს საბუთი.

ამრიგად ბერიძის საჩივარი 1840–1864 წლებით თარიღდება.

ინტაბუეთელ პეტრე ჩიგოგიძეს და მის შვილებს, დავითს და გრიგოლს ჩვენ უკვე ვიცნობთ ინტაბუეთის წმინდა გიორგის ეკლესიის 1840 წლის აღსარების მთქმელთა სიიდან. ამ სიაში პეტრე იესეს ძე ჩიგოგიძე აზნაურად სწერია და მისი ოთხი ვაჟიც: ოქროპირ, ანტონ, დავით და გრიგოლ, აგრეთვე ძმისშვილი მაქსიმენ, შესაბამისად აზნაურშვილები არიან.

ბუნებრივია ჩნდება კითხვები: თუ ეს აღსარების მთქმელი აზნაურშვილები დავით და გრიგოლ ჩიგოგიძენი (პეტრეს შვილები) მართლა ის დათა და გრიგოლ ჩიგოგიძეები (ასევე პეტრეს შვილები) არიან, რომლებიც ბერიძის საჩივარში იხსენიებიან, მაშინ გაუგებარია,

რა ხელი აქვს ასნაურ ბერიძეს ასნაურ ჩიგოგიძეებთან? რატომ მიიჩნევს ერთი ასნაური მეორე ასნაურს ყმად?

ამ კითხვებზე პირდაპირ პასუხობს ქუთაისის თავადაზნაურთა დეპუტატების საკრებულოს 1868 წლის 2 მაისის დადგენილება, რომელიც ამჟამად თბილისში გენერალ მირონ ჩიგოგიძის ოჯახში ინახება. საბუთი რუსულენოვანია, დაწერილია მკრთალი მელნით, გერბიან ქაღალდზე, დაზიანებულია და ძნელად იკითხება (იბეჭდება პირველად):

"1868 года Мая 2-го дня, по указу Его Императорского Величества вь Кутаисскомь Дворянскомь Депутатскомь Собраніи слушали Дело обь утвержденіи вь Дворянскомь достоинстве Чигогицевыхь. Родь Гуріискихь Дворянь чигогицевыхь, протоколомь бывшей Кутаисской Дворянской Комисіи, 11-го Апреля 1847 года признань вь дворянскомь достоинстве; Но какь Датика Иванов и Пётрь Оесеевь сь племянникомь Максимом Чигогидзевы сь семействами состояли вь зависимости Дворянь Беридзевыхь, не могла Коммисія о признаніи ихь постановить протокола, представила обь этомь на усмотреніи Князя Наместника Кавказского внесла ихь вь особыи списокь Азнаурскимь Азнауромь. Спрошенны вследствіе височаише утверждённыхь 6-го Декабря 1850 года правил, 24 человека изь почётныхь особь Князья и Дворяне удостоверили что просители Чигогидзевы деиствительно принадлежат кь роду утверждённыхь бившей вь городе Кутаисе Коммисіею вь Дворянскомь достоинстве Чигогидзевыхь за всю ихь память какь при владетеляхь Гуріи такь и после ползовались всеми правами и преимуществами Азнауровь; но как отець одного изь техь Чигогидзевыхь т.е. Отіи Ивань быль женат на ураждённой Беридзевой и именно сестре Отара Беридзе, то Чигогидзевы потаковому родству, и потаму что Беридзевы происходя изь первостепенных Дворянь

Были моуравами старшиною ихняго селенія, ища покровительства Беридзевыхь пристали кь нимь и такимь образомь остались вовладеніи Беридзевыхь.

Кутаиское Дворянское Депутатское собраніе принимая единогласный отзывь свидетелей за достаточное удостовереніе, принадлежности всехь этихь лиць кь признанному вь Дворянскомь достоинствеь роду Чигогидзе протоколомь 24 Февраля 1866 г. постановило: на основаніи 158 Ст. IXт. св. зак. Осо. ст. изд. 1857 г. и 7§ 2 пункта Височайше утверждённыхь 6-го Декабря 1850 г. даннихь признать вь Дворянскомь достоинстве значащихся вь списке бившей Кутаисской дворянской Коммисіи Давида Иванова женою его Тамарою сь сыновями ихь: Глахуною, Леваномь, женою Глахуна Хварамзою, Петра Jессеева женою его Русуданою сь сыновьями ихь: Окропиромь, Антономь, Дата, Григоріемь, женою Окропира Магданою сыновьями ихь: Придономъ и Иларіономь, дочерью Едосіею. Племянникомь Петра Максимомь женою Гвритою сыномь Георгіемь и пропущеннаго вь списке Коммисіи Jова Оті ева Чигогидзевыхь.

Протоколь этоть в месте сь деломь представлено было Г. наместнику Кавказскому. Правительстующий Сенать указомь оть 8-го июля 1866 года за №4006 даль знать Депутатскому собранію, что помянутые Чигогидзевы вследствіе ходадаиства Наместника Кавказского Высочайше утверждены вь Дворянстве кроме Jова вь 27 день июня 1866 г.

Кутаисское Дворянское Депутатское собраніе Определило: на основаніи 1638 и 1640 Ст. IX т. св. зак. изд. 1857 года выше прописанныхь Чигогидзевыхь внесть вь 1-ю часть Дворянской родословной книге, копию сь сего протокола выдать Чигогидзевымь вь своё время установленнымь порядкомь

Копія сія верни и выдаётся изь Кутаисского Дворянского

Депутатского собранія дворянамъ Чигогидзевымъ."

საჭიროდ მიგვაჩნია ამ რუსულენოვანი საბუთის სრულად თარგმნა:

„1868 წლის მაისის მე-2 დღეს, მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის ბრძანებით, ქუთაისის თავადაზნაურთა დეპუტატების საკრებულოში მოისმინეს ჩიგოგიცეების აზნაურის ღირსებაში დამტკიცების საქმე.

გურიის აზნაურთა გვარი ჩიგოგიცეები, ყოფილი ქუთაისის სათავადაზნაურო კომისიის 1847 წლის 11 აპრილის ოქმით ცნობილი იქნა აზნაურის ღირსებაში, მაგრამ რადგან დათიკა ივანეს ძე და პეტრე იესეს ძე, მისი ძმისწული მაქსიმე ჩიგოგიძეები ოჯახებით იმყოფებოდნენ აზნაურ ბერიძეთა დამოკიდებულებაში, არ შეეძლო კომისიას დაედგინა ოქმი მათი ცნობის შესახებ, წარადგინა ამის შესახებ თავად კავკასიის მეფისნაცვალთან განსახილველად, შეიტანა ისინი აზნაურის აზნაურთა განსაკუთრებულ სიაში. 1850 წლის 6 დეკემბრის უმაღლესად დამტკიცებული წესების შესაბამისად გამოკითხულმა 24-მა კაცმა საპატიო პირთაგან, თავადებმა და აზნაურებმა დაადასტურეს, რომ მთხოვნელი ჩიგოგიძეები ნამდვილად ეკუთვნიან რა ყოფილი ქალაქ ქუთაისის კომისიის მიერ აზნაურის ღირსებაში დამტკიცებულ ჩიგოგიცეების გვარს, მთელი მათი ხსოვნის განმავლობაში, როგორც გურიის მფლობელთა დროს ასევე შემდეგაც, სარგებლობდნენ აზნაურთა ყველა უფლებით და უპირატესობით; მაგრამ რადგან იმ ჩიგოგიძეებიდან ერთ-ერთის მამა ე.ი. ივანე ოტიას ძე იყო დაქორწინებული ბერიძეების ქალზე და კერძოდ ოთარ ბერიძის დაზე, ამიტომ ჩიგოგიძეები ამგვარი ნათესაობის და იმიტომაც, რომ ბერიძეები მომდინარეობდნენ რა პირველხარისხოვანი აზნაურებისაგან, იყვნენ მათი სოფლის მოურავები და მამასახლისი, ეძიებდნენ რა ბერიძეთა მფარველობას, მიეკედლნენ მათ და ამგვარად დარჩნენ ბერიძეთა

მფლობელობაში.

ქუთაისის თავადაზნაურთა დეპუტატების საკრებულომ მიიღო რა მოწმეთა ერთსულოვანი გამოხმაურება საკმარის რწმუნებულებად, ყველა ამ პირის მისაკუთვნებლად, აზნაურის ღირსება'ში ცნობილ ჩიგოგიძეთა გვარისადმი, 1866 წლის 24 თებერვლის ოქმით დაადგინა: 1857 წელში გამოცემული განსაკუთრებული მუხლების კანონთა კრებულის IX ტომის 158–ე მუხლის და 1850 წლის 6 დეკემბრის უმაღლესად დამტკიცებული მე–7 პარაგრაფის მე–2 პუნქტის საფუძველზე, აღნიშნულნი ცნობილ იქნენ, ყოფილი ქუთაისის სათავადაზნაურო კომისიის სიაში აღრიცხულად აზნაურის ღირსებით. დაეით ივანეს ძე მისი მეუღლით თამარით, მათი შვილებით: გლახუნათი, ლევანით, გლახუნას მეუღლით ხვარამზით; პეტრე იესეს ძე მისი მეუღლით რუსუდანით, მათი შვილებით: ოქროპირით, ანტონით, დათათი, გრიგორით; ოქროპირის მეუღლით მაგდანით; მათი შვილებით: ფრიდონით და ილარიონით, ქალიშვილით ევდოსიათი; პეტრეს ძმისწულით მაქსიმით, მეუღლით გერიტოთი, შვილით გიორგით და კომისიის სიაში გამორჩენილი იობი ოტიას ძე ჩიგოგიძეები.

ეს ოქმი საქმესთან ერთად წარედგინა ბატონ კავკასიის მეფისნაცვალს. მმართველმა სენატმა 1866 წლის 8 ივნისის №№ 4006 ბრძანებულებით აცნობა დეპუტატთა საკრებულოს, რომ ხსენებული ჩიგოგიძეები, კავკასიის მეფისნაცვლის შუამდგომლობის შედეგად, უმაღლესად დამტკიცებულნი არიან აზნაურობაში, გარდა იობისა, 1866 წლის ივნისის 27–ე დღეს.

ქუთაისის თავადაზნაურთა დეპუტატების საკრებულომ განსაზღვრა: 1857 წლის კანონთა კრებულის IX ტომის, 1638–ე და 1640–ე მუხლების საფუძველზე, ზემოთ აღწერილი ჩიგოგიძეები შეიყვანოს, თავადაზნაურთა შთამომავლობითი წიგნის პირველ ნაწილში. ამ ოქმის ასლი გაიცეს ჩიგოგიძეებზე თავის დროზე დად-

გენილი წესით. (ახლავს ორი გაურკვეველი ხელმოწერა ა.ნ.).

ასლი ესე ნამდვილია და . მიეცემათ ქუთაისის თავადაზნაურთა დეპუტატების საკრებულოდან აზნაურ ჩიგოგიძევებს.“

მრავალმხრივ საინტერესო დოკუმენტია.

ჯერ კიდევ გეორგიევსკის ხელშეკრულებაზე მუშაობისას 1783 წელს დაისვა საკითხი ქართველი თავადაზნაურობის რუს თავადაზნაურობასთან უფლებრივი გათანაბრების შესახებ. ამის გამო გეორგიევსკის ტრაქტატს თან დაურთეს ქართლ–კახეთის თავადთა და აზნაურთა სია. მაგრამ საქართველოში რუსთა ბატონობის დამყარების შემდეგ, რუსულმა მმართველობამ საჭიროდ მიიჩნია ქართველი თავადაზნაურობისათვის წოდების ხელმეორედ დამტკიცება. თავადის და აზნაურის თითოეულ ოჯახს უნდა წარედგინა მისი თავადობის თუ აზნაურობის დამამტკიცებელი რაიმე საბუთი ქართველ მეფეთაგან გაცემული. რა თქმა უნდა ასეთი საბუთი ყველა ოჯახს არ აღმოაჩნდა მრავალი შემოსევა–აოხრების, გახიზვნა–გადასახლების, ტყვეობის და ნადგურისცემის გამო.

1850 წლის 6 დეკემბერს რუსთა ხელმწიფემ დაამტკიცა ქართველ თავადაზნაურთა ოჯახების სიები: ცალკე ქართლ–კახეთისთვის (რომელსაც საქართველოს ეძახდნენ), ცალკე იმერეთისთვის და ცალკე გურიისთვის. (სამეგრელო მაშინ ჯერ კიდევ სამთავრო იყო). ამ სიებში უამრავი თავადის და აზნაურის გვარი გამოტოვეს. ამას მოყვა საჩივრები, თხოვნები, მოწმეთა დაკითხვები, საქმეთა განხილვები და ეს პროცესი 1917 წლამდე გაგრძელდა, თავადაზნაურობისთვის დიდად დამამცირებელი და ჩინოვნიკობისთვის დიდად სარგებლიანი.

დავუბრუნდეთ განსახილველ საბუთს. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ ძმები დავით და გრიგოლ ჩიგოგიძეები, რომლებსაც ბიჭვია ბერიძე უჩიოდა და ყმებად მიიჩნევდა, მართლა აზნაურები

ყოფილან და წინაპრებიც აზნაურები ჰყოლიათ, მაგრამ ჩიგოგიძეთა იმ ოჯახს ეკუთვნოდნენ, რომელიც დოკუმენტში ჩამოთვლილი მიზეზების გამო აზნაურ ბერიძეებზე დამოკიდებული მდგომარეობაში აღმოჩნდა. გავიდა დრო, შეიცვალა ორი თაობა და ბერიძეებმა ჩიგოგიძეები ყმებად მიიჩნიეს, ხოლო 1847 წელს რუსულ დოკუმენტაციაში აზნაურ ჩიგოგიძეთა ორი ოჯახი „აზნაურის აზნაურთა“ სიაში აღმოჩნდა. ჩიგოგიძეები ასეთ მდგომარეობას არ შერიგებიან და ქუთაისის თავადაზნაურთა დეპუტატების საკრებულოში საჩივარი შეუტანიათ, 24 მოწმეც მიუყვანიათ და ორი წელი უდევნიათ ამ საქმისთვის, სანამ დარღვეული სამართლიანობა არ აღუდგენიათ.

საინტერესოა რომ დეპუტატთა საკრებულოში ჯერ მომჩივანთა ვინაობა დაუდგენიათ, ანუ ჯერ მათ ჩიგოგიძეობაში დარწმუნებულან და მერე ჩიგოგიძეთა გვარის აზნაურობაზე უმსჯელიათ.

ჩიგოგიძეთა გვარის აზნაურის ღირსებაში ცნობის საფუძვლად, ყოფილი ქუთაისის თავადაზნაურთა კომისიის 1847 წლის 11 აპრილის ოქმი მიუჩნევიათ (თითქოს, რომ არა ეს ოქმი, ჩიგოგიძეები აზნაურები ვერ იქნებოდნენ). ამის შემდეგ მოწმეები დაუკითხავთ, 24 თავადი და აზნაური, იმის გასარკვევად, რომ ჩიგოგიძეები ბერიძეთა ყმები არ ყოფილან. როცა მოწმეთა ჩვენებები დამაჯერებელ მტკიცებულებად მიუჩნევიათ, და ამაშიც დარწმუნებულან, ახალი ოქმი დაუწერიათ. აზნაურობაში დასამტკიცებელ ჩიგოგიძეთა ოჯახის წევრების სია შეუდგენიათ და მოწმეთა ჩვენებებითურთ ერთ საქმედ შეკრული მთელი ეს ქაღალდები კავკასიის მეფისნაცვლისთვის წარუდგენიათ (ამ სიაში ჩაუმატებიათ წინა სიაში გამორჩენილი იობი ოტიას ძე ჩიგოგიძე).

კავკასიის მეფისნაცვალს არ დაზარებია და ეს ქაღალდები რუსეთის იმპერატორთან გაუგზავნია, ზედ თავისი შუამდგომლობაც დაუმატებია. რუსთხელმწიფეს ჩიგოგიძეებისთვის სად ეცლებოდა,

მაგრამ ეტყობა მაინც გადაავლო თვალი ქალალდებს, ცოტა იობი ჩიგოგიძეზე დაეჭვებულა, დანარჩენები დიდსულოვნად უცვნია აზნაურებად და ხელიც მოუწერია.

მერე ეს ამბავი პეტერბურგიდან თბილისში უცნობებიათ, თბილისიდან ქუთაისში და ქუთაისიდან ინტაბუეთში. ამის შემდეგ ინტაბუეთელ აზნაურ ჩიგოგიძეებს უფრო აზნაურებად უნდა ეგრძნოთ თავი, გარდა იობი ჩიგოგიძისა, რომელიც მიუხედავად იმისა, რომ მამა–პაპა აზნაურები ჰყავდა, მაინც ვერ ელირსა აზნაურობას.

ინტაბუეთელი მღვდელი იობი ჩიგოგიძე პეტერბურგის დას–ტურის გარეშეც რომ აზნაური იყო, ამას ადასტურებს 1860 წლის ერთი საბუთი, რომელიც ამჟამად თბილისში ინახება ნიკოლოზ ჩიგოგიძის ოჯახში. (იბეჭდება პირველად).

„ჩყი–სა წელსა ოკდონბრის კზ–სა

ჩვენ ქვემოთ ამისა ხელის მომწერი ქუთაისის გუბერნიის ვოზურგეთის ეზდის ჩოხატაურის უჩასტკის ინტაბუეთის სოფელსა მცხოვრები აზნაურნი მღვდელი იობი ჩიგოგიძე და ძენი ჩემნი ექუთიმელ და მღვდელი ერმალაოს, ხალამპრე ჩიგოგიძენი ამა მტკიცესა და ჯეროვანს ნასყიდობისა წერილს გაძლევ თქვენ ამაე გუბერნიასა ეზდისა და უჩასტკისა სოფლისა ზენობანს მცხოურებ–სა საბატონო ყმებთ მჭედლებსა სიმონ და მოსიკო დავითის ძებთ ჭანიშვილებს მას შინა, რომელ ჩემს ყმას ბიჭიელა ბასილიას მამული ზღურინი და წისქვილი რომ დგონს იმათ მოგყიდეთ მისგან გამონართმევი ფასად ეოცდა ხუთმანეთად, რომელსაც ეწოდების. იმ ადგილსა სახელად ლაშე აღმოსავლეთის მხრით გიორგი მაქსიმენის ძის ჩიგოგიძის ადგილის საზღვარს ქვეით დასაულეთის მხრით ლაშის ღელემდის ჩრთილოეთით ლორის სამზღურამდის და სამხრეთით ბასილიების სამზღურამდის.

ეგ ხსენებული ადგილი ჩემს ყმას ბიჭიელას გამოვართეი და თქვენ მოგყიდე. ნახევარი თქვენია და ნახევარი ჩემი ამ დანიშნულს

სამზღვარს შიგნით. ამიერითგან ადგილისაც და წისქვილიც საზიაროთ გეეკუთვნის, რომლისაგან სრული დასაკმაყოფილებელი ფასი მიეღეთ ამ ადგილისა სანაცლოთ ამიერიდგან გეკუთნის თქვენ, ვითარცა საკუთნელი მამაპაპეული თქვენი. ვერცა ჩვენ და ვერცა ჩვენი ძე და მომავალი ვერცა თქვენზე და ვერცა თქვენთა ძეთა და მომავალთა დავას ვერა განაცხადებს, უკეთუ რომელიმე პირი დავასა განაცხადებს მაზედ, მასშინა ჩვენ მოდავე იგი ჩვენი საკუთარის ხარჯით მოგაცილოთ, თქვენი არა ვითარი ხარჯი არა დაგახარჯვინოთ და თქვენ მოდავისაგან თავისუფალი გყოთ და უკეთომცა ჩვენგანმან ვინმემ ამიერისაგან დავა ყოს და გაბედოს ამაზე რამე, ის დასაჯოს წესიერმან კანონმან (. . .) ჩივილისა გაბედვისათვის და ეს ჩვენი მოცემული საბუთი თავის შეურყეველსა ძალაზედ იყოს შეურყეველად რომელსა ზედა ჩვენს საკუთარს ხელს ვაწერთ

აზნაური მღვდელი იობი ჩიგოგიძე

ხელს ვაწერ მე აზნაური ექვთიმე ჩიგოგიძე

ხელს ვაწერ აზნაური ხალამპრე ჩიგოგიძე

ვსწერ მე მამიჩემისა და ძმანების ჩემის თანხმობით საბუთსა ამას მღვდელი ერმალაოს ჩიგოგიძე და ხელსაც ვაწერ

რადგან ბიჭია ბასილიამ წერა არ იცის თავისი საკუთარი (დას–მულია ჯვარი ა.ნ.) უმოწმებ წერილსა ამას აზნაური გლახონ ჩიგოგიძე

უმოწმებ წერილსა ამას აზნაური ლევან ჩიგოგიძე.“

1873 წლის კამერალური აღწერის მასალების მიხედვით, ოზურგეთის მაზრის, ჩოხატაურის უჩასტკის სოფელ ინტაბუეთში ცხოვრობდა აზნაურ ჩიგოგიძეთა 4 კომლი: აზნაური გიორგი ჩიგოგიძე, აზნაური იობი ჩიგოგიძის შთამომაელები (იობი ჩიგოგიძე 1870 წელს გარდაიცვალა), აზნაური დათა და დიმიტრი ჩიგოგიძეები, აზნაური ლევან და გლახუნა ჩიგოგიძეები. ამავე სოფელში

ცხოვრობდა გლეხი ჩიგოგიძეების 6 კომლი: იასე, ალმასხან, ივანიკა, ბიჭია, ესიკა და ლაზარე ჩიგოგიძეები.

სოფელ ახალშენში აღწერილია გლეხი ჩიგოგიძეების 9 კომლი: დათიკა, ბიჭია, სიმონ, გიგო, ალექსანდრე, მათე, გაბრიელ, ნიკოლოზ და როსტომ ჩიგოგიძეები.

სოფელ გუთურში აზნაურ ჩიგოგიძეთა 1 კომლი – აზნაური დავით ჩიგოგიძე.

სოფელ ქვემოხეთში გლეხ ჩიგოგიძეთა 3 კომლი: ფირან, ლუკა და მიქელ ჩიგოგიძეები.

სოფელ ერკეთში აზნაურ ჩიგოგიძეთა 1 კომლი – აზნაური დავით ჩიგოგიძე.

სოფელ მაკვანეთში აზნაურ ჩიგოგიძეთა 1 კომლი – აზნაური ივანე ჩიგოგიძე (ქუთაისის სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 8, საქმე 810, გვ. 53, 56, 58, 59, 60; საქმე 811, გვ. 13, 53, 56).

სულ ამ დროისათვის გურიაში ჩიგოგიძეთა გვარი 25 კომლს ითელიდა. ეთნოგრაფიული და დოკუმენტური მასალის მიხედვით ამ პერიოდისათვის ჩიგოგიძეთა ნაწილი უკვე გადასული იყო სამეგრელოში და იმერეთში.

რუს–ოსმალთა ომებში ჩიგოგიძენიც გარჯილან. 1854–1857 წლების რუსეთ–ოსმალეთის ომში (ყირიმის ომი) მონაწილეობდა აზნაური ლევან ჩიგოგიძე, რომელმაც, თურმე, ჩოლოქის ბრძოლაში გამოიჩინა თავი, ხოლო მისი ვაჟი აზნაური ნოე ჩიგოგიძე რუსეთ–ოსმალეთის 1877–1878 წლების ომში მონაწილეობდა და რუსის ჯარში პოლკოვნიკის წოდებაც მიიღო, ორივეს „ალმასებით შემკული“ ორდენები ჰქონდათ დამსახურებული.

1880 წლის 7 აგვისტოს გურულმა თავადმა ვარლამ მიხეილის ძე ერისთავ–შერვაშიძემ, აზნაურს ლევან დავითის ძე ჩიგოგიძეს მამული მიჰყიდა 600 ვერცხლის მანეთად. მამულის ფართობი ყოფილა 9900 კვადრატული „საჟენი“, მამულის სახელად რუსულ

საბუთში დასახელებულია „ჩიაკოული“. (გურიის სოფელ ინტაბუეთში ერთ ადგილს დღესაც უწოდებენ „ჭიაყოულს“ ხოლო იქვე, მეზობელ სოფელ ზენობანში გვხვდება მიკროტოპონიმი „ჭიაღოული“).

ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებას რუსულად ხელს აწერს თავადი ვარლამ მიხეილის ძე ერისთავი, მცხოვრები ოზურგეთის მაზრის ჯვარცხმის საზოგადოების სოფელ გორაში. ამავე საბუთს ქართულად ხელს აწერს: „აზნაური ლევან დავითის ძე ჩიგოგიძე, მცხოვრები სოფელსა ინტაბუეთს ჯვარცხმის საზოგადოებაში, ოზურგეთის უეზდში.“

შემორჩენილია კიდევ ერთი რუსულენოვანი საბუთი, რომელშიც იხსენიება ჩვენთვის უკვე ცნობილი აზნაური ნოე ლევანის ძე ჩიგოგიძე, 1901 წელს მას ქალიშვილი შესძენია, სახელად ნინო, რომელიც 1911 წელს მოუნათლავს. ნათლობის საიდუმლო შეუსრულებია ინტაბუეთის ღვთისმშობლის შობის ეკლესიის მღვდელს იობი ჩიგოგიძეს (მღვდლის, იობი ოტიას ძე ჩიგოგიძის შვილიშვილს) და ამავე ეკლესიის მედავითნეს ხალამპრე ჩიგოგიძეს.

1902 წლის 7 ოქტომბერს სოხუმში მცხოვრებმა „ნადეორნი სოვეტნიკმა“ ნაუმ (ნოე) ლევანის ძე ჩიგოგიძემ და ზუგდიდის მაზრის სოფელ კოკში მცხოვრები აზნაურის გიორგი ახვლედიანის ნდობით აღჭურვილმა პირმა გალელმა გლეხმა გაბრიელ ჭანტურიამ შეადგინეს ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც, აზნაურმა ლევან ჩიგოგიძემ აზნაური გიორგი ახვლედიანისაგან იყიდა 15 „დესეტინა“ ფართობის მიწა 350 მანეთად. მიწის ნაკვეთი მდებარეობდა სოხუმის ოლქის, კოდორის უბნის სოფელ ტამიშში. აღსანიშნავია, რომ ამ საბუთში მოხსენიებული ტამიშში მცხოვრები თითქმის ყველა გვარი ქართულია. (ამჟამად საბუთები ინახება თბილისში, აზნაურ ლევან და ნოე ჩიგოგიძეთა შთამომაელის, ექიმ ნიკოლოზ ჩიგოგიძის ოჯახში).

XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე ქართლში, შიო-მღვიმის

მონასტერში მოღვაწეობდა ბერი მაქსიმე ჩიგოგიძე. იგი 1906 წელს მოუკლავთ მონასტერში შეჭრილ ყაჩაღებს. ბერის მაქსიმე ჩიგოგიძის საფლავის წარწერა დღესაც იკითხება შიო-მღვიმის მონასტერში. მონასტრის ბერები ასე გადმოგვცემენ: თურმე ყოველად სამღვდელო ალექსი ეპისკოპოსის (ოქროპირიძის) მოსაკლავად მოსულანო აქაზა-კები შიო-მღვიმის მონასტერში, ხოლო ბერი მაქსიმე ჩიგოგიძე განზრახ ეჩვენაო მათ ეპისკოპოსის შესამოსელში და თავი გაუწირავსო მოყვასისათვის.

1914 წლიდან რუს-ოსმალნი კიდევ ერთხელ შეეჯახნენ ერთურთს. ამ ომში კავკასიის ფრონტზე რამდენიმე ჩიგოგიძე იბრძოდა. რუსთა მხედრობამ წინ წაიწია სამხრეთით, მთელი ტაო-კლარჯეთი დაიკავა და ფრონტის ხაზმა გურჯი-ბოლაზის გადალმა გადაინაცვლა. ბრძოლები მიმდინარეობდა ქალაქ ერზერუმთან და შეითანდალის უღელტეხილთან. ამ ომში იბრძოდნენ ჩიგოგიძეთა გვარისშვილნი: გიორგის ჯვერის კავალერი სტეფანე ჩიგოგიძე ინტაბუეთიდან, ძმები ილია, მალაქი და ივანე ალექსის ძენი ჩიგოგიძენი ახალშენიდან, სერგო ესიკოს ძე ჩიგოგიძე ინტაბუეთიდან, ისიდორე ნოეს ძე ჩიგოგიძე ჩაისუბნიდან, ვლადიმერ სტეფანეს ძე ჩიგოგიძე საჯილაოდან, ვალერიან ნოეს ძე ჩიგოგიძე ინტაბუეთიდან, ძმები: ევტიხი, იპოლიტე, გაბრიელ, დანიელ, კირილე და ანდრო პაელეს ძენი ჩიგოგიძენი ახალშენიდან და სხვანი. ჩიგოგიძეებში არსებობს ხსოვნა, რომ იმ ომის მონაწილე ჩიგოგიძეებს, იქ სადღაც ლაზი აზნაური ჩეგოგიძე უნახავთ. მისი ფოტოსურათიც ინახებოდა თურმე რომელიღაც ჩიგოგიძის ოჯახში. ვინ იცის იქნებ გურული აზნაური ჩიგოგიძე და ლაზი აზნაური ჩეგოგიძე ერთმანეთის ნათესაენი არიან.

იმხანად ლაზისტანის და ტაო-კლარჯეთის ქართველობას საქრისტიანო საქართველოსთან ხანმოკლე სიახლოვის დრო ედგათ. იმ წლებში მოუსწრია და სადღაც ტაო-კლარჯეთში ქართული

სკოლა გაუმართავს პედაგოგს მალაქი ჩიგოგიძეს. ეს კაცი ბერი მაქსიმე ჩიგოგიძის ძმისშვილი იყო და მისიეე აღზრდილი. ჩასულა ტაო-კლარჯეთში მარტოკაცი მალაქი ჩიგოგიძე და შესდგომია დიდ ქართულ საქმეს, იქაური გოგო-ბიჭებისთვის, გამაჰმადიანებული ქართველებისთვის ქართულად წერა-კითხვა უსწავლებია თურმე. ჩიგოგიძეთა გვარს ღვთისა და ქვეყნის წინაშე თუ რამ დამსახურება აქვს – ერთიც ეს არის.

ხანმოკლე იყო მალაქი ჩიგოგიძის მოღვაწეობა ტაო-კლარჯეთში, მალე მდგომარეობა შეიცვალა: რუსეთში იმპერატორის ტახტი დაამხეს, ჯარი უკუიხმეს, კავკასიის ფრონტი მოიშალა. დიდი გაჭირვებით მალაქი ჩიგოგიძე გურიაში დაბრუნებულა, არც აქ დაუშლია ერის და მამულის სამსახური. აქაც სკოლა გაუმართავს მშობლიურ სოფელ ახალშენში და ისევე შესდგომია დიდ ქართულ საქმეს.

1918 წელი იდგა. დამოუკიდებლობის დროშა ფრიალებდა საქართველოში, პირველი ქართული უნივერსიტეტი იქმნებოდა თბილისში დიდი ივანე ჯავახიშვილის თაოსნობით.

ჩიგოგიძეს გვარის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ იმხანად თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიის დირექტორი ნიკო ჩიგოგიძე, (აზნაურ ნოე ჩიგოგიძის ვაჟი) იმ ქართველ ინტელიგენტ მამულიშვილსა ჯგუფში შედიოდა, რომელიც მხარში ედგა ივანე ჯავახიშვილს.

დასუსტებულ-შეჭირვებულ საქართველოს ოსმალებს გარდა ავი თვალით უმზერდნენ სომეხი დაშნაკები და რუსი ბოლშევიკები. იმ წლებში რამდენიმე ჩიგოგიძე ახლად შექმნილ ქართულ ჯარში მსახურობდა.

1920 წელს „სომხის ომში“ დაიღუპა ერთ-ერთი პირველი ქართული ჯავშნოსანი მატარებლის მეთაური, გვარდიის ოფიცერი მირონისე ჩიგოგიძე.

1921 წლის თებერვალში რუსების შემოტევისას კოჯორ-ტაბახმელას ბრძოლებში თბილისს იცავდა იუნკერი სოსო ჩიგოგიძე, რომელიც ბათუმამდე გაჰყოლია უკანდახეულ ქართულ ჯარს, ხოლო ბათუმის პორტში უკვე გემზე ასულის თავი გაუწირავს, გემიდან გადმომხტარა და ისევ ნაპირზე გამოსულა. იუნკერი დარჩა ბოლშევიკებისაგან დაპყრობილ საქართველოში. რა არის ეს თუ არა თავგანწირვა.

ბოლშევიკები შემოადგნენ ქართულ ეკლესია-მონასტრებს, ძარცვეს და ანგრიეს, მუსრი გაავლეს სამღვდელოებას, ხოცეს მღვდლები და ბერ-მონაზვნები. გურიის ეკლესიებს განსაკუთრებით შეეხო ნადგურისცემა, აქ თვითონ გურული ბოლშევიკები და ბოლშევიკებს აყოლილი გლეხობა აქტიურობდა.

ინტაბუეთის ღვთისმშობლის ეკლესიის უკანასკნელმა მღვდელმა იობი ჩიგოგიძემ ეკლესიის დაქცევამდე ერთი ძვირფასი თვლებით მოჭედილი და ნუსხა-ხუცური წარწერით შემკული ჯვარი გადამალა საეკლესიო წიგნებთან ერთად და ამით დაღუპვას გადაარჩინა. ეს რომ ბოლშევიკებს გაეგოთ, ამ მღვდელს ციმბირს უკან დაატოვებინებდნენ ან სულაც დახვრეტდნენ, მაგრამ დიდი საფრთხის მიუხედავად ეკლესიიდან გამოგდებული მღვდელი, იობი ჩიგოგიძე, მაინც მალავდა საეკლესიო სიწმინდეებს, მალავდა სანამ ცოცხალი იყო. მამა იობის გარდაცვალების შემდეგ მისი შვილი ერმალო ჩიგოგიძე მალავდა მთელი ცხოვრება მამის დანატოვარს, მერე უკვე შვილიშვილი ოსიკო (ბადრი) ჩიგოგიძე სიცოცხლის ბოლომდე ედგა დარაჯად მამის და პაპის დანატოვარს. ჩიგოგიძეთა სამი თაობა იცავდა ამ საიდუმლოს ბოლშევიზმის 70 წლის განმავლობაში. დღეს ისინი სააქაოს აღარ არიან, პირნათელნი მიუვიდნენ წინაპრებს. მათ ძველი ქართული ჯვარი, საეკლესიო სიწმინდე და ხელოვნების ნიმუში შეუნარჩუნეს საქართველოს, გადაარჩინეს ბოლშევიკების ხელში ჩავარდნას. ვინ იცის რამდენი

ჯვარი და ხატი დალეწეს იმ წლებში ბოლშევიკ-კომკავშირელმა აქტივისტებმა. თუ რამ გადარჩა ანაფორაშემოძარცვული მღვდლის, იობი ჩიგოგიძის მსგავსად თავგანწირული ადამიანების წყალობით გადარჩა.

საქართველოში რუსთა ჯვარის შემოსელას სამ წელიწადში ანტიბოლშევიკური აჯანყება მოჰყვა. გვარი ხომ ერის ნაწილია, რაც ერს განსაცდელი შეემთხვევა გვარიც ვერ ასცდება იგივე განსაცდელს. როგორ იქნებოდა, 1924 წლის აჯანყებაში ჩიგოგიძეებს მონაწილეობა არ მიეღოთ და თავის თავზე არ გადაეტანათ აჯანყების ჩახშობის შემდეგ მთელ ქართველ ერზე თავს დატეხილი ბოლშევიკური რეპრესიები.

რუსთა ბატონობის წინააღმდეგ 1924 წლის აჯანყებაში მონაწილეობა მიუღიათ: ბესარიონ ბეგის ძე ჩიგოგიძეს, პოლიო ბეგის ძე ჩიგოგიძეს, იპატი ბეგის ძე ჩიგოგიძეს, ანდრია პეტრეს ძე ჩიგოგიძეს, ვასილ ალექსის ძე ჩიგოგიძეს და სხვებს.

იმ ავადმოსაგონარ წლებში რუს ბოლშევიკებთან და რუსულ წითელ არმიასთან თანამშრომლობდნენ წარმოშობით ქართველი ბოლშევიკები. ჩვენ ვერ განვიკითხავთ, ღმერთმა აპატიოს, თუ ვინმეს სამშობლოს ღალატი ეპატიება.

საჭიროდ არ მიგვიჩნიეთ იმ ჩიგოგიძეთა შესახებ საუბარი, რომლებიც დამპყრობლებთან თანამშრომლობდნენ. ამ წიგნში მათი სახელების ხსენება უადგილო იქნებოდა. ჩიგოგიძეთა გვარის ისტორია იწერება პირველ რიგში ჩიგოგიძეთა ახალი თაობებისთვის, რომლებისთვისაც სულაც არ არის აუცილებელი „გვარის მაქიქთა“ სახელების ცოდნა, მათ დავიწყება დაიმსახურეს!

ამასთან ვერ უარვყოფთ იმ ფაქტსაც, რომ XX საუკუნის 20–30-იან წლებში წარმოშობით ქართველ ბოლშევიკებში იყვნენ როგორც პირწავარდნილი მოღალატენი, ისე იდეოლოგიით მოტყუებულნიც. ორივე შემთხვევაში ისინი შეგნებულად თუ შეუგნებლად

საქართველოს მტრების წისქვილზე ასხავდნენ წყალს.

XX საუკუნის 30-იან წლებში ქართველ ერს რეპრესიების ახალი ტალღა დაატყდა თავს. დამნაშავედ ითვლებოდა ყველა, ვინც წინააღმდეგობას უწევდა საბჭოთა ხელისუფლების, ანუ რუსული საოკუპაციო ხელისუფლების დამყარებას 1921 წელში ან 1924 წელში, ან ვერ ეგუებოდა კოლექტივიზაციას, ან ყოფილი აზნაური იყო, ან მღვდელი, ან ოფიცერი. სიტყვის თქმაც დანაშაული იყო, თუ ეს სიტყვა არ შეესაბამებოდა ბოლშევიკურ იდეოლოგიას. ეს ყველაფერი ბოლშევიკებს ისეთ მიუტევებელ დანაშაულად მიაჩნდათ, რომელსაც მხოლოდ სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვრეტა შეეფარდებოდა ან საბჭოთა საკონცენტრაციო ბანაკი, რაც დახვრეტას არ ჩამოუვარდებოდა.

ქართველმა ერმა დიდი მსხვერპლი გაიღო საბჭოთა რეპრესიების შედეგად და ჩიგოგიძეთა გვარი, როგორც ერის ნაწილი ვერ ასცდა ამ მსხვერპლს. რეპრესიები შეეხო გვარის რამდენიმე წარმომადგენელს, ესენი არიან: ნიკიფორე ალექსნდრეს ძე ჩიგოგიძე (გადასახლებაში დაიღუპა), ვალერიან ნოეს ძე ჩიგოგიძე (დახვრიტეს), ნიკოლოზ ნოეს ძე ჩიგოგიძე (დახვრიტეს), ბესარიონ ნოეს ძე ჩიგოგიძე (ორჯერ იყო რეპრესირებული პოლიტიკური მოტივით), ვასილ ალექსის ძე ჩიგოგიძე (დააპატიმრეს), ანდრია პეტრეს ძე ჩიგოგიძე (გადაასახლეს), იობი ერმალაოზის ძე ჩიგოგიძე (დააპატიმრეს), ისიდორე ერმალაოზის ძე ჩიგოგიძე (დააპატიმრეს), მიხეილ (მამია) მირონის ძე ჩიგოგიძე (გადაასახლეს), იპატი ბეგის ძე ჩიგოგიძე (დახვრიტეს), ბესარიონ ბეგის ძე ჩიგოგიძე (გადაასახლეს), პოლიო ბეგის ძე ჩიგოგიძე (გადაასახლეს), პარმენ ნიკოლოზის ძე ჩიგოგიძე (დახვრიტეს), პროკოფი ნიკოლოზის ძე ჩიგოგიძე (დახვრიტეს), ერმალო ნიკოლოზის ძე ჩიგოგიძე (დახვრიტეს), ბონდო პროკოფის ძე ჩიგოგიძე (დააპატიმრეს), მიხეილ ვასილის ძე ჩიგოგიძე (გადასახლებაში დაიღუპა), კაკილო ვასილის ძე ჩიგოგიძე

(გადასახლებაში დაიღუპა) . . . სია არასრულია. იმ საყოველთაო უბედურების ჟამს ბევრმა უკეთურმა მოითხო ხელი დასმენილი და განადგურებული თანამოძმის ქონებით, ჩიგოგიძეთა გვარისანიც ერიენ მათ შორის. არც მათი სახელების ხსენება მიეჩნიეთ მიზანშეწონილად. აქაც იგივეს ვიტყვით, ჩვენ ვერ განეკითხავეთ. ღმერთმა აპატიოს, თუ ვინმეს მოძმის ღალატი ეპატიება.

1941 წელს რუსეთ–გერმანიის ომი დაიწყო, „დიდ სამამულო ომად“ წოდებული. 700 000 ქართველი გარეკეს, სწორედ რომ გარეკეს ამ „სხვათა ომში“. დაპყრობილი საქართველოს შვილებს ვინ კითხავდა, თორემ კაცმა რომ თქვას, ჩვენთვის, ქართველებისთვის გერმანია არც მტერი ყოფილა როდისმე და არც მოყვარე. რუსეთს და გერმანიას საუკუნეებიდან მომდინარე „ძველი სიყვარული“ ჰქონდათ, ხოლო ქართველებს, როგორც რუსეთის „ქვეშ“ მყოფ ხალხს, იძულებით რუსეთის სასარგებლოდ უნდა ებრძოლათ გერმანელების წინააღმდეგ.

ისტორია მეორდება. აკი მონღოლებმაც „გარეკეს“ ქართველთა ლაშქარი ეგვიპტესა და შუა აზიში საბრძოლველად, აკი სპარსელებმაც „გეალაშქრეს“ ავღანეთში და ინდოეთში. ქართული სისხლი მართლაც „სად არ დაღვრილი“, ახლა ევროპის ველებზე უნდა დაღვრილიყო რუსეთის სასარგებლოდ.

1941–1945 წლებში ქართველ ერთან ერთად ჩიგოგიძეთა გვარმა თავისი წილი მსხვერპლი გაიღო.

რუსეთ–გერმანიის ბოლო ომში გაიწვიეს: შოთა ანდრიას ძე ჩიგოგიძე (დაიღუპა), გრიგოლ ივანეს ძე ჩიგოგიძე (დაიღუპა), ვალიკო ვასილის ძე ჩიგოგიძე (დაბრუნდა), შალვა სოსოს ძე ჩიგოგიძე (დაბრუნდა), ბიძინა სოსოს ძე ჩიგოგიძე (დაიღუპა), ოსიკო სოსოს ძე ჩიგოგიძე (დაბრუნდა), შოთა ივანეს ძე ჩიგოგიძე (დაბრუნდა), გერონტი იობის ძე ჩიგოგიძე (დაბრუნდა), ვახტანგ სტეფანეს ძე ჩიგოგიძე (დაიღუპა), ვახტანგ ნიკოლოზის ძე ჩიგოგიძე (დაბრუნდა),

შალვა საქარიას ძე ჩიგოგიძე (დაბრუნდა), ტერენტი ისიდორეს ძე ჩიგოგიძე (დაიღუპა), სერგო ესიკოს ძე ჩიგოგიძე (დაბრუნდა), აკაკი სერგოს ძე ჩიგოგიძე (დაბრუნდა), ალექსანდრე იაგორის ძე ჩიგოგიძე (დაიღუპა), ნიკოლოზ ბესარიონის ძე ჩიგოგიძე (დაიღუპა), აკაკი ბესარიონის ძე ჩიგოგიძე (დაიღუპა), ლეონიდე ვალერიანის ძე ჩიგოგიძე (დაბრუნდა), ნოე გიორგის ძე ჩიგოგიძე (დაიღუპა), ერმალო პარმენის ძე ჩიგოგიძე (დაიღუპა), შალვა ევტიხის ძე ჩიგოგიძე (დაბრუნდა), პანტელეიმონ მათეს ძე ჩიგოგიძე (დაბრუნდა), გიგლა გიორგის ძე ჩიგოგიძე (დაიღუპა), აკაკი სიმონის ძე ჩიგოგიძე (დაბრუნდა), ალექსანდრე ირაკლის ძე ჩიგოგიძე (?), ალიოშა გიგოს ძე ჩიგოგიძე (დაბრუნდა), აკაკი გიგოს ძე ჩიგოგიძე (დაბრუნდა), გიორგი ივანეს ძე ჩიგოგიძე (დაბრუნდა), ჯოლა ამფილოს ძე ჩიგოგიძე (დაბრუნდა), ნიკოლოზ ივანეს ძე ჩიგოგიძე (დაბრუნდა), იასონ იასეს ძე ჩიგოგიძე (დაიღუპა), ერმალო ჩიგოგიძე (დაბრუნდა), გიორგი გიორგის ძე ჩიგოგიძე (დაბრუნდა), ლევან გიორგის ძე ჩიგოგიძე (დაიღუპა), გიორგი ივანეს ძე ჩიგოგიძე (დაბრუნდა), ნიკოლოზ ივანეს ძე ჩიგოგიძე (დაბრუნდა), იოსებ გიორგის ძე ჩიგოგიძე (დაბრუნდა), თემურ ისიდორეს ძე ჩიგოგიძე (დაიღუპა), სოზარ სიმონის ძე ჩიგოგიძე (დაიღუპა) . . . სია არასრულია.

რუსეთ–გერმანიის ომს რუსეთ–იაპონიის ომი მოჰყვა, ახლა მანჯურიის ველებზე დაიღვარა ქართული სისხლი რუსეთის გასამარჯვებლად. ომის დამთავრების შემდეგ ტყვედ ჩავარდნილი საბჭოთა ჯარისკაცები და ოფიცრები „სოციალისტური სამშობლოს“ მოღალატეებად გამოაცხადეს და მრავალი ათასი სამხედრო ტყვე გერმანიის საკონცენტრაციო ბანაკებიდან ციმბირის საკონცენტრაციო ბანაკებში გადაიყვანეს. რეპრესიები შეეხოთ სამხედრო ტყვეთა ოჯახებსაც.

1951 წელს საქართველოდან ათასობით ოჯახი გადაასახლეს ციმბირში და ყაზახეთში. გადასახლება დაუპირეს თბილისში მცხ-

ოვრებ ვახტანგ სტეფანეს ძე ჩიგოგიძის ოჯახსაც, რომელიც 1942 წელს ქერჩში საბჭოთა ჯარის წარუმატებელი შეტევის დროს ტყვედ ჩავარდნილა. ოჯახი გადასახლებას გადაურჩა მეზობლების ჩარევის შედეგად, მათ დაუდასტურეს შინსახკომის ჩინოსნებს, რომ ვახტანგ ჩიგოგიძე ომის დაწყებამდე ცოლს გაეყარა. აი, ამ მიზეზით აღარ გაასახლეს ვახტანგ ჩიგოგიძის ცოლ–შვილი საქართველოდან. ასეთი კურიოზებიც ხდებოდა. თურმე, თუ კაცი ოჯახს არ მიატოვებდა, მაშინ მისი „დანაშაული“ მის ოჯახზეც ვრცელდებოდა. ვახტანგ ჩიგოგიძე განქორწინებული რომ არ ყოფილიყო, მის ცოლს და შვილს დამნაშაეებად ჩათვლიდნენ და გადასახლება არ ასცდებოდათ.

საბჭოთა უზარმაზარი იმპერიის ერთპიროვნული, ძლიერი მბრძანებლის იოსებ ჯუღაშვილის გარდაცვალების და 1956 წელში მისი სახელის დასაცავად ქართველი ხალხის მიერ კიდევ ერთხელ მსხვერპლის გაღების შემდეგ, საქართველოში თითქმის 30 წლიანი სტაბილური, მონური მორჩილების პერიოდი დაგვიდგა. ეს იყო ეროვნული ინტერესების დამცრობის და მატერიალური კეთილდღეობის მატების წლები.

1960–1980–იან წლებში ჩიგოგიძეთა წარმომადგენლები მოღვაწეობენ განათლების, მეცნიერების, ხელოვნების სხვადასხვა სფეროში, შრომობენ სამეურნეო და ადმინისტრაციულ სფეროშიც. იმდროინდელ სოციალისტურ პრესაში ჩიგოგიძეები (უპირატესად ქალები) წარმოჩენილნი არიან, როგორც სანიმუშო კოლმეურნე–მეჩაიენი, სოციალისტური შრომის დამკვრელნი და სოციალისტური შეჯიბრის მოწინაენი, სოციალისტური გეგმების გადაჭარბებით შემსრულებელნი და გარდამავალი წითელი დროშების მფლობელნი.

სოციალიზმის წლებში დასაწყეთ საქართველო ჩაის პლანტა–ციებად იქცა. კოლმეურნეობის წევრისთვის (სოფლად მცხოვრები კი აუცილებლად „კოლწევრი“ უნდა ყოფილიყო) მეტი სამუშაო არ

არსებობდა. სხვა რა გზა იყო და შრომობდა ჩაის პლანტაციებში დასაველეთ საქართველოს გლეხობა, ხოლო სოციალისტური რაიონული პრესა აქებდა მოწინავეებს და აქეზებდა დანარჩენებს, რომ მეტი ემუშავათ.

თურმე, როდესაც იმპერატორ ნიკოლოზ I-ს პროექტი წარუდგინეს კოლხეთის დაბლობზე ჩაის პლანტაციების გასაშენებლად, რუსთხელმწიფეს დაახლოებით ასეთი აზრი გამოუთქვამს: ჩაის პლანტაციები მონურ შრომას მოითხოვს და რომ მას, კეთილშობილ ადამიანს ასეთი შრომისთვის არ ემეტება ლამაზი და ჯიშიანი ქართველები. თითქოს ამ მიზეზით პროექტი არ განხორციელდა.

შემჩნეულია, რომ ჩაის მწარმოებელ ქვეყნებში, საერთოდ, მომატებულია სხვადასხვა ქალური დაავადებების პროცენტული მაჩვენებელი. ჩაის პლანტეციებში მომუშავეთა შორის ნაკლებია შობადობა. ტენიანი კლიმატის მოყვარული ჩაის ბუჩქი ნამს და სისველეს ხანგრძლივად ინარჩუნებს. პლანტაციებში, ძირითადად, ქალები მუშაობენ და ბუნებრივია, ქალთა შორის დაავადებათა გავრცელების მაღალი დონე და შობადობის კლება სწორედ პლანტაციებში მუშაობის მძიმე პირობებით აიხსნება. თუ ჩაის ძირითად მწარმოებელ ქვეყნებში ჩინეთში და ინდოეთში შობადობის შემცირებას პრობლემად სულაც არ თელიან, ჩვენი მცირერიცხოვანი ერისთვის ეს დიდი პრობლემაა.

ღვთის მადლით XX საუკუნის ოთხმოციანი წლების ბოლოს საბჭოეთად წოდებულ რუსეთის იმპერიას ბზარები გაუჩნდა. დაიწყო გეგმიური ეკონომიკის რღვევა, კოლონიებში ბოლო ეღებოდა მონოკულტურების ბატონობას. რუსეთის განაპირა, დაპყრობილ რეგიონებში, ეგრეთწოდებულ „რესპუბლიკებში“ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შედეგად რუსულმა ხელმწიფებამ უკან დაიხია. ნაძალადევი „ძმური“ კავშირი აღარავინ ისურვა და

ყველა „რესპუბლიკამ“ თავისუფლება ირჩია.

90–იანი წლების დასაწყისში აღდგა საქართველოს დამოუკიდებლობა, მაგრამ როგორც მოსალოდნელი იყო, რუსეთი დღემდე ცდილობს საქართველოში პოზიციების შენარჩუნებას.

XX საუკუნის 90–იანი წლები ერის გამძლეობის უმკაცრესი გამოცდა იყო: წაგებული ომები, უზარმაზარი მსხვერპლი, მეურნეობის სრული მოშლა, მასობრივი სიღარიბე, ღირსების და ზნეობის დეფიციტი, ასი ათასობით ლტოლვილი საქართველოში, ასი ათასობით ლტოლვილი საქართველოდან . . .

90–იანი წლების საქართველოს ყველა სატკივარი შეეხო ჩიგოგიძეთა გვარს – ომებიც, გაჭირვებაც, ემიგრაციაც.

. . .

ერი უბერებელია, საქართველო უკვდავია. ღვთის ნებით ერში არსებობს ძალა „ჭირსა შიგან გამაგრების“ გაძლების და გადარჩენის უნარი. ამ ძალის და უნარის ერთ–ერთ გამოვლინებად შეიძლება მივიჩნიოთ 90–იანი წლების ბოლოს დაწყებული გვართა შეკავშირების პროცესი.

იქნებ, ერი ქვეშეცნეულად გრძნობს, რომ არ ამართლებს ათასნაირი შეფერილობის პარტია, იქნებ გაჩნდა იმედი, რომ გაამართლებს ურთიერთდახმარების მიზნით, ადგილის დედის – მშობლიური სოფლის და მამა–პაპური ცხოვრების წესის გახსენების მიზნით შეკავშირებული სისხლით მონათესავეთა ერთობა – გვარი.

რამოდენიმე ასეული ქართული გვარი უკვე ჩამოყალიბდა საგვარეულო ორგანიზაციად. მათი საზრუნავია გვარის წევრთა მოძიება, შეკავშირება, ჭირისა და ლხინის გაზიარება და ერთმანეთისადმი მხარის გამაგრება. შეძლებული გვარისშვილები შეჭირვებულ

თანამოძმეებს ეხმარებიან. იხსენებენ დანგრეულ და მიტოვებულ საგვარეულო სალოცავებს, ზრუნავენ საგვარეულო სოფლებზე . . .

სწორედ რომ დროულია ასეთი ძალისხმევა, სწორედ ახლა, უმძიმესი განსაცდელის წლებში სჭირდება ჩვენს ქვეყანას ქართული გვარების, ანუ ერის გააქტიურება. ერი გვარებისგან შესდგება. თუ გვარი იგვარებს, ერიც ერს დაემსგავსება ქვეყანა გადარჩება.

საბედნიეროდ, ჩიგოგიძეთა გვარშიც გამოჩდნენ საგვარეულო ორგანიზაციის შექმნის მსურველნი, საკუთარი გვარის და ესე იგი ერის და ქვეყნის მოყვარე ადამიანები, რომლებმაც მიზნად დაისახეს ჩიგოგიძეთა გვარის ისტორიის შექმნა, სანათესაოს შეკავშირება და გვარის საკმაოდ მრავალრიცხოვანი ინტელიგენციის, ქონებრივი და ინტელექტუალური შესაძლებლობების ქვეყნის სასიკეთოდ მიმართვა, ჩიგოგიძეთა საგვარეულო კავშირის ჩამოყალიბება და მისი საქართველოს სამსახურში ჩაყენება. წინამდებარე ნაშრომიც ამ ადამიანთა ინიციატივით შეიქმნა.

ჩიგოგიძეთა გვარის სტრუქტურა

რთული სტრუქტურა აქვს ჩიგოგიძეთა გვარს. გურიაში უფროსი თაობის ჩიგოგიძეებს შემორჩენილი აქვთ ხსოვნა ჩიგოგიძეთა გვარის შვიდი შტოგვარის, ადგილობრივი გამოთქმით „საგინებლის" ანუ „საგნებელის" (მისაგნები გვარის) შესახებ. ამათგან ზოგიერთი საგინებელის ურთიერთდაკავშირება ადვილად ხერხდება: მაგალითად, ახალშენის ჩიგოგიძეთა ორი საგინებლის გუთურის, ერკეთის, მაკვანეთის, ოზურგეთის ჩიგოგიძეთა შტოების დაკავშირება ინტაბუეთის ჩიგოგიძეთა ერთ-ერთ საგინებელთან სიძნელეს არ წარმოადგენს.

ჩიგოგიძეთა გვარში შვიდივე საგინებელი ერთდროულად არ წარმოშობილა. ჩვენს ხელთ არსებული საარქივო მასალა საშუალებას გვაძლევს, ჩიგოგიძეთა გვარის წინაპრების თაობებს თვალი მივადევნოთ 1750-იან წლებამდე. მიუხედავად ამისა, გვარში არსებული შვიდიდან ხუთი საგინებელი ერთმანეთს არ უკავშირდება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჩიგოგიძეთა გვარის საგინებელთა უმრავლესობა XVIII საუკუნის შუა ხანებზე უფრო ადრეულ პერიოდში განშტოებულან.

ჩიგოგიძეთა შტოგვარების სახელებია: ჩიბოტლეკია, ჯღარკე, ტურაწველია, ჩანთეჩაარაკუნე, ბრუა, ხარჩოყლაპია, ჭყიმა. მიუხედავად მათი სიძველე-სიახლისა ჩიგოგიძეთა ყველა შტოგვარი ერთი ხის ტოტებს წარმოადგენენ.

ინტაბუები
ახალშენი
ჩიბთლეკიენი
ჭყიმენი
ბარჩოყლაჰენი
ბრუენი

ინტაბუეთის ჩიგოგიძენი

ჩიბოტლეკიენი


ჩიბო – წისქვილის ის ნაწილი ყოფილა, რაშიც საფქვავს ყრიდნენ, ტლეკვა – მოლოკვას ნიშნავს გურულად.

ჩიბოტლეკია შეიძლება ერთ კაცს ან ერთ ოჯახს შეარქვეს სამეზობლოში, ხოლო შემდეგ ეს სახელი გავრცელდა განაყარ ოჯახებზეც და შტოგვარის სახელად, ანუ საგინებლად (საგნებელად) იქცა. ჩიბოტლეკიები ინტაბუეთის ჩიგოგიძეებში ყველაზე მრავალრიცხოვანი შტოა. სწორედ ამ შტოს მიუღია აზნაურობა, თუმცა, როგორც უკვე ითქვა, არც ჩიბოტლეკიებს და არც სხვა საგინებლის ჩიგოგიძეებს არ ახსოვთ, რა დამსახურებისათვის მიუღიათ აზნაურის ხარისხი.

ჩიბოტლეკიებში ასახელებენ ხუთ სანათესაოს, რომლებიც ერთმანეთს თავისიანებად მიიჩნევენ, მაგრამ თაობათა სიშორის გამო მათი გენეალოგიური ნახაზები ერთმანეთს არ უკავშირდება. ხუთივე ეს სანათესაო ერთ საგინებელში ერთიანდება.

ეთნოგრაფიულ მასალასთან საარქივო მასალის შეჯერებით შესაძლებელი გახდა ჩიბოტლეკიეთა ხუთივე სანათესაოს გენეალოგიური ნახაზების შედგენა, რომლებიც ჩიგოგიძეთა ამ შტოს VII–IX თაობამდე გვაცნობს. ყველაზე შორეული წინაპრების სახელების მიხედვით მათ პირობითად შეიძლება ეწოდოთ: ოტია I –ის, ოტია II–ის, იესეს, ბართლომეს და ფარსადანის შთამომავლობა.

ინტაბუეთის ჩიგოგიძენი, ჩიბოტლეკიეთა შტო (საგინებელი)
ოტია I –ის შთამომავლობა



ნახ. 1.

დაახლოებით 1760-იან წლებში დაბადებული იოვანე ოტიას ძე ჩიგოგიძე ის აზნაური „ოტიევ იოან“ არის, რომელიც ზემოთ განხილულ ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურთა დეპუტატების საკრებულოს დადგენილებაში იხსენიება და რომელსაც აზნაურ ბერიძეების ქალი ჰყავდა ცოლად. ეს ქორწინება, როგორც საბუთიდან ირკვევა, აზნაურ ჩიგოგიძეთა აზნაურ ბერიძეებზე დამოკიდებულებაში გადაზრდილა.

იოვანეს შვილს, დავით ჩიგოგიძეს უკვე სადაეოდ გახდომია საქმე, რომ აზნაურის აზნაურთა სიიდან ჩიგოგიძეთა გვარი ამოეშალათ და სახელმწიფო აზნაურების უფლებებში აღედგინა საკუთარი და ახლო ბიძაშვილების ოჯახები. როგორც დავინახეთ, ამას ჩიგოგიძეებმა 1868 წელს მიაღწიეს. იმ დროისათვის აზნაური დავით ჩიგოგიძე 70 წელს გადაცილებული იქნებოდა.

დავითის ერთ-ერთი ვაჟი, აზნაური ლევან ჩიგოგიძე (დაბ. 1825წ.) 1854 წლის 4 ივნისს ჩოლოქისპირას რუს-ქართველთა ჯარში იბრძოდა ოსმალების წინააღმდეგ.

შემორჩენილია XIX საუკუნის შუახანების ერთი ფოტოსურათი, რომელზეც გამოსახულია აზნაური ლევან ჩიგოგიძე ოჯახით. მის მკერდს ამშვენებს ჩოლოქის ბრძოლაში მიღებული რუსული სამხედრო ჯილდოები. აზნაურ ლევან ჩიგოგიძის ერთერთი შვილთაშვილის ნიკოლოზ ჩიგოგიძის ოჯახში დღესაც ინახება დიდი ბაბუის ხმალი წარწერით „აზ. ლევანა ჩიგოგიძე“.



აზნაური ლევან დავითის ძე ციციშვილი.
მეუღლე ატატო ლასხიშვილი და შვილი ნოე



ლევან ჩიბოზიძის
ხმალი

ლევანის უმცროსი ძმა ბეჟან ჩიგოგიძე (დაბ. 1830წ.) ინტაბუეთიდან გუთურში გადასახლებულა. ეს ის „ასნაური ბეჟუკა ჩიგოგიძე“ გახლავთ, რომელიც 1848 წლის არსის (ასნაურ ტარიელ ჩიგოგიძის საჩივარი) დამწერად გვევლინება. ბეჟან ჩიგოგიძის შთამომავლობის შესახებ ვერაფერს ვიტყვით. მეტრიკული ჩანაწერებიდან ცნობილია, რომ მას 1867 წელს შეეძინა ასული ნატალია. ასევე ვერაფერს ვიტყვით ლევანის უფროსი ძმის, გლახვა ჩიგოგიძის (დაბ. 1815 წ.) შთამომავლობის შესახებ.

ასნაურ ლევან ჩიგოგიძეს ორი ვაჟი ჰყავდა, მაქსიმე ლევანის ძე ჩიგოგიძე, რომელიც 1877 წელს გარდაცვლილა ახალგაზრდა და ნოე ლევანის ძე ჩიგოგიძე (1851–1930წ.) პოლკოვნიკი, „ნადვორნი სოვეტნიკი“, ოზურგეთის „პრისტავი“. ასნაური ნოე ლევანის ძე ჩიგოგიძე 1877–1878 წლების რუსეთ–ოსმალეთის ომში მონაწილეობდა და ორდენებიც გააჩნდა. (მამა–შვილის ლევან და ნოე ჩიგოგიძეების საბრძოლო ორდენები 1938 წლის შემდეგ ოჯახის უკიდურესი გაჭირვების ჟამს გაუყიდიათ). აღსანიშნავია, რომ პოლკოვნიკ ნოე ჩიგოგიძეს მიღებული ქონდა მეფის რუსეთის ერთერთი უმაღლესი ჯილდო – წმინდა ანნას ორდენი ბაფთით.

ასნაურ ნოე ჩიგოგიძეს სამი ვაჟი და ორი ქალი ყავდა. მის ყველა შვილს საუნივერსიტეტო განათლება ქონდა მიღებული. უფროსს ნიკოლოზს დამთავრებული ქონდა პეტერბურგის უნივერსიტეტი (1909 წ. ფიზიკის სპეციალობით), მომდევნო ორ ძმას ვალერიანსა და ბესარიონს კი იურიევის (ტარტუს) უნივერსიტეტი მედიცინისა და ეკონომიკის განხრით შესამისად. უფროს ქალიშვილს ვერას დამთავრებული ქონდა ხარკოვის უნივერსიტეტი, ხოლო ყველაზე უმცროსმა ნინომ თბილისის უნივერსიტეტი დაამთავრა.



ასნაშვრი ნოე ლევანის ძე ჩიგოგიძე.
მეუღლე ეკატერინე გოგიტიძე. შვილები (ცარცხნიდან)
ბესარიონ. ნინო. ვალერიან. ნიკოლოზ. ვერა ჩიგოგიძეები

ნიკოლოზ ნოეს ძე ჩიგოგიძე (1882–1938წ.) თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიის დირექტორი გახლდათ 1916 წლიდან. იყო სახელმწიფო სათათბიროს საბჭოს წევრი (მეცნიერებისა და უმაღლესი განათლების სათათბირო ორგანო) ამ საბჭოში მუშაობდნენ ივანე ჯავახიშვილი, ალექსანდრე დიდებულიძე, გიორგი ახვლედიანი, კორნელი კეკელიძე, ნიკო მუსხელიშვილი და სხვა. გახლდათ ილია ჭავჭავაძის თხზულებათა სარედაქციო კომიტეტის წევრი (1914 წ.).

საინტერესოა, რომ ნიკოლოზ ჩიგოგიძის ოჯახში შემორჩენილია სავიზიტო ბარათი „ნიკოლოზ ნოეს ძე ჩიგოგიძე საქართველოს პარლამენტის წევრი". ასეთი პატრიოტი პიროვნება, მითუმეტეს აზნაურის შთამომავალი, სრულიად მიუღებელი იყო ბოლშევიკი ლიდერებისათვის. ნიკოლოზ ნოეს ძე ჩიგოგიძე 1938 წელს დააპატიმრეს და დახვრიტეს.

ერთი წლით ადრე 1937 წელს დახვრიტეს ნიკოლოზ ჩიგოგიძის უმცროსი ძმა, აზნაურ ნოე ჩიგოგიძის შუათანა ვაჟი, ექიმი ვალერიან ჩიგოგიძე, რომელიც გახლდათ ოზურგეთის რაიონის მთავარი ექიმი. ამავე წელს დააპატიმრეს მათი მესამე ძმაც, ნოე ჩიგოგიძის უმცროსი ვაჟი ბესარიონ ჩიგოგიძე, რომელიც დახვრეტას გადაურჩა, მაგრამ 27 წელი საბჭოთა ციხეებში და ბანაკებში გაატარა. განთავისუფლების შემდეგ იგი მუშაობდა საქარტველოს სახალხო მეურნეობის აღრიცხვისა და საქართველოს სტატისტიკის ცენტრალურ სამმართველოებში.



ნიკო ნოეს ძე ჩიგოგიძე (ცენტრში)
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქცნიერო
საბჭოში



ნიკო ნოეს ძე
ჩიგოგიძე




ზურაბ ნიკოლოზის ძე
ჩიგოგიძე



ელენე ნიკოლოზის ასული
ჩიგოგიძე რძალთან და
ქალიშვილთან ერთად



ვასტანგ ნიკოლოზის ძე
ჩიგოგიძე



გიორგი ვასტანგის ძე
ჩიგოგიძე



ნინო ვასტანგის ასული
ჩიგოგიძე



ნიკოლოზ ვასტანგის ძე
ჩიგოგიძე



ვალერიან ნოეს ძე
ჩიგოგიძე



ნათელა ნიკოლოზის
ასული ჩიგოგიძე



ლეონიდე ვალერიანის ძე
ჩიგოგიძე


ნიკოლოზ ჩიგოგიძეს ორი ვაჟი და ორი ქალი ჰყავდა. მისი ვაჟები იყვნენ ვახტანგ ნიკოლოზის ძე ჩიგოგიძე (1917–1972წ.) სამხედრო ექიმი, პოლკოვნიკი, რუსეთ–გერმანიის ომის მონაწილე და ზურაბ ნიკოლოზის ძე ჩიგოგიძე (1928–1989წ.) ფიზიკა–მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი.

ვახტანგ ნიკოლოზის ძე ჩიგოგიძის ვაჟები – ნიკო ჩიგოგიძე (დაბ. 1953წ.) ექიმი, აფხაზეთის ომის მონაწილე და გიორგი ჩიგოგიძე (დაბ. 1956წ.) მხატვარი, ამჟამად თბილისში ცხოვრობენ.


ვალერიან ჩიგოგიძეს ორი ვაჟი ყავდა ლეონიდე და ოთარი. ამათგან უფროსი, ლეონიდე რუსეთ–გერმანიის ომში იბრძოდა. პროფესიით ინჟინერ–მექანიკოსი იყო. უმცროსი ძმა, ოთარი მეტალურგი გახლდათ წლების მანძილზე მუშაობდა რუსთავისა და თბილისის მეტალურგიული ქარხნების დირექტორად.

რადგან ნიკე ჩიგოგიძის სამი ვაჟიდან ბესარიონს შვილი არ ჰყავდა, ხოლო ვალერიანის შვილებს ლეონიდე და ოთარ ჩიგოგიძეებს მხოლოდ ქალიშვილები ჰყავდათ, დღეისათვის ჩიგოგიძეთა გვარის ამ შტოში, ოტია I–ის შთამომავლობაში, მხოლოდ სამი მემკვიდრე ითვლება: ვახტანგ, ირაკლი და ლევან ჩიგოგიძეები. ისინი თბილისში დაიბადნენ და წინაპართა საგვარეულო ბუდე, სოფელი ინტაბუეთი ჯერ არ უნახავთ.

ჩიგოგიძეთა გვარის ჩიბოტლეკიათა საგინებელში ოტია I–ის შთამომავლობასთან ნათესაობის მიხედვით ქვემოთ ახლოს დგას ოტია II–ის შთამომავლობა. ოტია II (დაბ. 1770–იან წლებში) ასაკით შვილიშვილად ერგება ოტია I–ს. საუსბით შესაძლებელია ბაბუის სახელი შვილიშვილზე გადმოსულიყო, ისევე როგორც ბიძის სახელი ძმისშვილს შეიძლება დარქმეოდა. არც ასეთი ვერსიის უარყოფა შეიძლება. ქველა შემთხვევაში ჩიბოტლეკიე ჩიგოგიძეთა ერთი და იგივე სახელის მატარებელი ეს ორი წინაპარი ერთი ოჯახის წევრები ან ერთმანეთის უახლოესი ნათესავები იყვნენ.


ოტია II
(დაბ. 1770-იან წ.)
ელენე
იობი
(1801–1870)
ექვმთიმე
(დაბ. 1828 წ.)
თაყა
(დაბ. 1832 წ.)
დარეჯან
ოლია
მარიამ
ნინო
ალექსანდრე
(გარდ. 1873 წ.)
ალექსანდრე
(დაბ. 1876 წ.)
მიხეილ
(დაბ. 1877 წ.)
ივანე
ვასასი
ანეტა
მარიამ
ეთერი
(დაბ 1828 წ.)
ფუსუსი
ვაჟი
სახელი უცნობია
იაგორ
(1899–1971)
შოთა
ტატიანა
ქეთევანი
(1921–1996)
ალექსანდრე
(1921–1943)
ავთანდილ
(1926–2003)
გურამ
(დაბ. 1936)
ზურაბ
(1938–1950)
თამრიკო
(დაბ. 1973)
ნიკოლოზ
(დაბ. 1948 წ.)
დავით
(დაბ. 1954 წ.)
ზურაბ
(დაბ. 1971)
ანნა
(დაბ. 1982.)
ალექსანდრე
(დაბ. 1970)
ლანა
(დაბ. 1989.)
ქეთევან
(დაბ. 1973)
გაბრიელ
(დაბ. 2003)

ინტაბუეთის ჩიგოვიძენი, ჩიბოტლეკიეთა შტო (საგინებელი)
ოტია II –ის შთამომავლობა



ნახ. 2.

ოტია II–ის ვაჟი იობი ჩიგოგიძე (1801–1870წ.) სწორედ ის „ოტიევ იობ" გახლავთ, რომელიც 1847 წლის ასნაურთა სიაში გამორჩენიათ და ამის გამო 1868 წლის დადგენილება'ში ჩიგოგიძეებისადმი სახელმწიფო ასნაურობის აღდგენის 'შესახებ სწერია „გარდა იობისა". როგორც ჩანს, ეს მაინც დროებითი „გაუგებრობა" იყო, რადგან 1873 წლის აღწერა'ში მღვდელი იობი ოტიას ძე ჩიგოგიძის შთამომავლობა ასნაურის წოდებით იხსენიება. (იმ დროს თავად იობი ჩიგოგიძე უკვე გარდაცვლილი იყო).

საინტერესოა აღინიშნოს, რომ 1843 წლის ინტაბუეთის ღვთისმშობლის ეკლესიის ჩანაწერებში ერთგან ეს პიროვნება იხსენიება როგორც „მღვდელი იობი ჩიღოლიძე". მას ოთხი ვაჟი და ორი ქალი ჰყოლია: ექვთიმე, თაყა, ერმალოზ, ხალამპრე, მ'სეხა და ქკა.

ასნაური ექვთიმე იობის ძე ჩიგოგიძე საეკლესიო ჩანაწერების მიხედვით 1828 წელს დაბადებულა. მისი რვა შვილიდან უფროსი, ალექსანდრე ბავშვობაშივე გარდაიცვალა 1873 წელს. მეორე 'შვილს, რომელიც 1876 წელს შეეძინათ ისევ ალექსანდრე უწოდეს. ა'სნაური ალექსანდრე ექვთიმეს ძე ჩიგოგიძე ინტაბუეთიდან ჩოხატაურ'ში გადასახლდა. ხოლო მისი შვილებიდან ერთი, უფროსი (სახელი უცნობია) XX საუკუნის 20–იან წლებში თურქეთ'ში გადაიხვეწა, მეორე – იაგორ ჩიგოგიძე თბილისში დასასლდა.

იაგორ ალექსანდრეს ძე ჩიგოგიძეს ოთხი ვაჟი და ორი ქალი ჰყავდა. უფროსი – ბაბუის მოსახელე ალექსანდრე ჩიგოგიძე რუსეთ–გერმანიის ომში სტალინგრადის მისადგომებთან დაიღუპა. შთამომავლობა არ დარჩა. შთამომავლობა არ დარჩა იაგორ ჩიგოგიძის კიდევ ერთ ვაჟს, ადრე გარდაცვალებულ 'სურაბ ჩიგოგიძეს.


ავთანდილ იაგორის ძე ჩიგოგიძეს ორი ვაჟი ჰყავს. ნიკოლოზ ავთანდილის ძე ჩიგოგიძე (დაბ. 1948წ.) ექიმი, მეცნიერი, ავტორი მრავალი გამოგონებისა მედიცინის დარგში და დავით ავთანდილის ძე ჩიგოგიძე (დაბ. 1954წ.) ასევე ექიმი, მეცნიერი, ავტორი რამდენიმე გამოკვლევისა მედიცინის დარგში.



ავთანდილ იაგორის ძე
ჩიგოგიძე



მედეა ჯალიაშვილი-
ჩიგოგიძე



ნიკოლოზ ავთანდილის ძე
ჩიგოგიძე,
შვილი ანნა და ძმისშვილი
ქეთევანი



დავით ავთანდილის ძე
ჩიგოგიძე



გურამ იაგორის ძე, ზურაბ გურამის ძე და
გაბრიელ ზურაბის ძე ჩიგოგიძეები

გურამ იაგორის ძე ჩიგოგიძეს ერთი ვაჟი ჰყავს ზურა ჩიგოგიძე – ტელეკომპანია „აიეტის“ პრეზიდენტი და ერთი ქალი – თამარი.

ზურაბ ჩიგოგიძემ ბოლო წლებში საკუთარი ინიციატივით და შესაძლებლობით აღადგინა წმინდა გიორგის და ღვთისმშობლის ეკლესიები შიდა ქართლის სოფელ კავთისხევში.

მამა–შვილი გურამ და ზურაბ ჩიგოგიძეები, ბიძაშვილებთან დაეით აკთანდილის ძე ჩიგოგიძესთან და ვასილ დეკნას ძე ჩიგოგიძესთან ერთად ჩიგოგიძეთა საგვარეულო კავშირის ჩამოყალიბების ინიციატორები არიან.

დაეუბრუნდეთ მღვდლის იობი ჩიგოგიძის შვილების თაობას. ექვთიმეს მომდევნო ძმას თაყა ერქვა, იგი დაბადებულა 1832 წელს. აზნაური თაყა ჩიგოგიძის შთამომავლობის შესახებ ვერაფერს ვიტყვით. ჩიგოგიძეთა გვარის მთხრობელთაგან სახელი თაყა არავის დაუსახელებია თავის წინაპრად, არც საბუთებში გეხვდება რაიმე ცნობა თაყას შვილების და შვილიშვილების შესახებ.

მომდევნო ძმას ერმალოსი რქმევია, ისიც და ყველაზე უმცროსი ძმა – ხალამპრეც მღვდლები ყოფილან. აზნაური ერმალოზ იობის ძე ჩიგოგიძე 1833 წელს დაბადებულა. მას ხუთი ვაჟი ჰყოლია: იობი, ლაურენტი, ისიდორე, მიხეილ და კონსტანტინე. იობი ერმალოზის ძე ჩიგოგიძე იყო უკანასკნელი მღვდელი ინტაბუეთის ღვთისმშობლის ეკლესიისა. ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი იობ მღვდლის, მისი შვილის ერმალო ჩიგოგიძის და შვილიშვილის ბადრი ჩიგოგიძის მიერ ძველი ქართული ჯვრის გადარჩენის შესახებ. ერმალოს მეორე შვილი, ზაალ ჩიგოგიძე დღესაც იობის, ერმალოზის, დიდი იობის და ოტიას ნაფუძარზე ცხოვრობს ინტაბუეთში. ამჟამად ეს კაცი არის ჩიგოგიძეთა ბუდე–სოფელში, გვარის აზნაურული შტოს ძველი კერის შემნახველი.

მამა იობის უფროსი ვაჟი, გერონტი ჩიგოგიძე (დაბ. 1916წ.) ინტაბუეთიდან მეზობელ სოფელ ზენუბანში გადასახლებულა, ზენუბნელი დუმბაძეების მამულზე ძესიძედ მისულა. მალე რუსეთ–გერმანიის ომში წაუყვანიათ. ომის წლებში ერთხანს მის ოჯახში, „მამიდა ქეთოსთან“ იზრდებოდა მომავალი მწერალი ნოდარ დუმბაძე.

ყველასათვის ცნობილი და საყვარელი დუმბაძისეული


პერსონაჟის ილიკო ჩიგოგიძის პროტოტიპი, სინამდვილეში ზენუბნელი ილიკო დუმბაძე იყო, ხოლო გვარი „ჩიგოგიძე“ მამიდის ოჯახის პატივსაცემად შეურჩევია მისთვის ავტორს.

ღვაწლმოსილი პედაგოგის, გერონტი იობის ძე ჩიგოგიძის ვაჟი რამდენიმე მხატვრული ნაწარმოების ავტორი, ბუნებით შემოქმედი კაცი – ვასამაზ ჩიგოგიძე ამჟამად ზენუბანში ნოდარ დუმბაძის სახლ-მუზეუმის დირექტორია. მის ოჯახში ინახება ბაბუის, იობ მღვდლის გულსაკიდი ჯვარი.

იობ მღვდლის ერთ-ერთ ძმას ისიდორე ერქვა. ორივე ძმა ერთად დააპატიმრეს „გასაბჭოების“ შემდეგ. აზნაურის შვილები იყვნენ და ესე იგი – „ხალხის მტრები“. დააპატიმრეს და ციმბირის გზას გაუყენეს, მაგრამ რატომღაც ნახევარი გზიდან უკან დააბრუნეს და გაათავისუფლეს. ბოლშევიკებისათვის ასეთი უჩვეულო ჰუმანურობის მიზეზი შეიძლება იმ ფაქტით აიხსნას, რომ ერთხელ 1900-იან წლებში იობ მღვდელს, თურმე, თავის სახლში დაუმალავს პოლიციისგან დევნილი და ხიდისთავიდან ინტაბუეთში გაქცეული ახალგაზრდა ბოლშევიკ-აგიტატორი სოსო ჯუღაშვილი. ვინ იცის, რამდენად მართალია, მღვდელი ჩიგოგიძის მიერ ბოლშევიკი ჯუღაშვილის გადარჩენის ამბავი, მაგრამ საერთოდ გურულებს რევოლუციასთან და რევოლუციონერებთან დაკავშირებული ამბები კარგად ახსოვთ.

განთავისუფლების შემდეგ ძმები ჩიგოგიძეები ერთმანეთს დაშორდნენ. ყოფილი მღვდელი იობი ისევ მამის კერას დაუბრუნდა ინტაბუეთში, ისიდორე კი საქართველოდან გადაიხვეწა. იცოდა, ალბათ, რომ მღვდლის შვილს და აზნაურის შთამომავალს ანუ მაშინდელი იდეოლოგიით „მავნე ელემენტს“ ერთხელ დაპატიმრებას არ აკმარებდნენ. სადღაც განჯის მხარეში წასულა, ეაჭრობა დაუწყია, მაგრამ მალევე გაურკვეველ ვითარებაში დაღუპულა, როგორც ამბობენ მოუკლავთ.


ისიდორე ჩიგოგიძეს ერთი შვილი დარჩა კონსტანტინე, რომელიც ინტაბუეთში იზრდებოდა. ამჟამად, კონსტანტინე ისიდორეს ძე ჩიგოგიძის შვილები პაველ და რევაზ ჩიგოგიძეები, მათი შვილები და შვილიშვილები თბილისში ცხოვრობენ.




რეზო კონსტანტინეს ძე
ჩიგოგიძე, მეუღლე რუსუდან
გურგენიძე



პაპლე კონსტანტინეს ძე
ჩიგოგიძე




დავით პავლეს ძე ჩიგოგიძე



თეიმურაზ პავლეს ძე
ჩიგოგიძე

ინტაბუეთის ჩიგოგიძენი, ჩიბოტლეკიეთა შტო (საგინებელი) იესეს შთამომავლობა.



ნახ. 3

დაახლოებით 1760-იან წლებში დაბადებულ ინტაბუეთელ აზნაურს იესე ჩიგოგიძეს ორი ვაჟი ჰყავდა: გიორგი (დაბ. 1780-იან წ.) და პეტრე (1790-1856 წ.). გიორგი, როგორც ჩანს, ადრეულ გარდაცვლილა, მისი შვილი მაქსიმენი (დაბ.1808 წ.) ბიძამისის, აზნაურ პეტრე ჩიგოგიძის ოჯახთან ერთად იხსენიება 1840 წლის ინტაბუეთის წმინდა გიორგის ეკლესიის აღსარების მთქმელთა სიაში და 1868 წლის ქუთაისის თავადაზნაურთა საკრებულოს დადგენილებაში. იმ განსხვავებით, რომ მეორე დოკუმენტში მაქსიმენ ჩიგოგიძე ცოლთან და შვილთან ერთად იხსენიება. მისი შთამომავლების შესახებ საუბარი გვექნება ცალკე თავში, როდესაც ოზურგეთის ჩიგოგიძეებს შევეხებით. 1866 წელს მაქსიმენ ჩიგოგიძე შვილთან გიორგისთან, ბიძასთან პეტრე ჩიგოგიძესთან (იმხანად უკვე გარდაცვალებულთან), ბიძაშვილებთან: ოქროპირ, ანტონ, დავით და გრიგოლთან და ბიძაშვილის შვილებთან: ფრიდონ და ილარიონთან ერთად „უმაღლესად დამტკიცებულ იქნა აზნაურობაში".

ინტაბუეთის ღვთისმშობლის ეკლესიის მეტრიკული ჩანაწერებიდან ირკვევა, რომ აზნაურ პეტრე იესეს ძე ჩიგოგიძეს სემოთ ნახსენები ოთხი ვაჟის გარდა კიდევ ორი ვაჟი ჰყავდა: ბიბო და ივანე. საინტერესოა, რატომ ვერ მოხვდნენ ისინი აზნაურთა სიაში. თუმცა, მეტრიკული ჩანაწერების მიხედვით, ორივე აზნაურია. მაგალითად, 1849 წელს იხსენიება აზნაური ბიბო პეტრეს ძე ჩიგოგიძე, ხოლო 1867 წელს აზნაური ივანე პეტრეს ძე ჩიგოგიძე (მას ამ წელს ასული შეეძინა, სახელად ელისაბედ).

აზნაურ ოქროპირ პეტრეს ძე ჩიგოგიძეს „აზნაურობაში დამტკიცებული" შვილების ფრიდონის და ილარიონის გარდა კიდევ ერთი შვილი ჰყავდა – დიმიტრი. მეტრიკული ჩანაწერების მიხედვით, მას მეტად ტრაგიკული ბედი ჰქონია. დიმიტრის 1877 წელს მცირეწლოვანი შვილი გარდაეცვალა, სახელად პლატონი, 1880 წლის ჩანაწერებიდან ვგებულობთ, რომ დაქვრივებულმა დიმიტრი ჩიგოგიძემ მეორე ცოლი შეირთო, მაგრამ მალე ჯერ თვითონ გარდაცვლილა და მერე მისი მეორე მცირეწლოვანი შვილი. 1885 წლის თარიღით ინტაბუეთის ღვთისმშობლის ეკლესიის მეტრიკულ წიგნში მღვდელ ერმალაოზ ჩიგოგიძეს და მედავითნეს ხალამპრე ჩიგოგიძეს

შემდეგი სიტყვები ჩაუწერიათ: „გარდაიცვალა აწ გარდაცვალებულის ასნაურის დემეტრე ჩიგოგიძის ასული ფროლო“. ფრიდონ და ილარიონ ოქროპირის ძეთა შთამომავლობის შესახებ არაფერია ცნობილი.

ოქროპირის მომდევნო ძმა ანტონ ჩიგოგიძე (დაბ. 1820 წ.) სასულიერო პირი იყო. 1840 წლის აღსარების მთქმელთა სიაში მის შესახებ სწერია, რომ იგი 20 წლისაა. ასნაურ ანტონ პეტრეს ძე ჩიგოგიძეს 1841 წელს შეეძინა ასული ქრისტინე. 1843 წლიდან ანტონი ინტაბუეთის ღვთისმშობლის ეკლესიაში მედავითნედ მსახურობს, ხოლო 1878 წლიდან იმავე ეკლესიის მღვდელი ხდება.


ანტონის მომდევნო ძმა დავით ჩიგოგიძე (დაბ. 1826 წ.) ის დათა ჩიგოგიძეა, რომელსაც 1860-იან წლებში ასნაური ბიჭია ბერიძე უჩიოდა ოზურგეთის „უეზდის ნაჩალნიკთან“. დათა და გრიგოლ ჩიგოგიძეები „კუთვნილი ჩემდამო ყმანი“. . . „არა თუ მემსახურებიან“ . . . არამედ „იწინააღმდეგქეს და მრაელის უშვერის და უშესაბამო სიტყვითა გამლანძღეს“-ო. როგორც დავინახეთ, ძმები დათა ანუ დავითი და გრიგოლ ჩიგოგიძეები იმ ჩიგოგიძეთა შორის აღმოჩნდნენ, რომლებიც 1866 წელს იმპერატორმა „ასნაურობაში დაამტკიცა“.

მეტრიკულ ჩანაწერებში შემორჩენილია ცნობა იმის შესახებ, რომ ასნაურმა დავით პეტრეს ძე ჩიგოგიძემ 1870 წელს მოანათლინა ვაჟი მირონისე. ეს ის მირონისე დავითის ძე ჩიგოგიძეა, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობის წლებში გვარდიის ოფიცერი იყო, ჯავშნოსან მატარებელს მეთაურობდა და რომელიც „სომხის ომში“ დაიღუპა 1920 წელს. მისი ერთ-ერთი შვილიშვილი მირონ ვიქტორის ძე ჩიგოგიძე ამჟამად ქართული ჯარის გენერალია.


ზეპირი გადმოცემით, ჩიგოგიძეთა გვარის ჩიბოტლეკიეთა საგინებლის იესეს შთამომავლობაში დასახელებულთა გარდა ახსოვთ სახელები: კალენიკე, დიმიტრი და შალვა. (წერილობით წყაროებში ეს სახელები არ გეხვდება).

ინტაბუეთის ჩიგოგიძეთა ასნაურულ შტოს უნდა ეკუთვნოდეს XIX საუკუნის შუახანებში ინტაბუეთში მცხოვრები ბარათლომე ჩიგოგიძის შთამომავლობა.

ინტაბუეთის ჩიგოგიძენი, ჩიბოტლეკიეთა შტო (საგინებელი)
ბართლომეს შთამომავლობა



ნახ. 4



თქიმშრას გალაქტიონის ძე ციგროგიძე


ბართლომე ჩიგოგიძის შვილიშვილი ნიკოლოზი (დაბ. დაახ. 1882 წელს), XX საუკუნის 10-იან წლებში, ლანჩხუთის მხარის სოფელ ლაშისლელეში ჩასიძებული. ჩიგოგიძეთა ამ შტოს ეკუთვნის მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი თეიმურაზ გალაქტიონის ძე ჩიგოგიძე და მისი ბიძაშვილი, მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ალექსანდრე ჭოლას ძე ჩიგოგიძე.

ბართლომე ჩიგოგიძის შთამომავალთაგან სოფელ ლაშისლელეში არავინ დარჩა, ისინი ამჟამად ცხოვრობენ თბილისში (ნიკოლოზ და თეიმურაზ ჩიგოგიძეების ოჯახები), კანადაში (ალექსანდრე ჩიგოგიძის ოჯახი) და იაპონიაში (ნატალი თეიმურაზის ასული ჩიგოგიძე).

ჩიგოგიძეთა გვარის ჩიბოტლეკიეთა შტოს ეკუთვნის XIX საუკუნეში ინტაბუეთიდან ჩოხატაურში, შემდეგ ქუთაისში და შემდეგ ბათუმში გადასახლებული კიდევ ერთი ოჯახი, ფარსადან ჩიგოგიძის შთამომავლობა. (იხ. ნახ. 5).

ფარსადანის ვაჟი გიორგი ჩიგოგიძე ქუთაისიდან ბათუმში გადასახლდა იქ საქართველოს დამოუკიდებლობის წლებში ქალაქის თავის მოადგილედ მსახურობდა, ბოლშევიკების შემოსვლის შემდეგ მის ოჯახს ბათუმში აღარ ედგომებოდა და ბორჯომში გადასახლდა. გიორგი ჩიგოგიძის ორი ვაჟი გიორგი და ლევანი რუსეთ-გერმანიის ომში იბრძოდნენ. ფარსადან ჩიგოგიძის შთამომავლები ამჟამად მოსკოვში და თბილისში ცხოვრობენ.

ინტაბუეთის ჩიგოგიძენი, ჩიბოტლეკიეთა შტო (საგინებელი)
ფარსადანის შთამომავლობა



ნახ. 5



ფარსადან ჩიგოგიძე ოჯახით



ბიორგი ფარსადანის ძე ციციშვილი მეუღლესთან



გიორგი გიორგის ძე
ჩიგოგიძე



ლუკან გიორგის ძე
ჩიგოგიძე



თინათინ გიორგის ასული
ჩიგოგიძე



მანანა გიორგის ასული
ჩიგოგიძე



ტარიელ გიორგის ძე ჩიგოგიძე ოჯახით

ჯღარკენი

ჩიგოგიძეთა გვარის ჯღარკეთა საგინებელი ორი სანათესაოსგან შედგება, რომლებსაც ერთმანეთთან მჭიდრო კავშირი აქვთ. ამ სანათესაოთა ყველა'ზე შორეული წინაპრების სახელების მიხედვით მათ, პირობითად, გიორგის და სტეფანეს შთამომაელობები შეიძლება ვუწოდოთ. (იხ. ნახ. 6).


ინტაბუეთის ღვთისმშობლის ეკლესიის 1859 წლის მეტრიკულ ჩანაწერებში ვკითხულობთ: „საბატონო ყმას, ლაზარე გიორგის ძე ჩიგოგიძეს შეეძინა ვაჟი გიორგი".

1871 წელი: „საბატონო გლეხს ლაზარე გიორგის ძე ჩიგოგიძეს შეეძინა ქალი შვილი ეკა". ამ დროისათვის საქართველოში ბატონყმობა უკვე გაუქმებული და 1859 წელს საბატონო ყმად მოხსენიებული ლაზარე ჩიგოგიძე უკვე საბატონო გლეხად იწოდება. გლეხი ლაზარე ჩიგოგიძე მოხსენიებულია სოფელ ინტაბუეთში 1873 წლის კამერალურ აღწერაშიც.


მართალია, გლეხი ლაზარე ჩიგოგიძე XIX საუკუნის 70-იან წლებში ინტაბუეთის კომლთა სიაში ირიცხება და ინტაბუეთის ეკლესიის მრევლს ეკუთვნის, მაგრამ ბატონყმობის გაუქმების შემდეგ 1860-იან წლებში იგი თავისი ოჯახით ოსურგეთის მხარეში, სოფელ მელექედურში გადასულა და მისი შთამომავალნი დღეს უკვე იქ ცხოვრობენ. ინტაბუეთში დარჩენილა (ან დაბრუნებულა) მისი ერთ-ერთი შვილი ეროდე, რომლის შთამომავალნი ამჟამად ისევ ინტაბუეთში არიან.

ამრიგად, ინტაბუეთის ჯღარკეთა საგინებლის ჩიგოგიძენი ახლო ნათესაურ კავშირში არიან მელექედურის ჩიგოგიძეებთან. მელექედურის ჩიგოგიძეები (მათ შესახებ ცალკე ქვეთავში გვექნება საუბარი) 4-5 თაობის განაყრები არიან ინტაბუეთის ჯღარკეთა საგინებლის ჩიგოგიძეებთან.

ინტაბუეთის ღვთისმშობლის ეკლესიის მეტრიკული ჩანაწერებიდან ირკვევა, რომ 1870 წელს გარდაცვლილა ინტაბუეთში მცხოვრები გლეხი ბესარიონ იოვანეს ძე ჩიგოგიძე. ეს პიროვნება


გორგი
(დაბ. დაახ. 1800 წ.)
ლაზარე
(დაბ. დაახ. 1830 წ)
ეკა
(დაბ 1871)
თედორე
მათე
ეროდე
(დაბ. დაახ. 1860)
რაჟდენ
გიორგი
(გიგო)
(დაბ. 1859)
ვაჟი
(სახელი უცნობია)
ბესარიონ
(დაბ. დაახ 1890წ.)
ვაჟი
(სახელი უცნობია)
თამარ
(დაბ 1924)
ნიკოლოზ
(დაბ. 1920)
აკაკი
(დაბ. 1923)
ნანული
მანანა
ნუნუ
მედეა
ნიკოლოზ
შოთა
ენვერ
(დაბ. 1949)
ბესარიონ
(დაბ 1951)
თემურ
(დაბ. 1951)
აკაკი
(დაბ 1953)
ეკა
(ქალი)
ლალი
(დაბ. 1980)
ნინო
(დაბ 1972)
ცირა
(დაბ 1978)
ნიკა
გიგა
(ვაჟი)
აკაკი
(დაბ 1975)
(ვაჟი)

ინტაბუეთის ჩიგოგიძენი, ვლარკეთა შტო (საგინებელი)
გიორგის შთამომავლობა



ნახ. 6

ჩვენს მიერ წარმოდგენილ ჩიგოგიძეთა გენეალოგიურ ნახაზებში ვერ მოვათავსეთ. მაკრამ დასაშვებად მიგვაჩნია ვერსია, რომ იგი სწორედ ჯღარკეთა საგინებლის გიორგის შთამომაცალთა სანათესაოს ეკუთვნის. ასეთი ვარაუდის საფუძველს იძლევა ის ფაქტი, რომ ამ სანათესაოს თაობებში სახელი ბესარიონიც ორჯერ მეორდება და სახელი ივანეც. შესაბამისობაა სოციალური მდგომარეობის მიხედვითაც. თუმცა, ეს არგუმენტები მხოლდ ვარაუდის საფუძვლად გამოდგება და არა მტკიცებულებად.


ინტაბუეთში დარჩენილ (თუ დაბრუნებულ) ეროდი ლაშარეს ძე ჩიგოგიძის ერთ ვაჟს ბესარიონი ერქვა, რომელიც დაახლოებით 1890-იან წლებში უნდა იყოს დაბადებული. ბესარიონ ეროდის ძე ჩიგოგიძეს ორი ძმა ჰყოლია, რომელთა სახელებიც მთხრობელებმა ველარ გაიხსენეს. მათ სოფლის ერთ-ერთ შემაღლებულ ადგილს უკხოვრიათ, რომელსაც „ჩიგოგიძნების გორას“-ს ეძახიან ინტაბუეთში.

ბესარიონის ვაჟებიდან ორნი, ნიკოლოზ და აკაკი ჩიგოგიძეები 1941 წელს რუსეთ-გერმანიის ომში წაიყვანეს, მესამე ძმა, ივანე ჯერ კიდევ არ იყო წვევამდელი ასაკის და მობილიზაციას გადაურჩა ძმებში უმცროსი გულთაზ ჩიგოგიძე ომის დაწყების წელს დაიბადა.

ამჟამად ნიკოლოზ ბესარიონის ძე ჩიგოგიძის შთამომაცალნი თბილისში ცხოვრობენ, აკაკი ბესარიონის ძე ჩიგოგიძის შთამომაცალნი – ინტაბუეთში, თბილისსა და ბათუმში. ინტაბუეთში და ბათუმში ცხოვრობენ მათი ძმების – ივანე და გულთაზ ჩიგოგიძეების შვილები და შვილიშვილები.

ჩიგოგიძეთა გვარის ჯღარკეთა საგინებლის მეორე სანათესაო, პირობითად სტეფანეს შთამომავლობა, ხუთ თაობას ითვლის. (იხ. ნახ 7). თავად სტეფანე ჩიგოგიძე (დაბ. 1870-იან წ.) როგორც V თაობის წინაპარი შვილიშვილად ერგება ჯღარკეთა პირველი სანათესაოს ყველაზე ძველ წარმომადგენელს, გიორგი ჩიგოგიძეს (დაბ. 1800-იან წ.), როგორც VII თაობის წინაპარს. დანამდვილებით ვერაფერს ვიტყვით, მაგრამ ამ ორი სანათესაოს წარმომადგენლები თავს ერთი და იგივე საგინებელს მიაკუთვნებენ, ესე იგი სხვა ჩიგოგიძეებთან შედარებით ერთმანეთთან ყველაზე ახლოს დგანან.


ინტაბუეთის ჩიგოგიძენი, ვლარკეთა შტო (საგინებელი)
სტეფანეს შთამომავლობა



ნახ. 7

1870–იან წლებში დაბადებული სტეფანე ჩიგოგიძე იმ თაობას ეკუთვნის, რომელსაც რუსეთ–ოსმალეთის ომში მოუწია ბრძოლა. მას რუსეთის იმპერიაში საბრძოლო მამაცობისათვის დაწესებული ორდენი „გიორგის ჯვარი“ ჰქონდა მიღებული. სტეფანეს შვილების თაობა უკვე რუსეთ–გერმანიის ომში იბრძოდა. მისი ერთ–ერთი შვილი, ეახტანგ ჩიგოგიძე ყირიმში ტყვედ ჩავარდა, რაც, როგორც ვიცით, იყო ნათქვამი, იმ დროის „სოციალისტური სამშობლოს“ ღალატად ითვლებოდა. ამჟამად სტეფანე ჩიგოგიძის შთამომაელები ინტაბუეთ'ში და თბილისში ცხოვრობენ. ჩიგოგიძეთა გვარის ჯვარკეთა საგინებელს მიეკუთვნებიან ძმები მოსე და შალვა ჩიგოგიძეები (ბათუმი), მაგრამ გენეალოგიურ ნახაზებში მთხრობელებმა მათი ადგილი ვერ მიგვითითეს.


ინტაბუეთის ჩიგოგიძენი, ჯვარკეთა შტო



ნახ. 8

ასევე ჩიგოგიძეთა გვარის ჯღარკეთა შტოს (საგინებელს) უნდა ეკუთვნოდეს 1780–იან წლებში დაბადებული ინტაბუეთელი გლეხის ხახუტა ჩიგოგიძის შთამომავლობა.

ინტაბუეთის ჩიგოგიძენი, ჯღარკეთა შტო (საგინებელი)
ხახუტას შთამომავლობა



ნახ. 9


1840 წლის ინტაბუეთის წმინდა გიორგის ეკლესიის აღსარების მთქმელთა სიაში ბიჭია ხახუტას ძე ჩიგოგიძე მოხსენიებულია, როგორც ასნაურ მაქსიმე შარაშენიძის სახლში მდგომი შინამოსამსახურე. ბიჭია ჩიგოგიძეს ერთი ძმა ჰყოლია, სახელად სიმონ. ქვემოთ, როდესაც საუბარი გვექნება ახალშენის ჩიგოგიძეთა ბრუეთა საგინებელზე, დავინახავთ, რომ ერთ–ერთი მათი წინაპარი ბიჭია სიმონის ძე ჩიგოგიძე იყო. ვერ დავამტკიცებთ, მაგრამ ჩიგოგიძეებში ინტაბუეთელი ჯღარკეთა და ახალშენელ ბრუეთა შორის სახელების (ბიჭია, სიმონ) დამთხვევა შემთხვევითი არ უნდა იყოს.

ძმები ბიჭია და სიმონ ჩიგოგიძეები ინტაბუეთში და ბიჭია სიმონის ძე ჩიგოგიძე ახალშენში დაახლოებით ერთი და იგივე პერიოდში, XIX საუკუნის I ნახევარში იხსენიებიან. ამჟამად, ხახუტა ჩიგოგიძის შვილთაშვილის, მიხეილის შთამომავალნი ინტაბუეთში არ ჩანან.


ტურაწველიენი

ინტაბუეთის ჩიგოგიძეთაგან ზოგი მთხრობელი უარყოფს ჩიგოგიძეთა გვარში ტურაწველიეთა საგინებლის არსებობას, მაგრამ ასეთი სახელწოდების საგინებელი ჩიგოგიძეებში მაინც დასტურდება. ჩვენ შევხვდით იმ ჩიგოგიძეებსაც, რომლებმაც საკუთარი საგინებლის სახელად სწორედ „ტურაწველია“ დაასახელეს.

გურიის სოფლებში მოძიებული ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით, ჩიგოგიძეთა გვარის ტურაწველიეთა საგინებელში ჯერარკეთა მსგავსად ორი სანათესაო გამოიკვეთა.



ინტაბუეთის ჩიგოგიძენი, ტურაწველიეთა შტო (საგინებელი)
ესიკას შთამომავლობა



ნახ. 10

ესიკა ჩიგოგიძე დაახლოებით 1850-იან წლებში უნდა იყოს დაბადებული. ეთნოგრაფიული მონაცემებით, იგი თავისი ოჯახით ინტაბუეთიდან აყრილა და სოფელ სურებში გადასახლებულა.

1873 წლის კამერალური აღწერის მიხედვით, გლეხი ესიკა ჩიგოგიძე ჯერ კიდევ ინტაბუეთში ცხოვრობდა, სურებში გადასახლება შემდეგ წლებში მომხდარა. მისი ერთ-ერთი ვაჟი სერგო ესიკას ძე ჩიგოგიძე (დაბ. 1892წ.) ჯერ რუსეთ-ოსმალეთის ომში იბრძოდა 1914-1917 წლებში, შემდეგ 1939 წელს რუსეთ-ფინეთის ომში წაიყვანეს, საიდანაც მძიმედ დაჭრილი, დაინვალიდებული დაბრუნდა. მისი შვილი კაკო ჩიგოგიძე რუსეთ-გერმანიის ომში იბრძოდა.


ესიკას შვილიშვილების თაობამ დატოვა სოფლები სურები და გურიის სოფლებში: გოგოლეისუბანში, 'შუაგანახლება'ში და ძიმითში დასახლდა.

ამჟამად, დიმიტრი სერგოს ძე ჩიგოგიძის ორაკალრიცხოვანი შვილები და შვილიშვილები გოგოლეისუბანში ცხოვრობენ. დიმიტრის ძმის, გივი სერგოს ძე ჩიგოგიძის 'შთამომავალნი შუაგანახლება'ში და ქუთაისში ცხოვრობენ. მა'შინ როდესაც ჩიგოგიძეებმა სურები დატოვეს, დიმიტრის და გივის ბიძა'შვილი თედო მერქისას ძე ჩიგოგიძე სოფელ ძიმითში დასახლდა.

ამრიგად, ესიკა ჩიგოგიძის შთამომავალთაგან საგვარეულო ბუდეს - ინტაბუეთს არავინ შემორჩა. საგვარეულო ბუდე მიუტოვებია ტურაწველიეთა მეორე სანათესაოსაც, პეტრე ჩიგოგიძის შთამომაველობას. (იხ. ნახ.11)

1870-იან წლებში დაბადებულ ინტაბუეთელ გლეხს პეტრე ჩიგოგიძეს ერთი ვაჟი და სამი ქალი ჰყოლია. მისი შვილის სეკერიან პეტრეს ძე ჩიგოგიძის სახლი დღესაც დგას ინტაბუეთში, მისი შვილიშვილები და შვილთა'შვილები უკვე თბილის'ში ცხოვრობენ.


ინტაბუეთის ჩოგოიძენი, ტურაწველიეთა შტო (საგინებელი)
პეტრეს შთამომავლობა



ნახ. 11

1840 წლის ინტაბუეთის წმინდა გიორგის ეკლესიის აღსარების მთქმელთა სიაში და ინტაბუეთის ღვთისმშობლის ეკლესიის მეტრიკულ წიგნებში იხსენიება დაახლოებით 1770-იან წლებში დაბადებული დავით ჩიგოგიძის ოჯახი.

ინტაბუეთის ჩიგოგიძენი, ტურაწველიეთა შტო (საგინებელი)
დავითის შთამომავლობა



ნახ. 12

ეთნოგრაფიული მონაცემებით ეს ოჯახი ჩიგოგიძეთა გვარის ტურაწველიეთა საგინებელს ეკუთვნის. ძმების: იესე, დავით და ივანე ჩიგოგიძეების შთამომავლების შესახებ ვერაფერს ვიტყვით. თუ მათ შთამომავლობა დარჩათ, ისინი ინტაბუეთ'ში ნამდვილად არ ცხოვრობენ.

ამრიგად, დღეისათვის ინტაბუეთ'ში ტურაწველიეთა საგინებლის არც ერთი ჩიგოგიძე არ ცხოვრობს. ალბათ, ამით აიხსნება, რომ ინტაბუეთელ ჩიგოგიძეებს სახელი „ტურაწველია“ ეუცხოვებათ და უარყოფენ კიდეც გვარში ამ საგინებლის არსებობას.

ჩანთეჩაარაკუნენი

ინტაბუეთში ჩიგოგიძეთა გვარის ჩანთეჩაარაკუნეთა საგინებლის ერთ საკმაოდ მრავალრიცხოვან ოჯახს უცხოერია XIX საუკუნეში. საარქივო მასალის მიხედვით ოჯახის მამა, დაახლოებით 1770–იან წლებში დაბადებული გლეხი გიორგი ჩიგოგიძე ყოფილა. (იხ. ნახ. 13).


1873 წლის კამერალური აღწერის სიებში იხსენიებიან ინტაბუეთელი საბატონო გლეხები: იასე (იესე ნიკოლოზის ძე, დაბ. 1829 წ.), ბიჭია (ბიჭია დიანოზის ძე, დაბ. 1830 წ.), ივანიკა (ივანე დავითის ძე, დაბ. 1828 წ.) და ალმასხან (ალმასხან დავითის ძე, დაბადების წელი უცნობია) ჩიგოგიძენი. როგორც ჩანს, ამათგან დღეისათვის ინტაბუეთში მხოლოდ იესეს შთამომავალნი დარჩენილან. სხვათა შთამომავალნი, უნდა ვივარაუდოთ, წასულან. ინტაბუეთელი მცხრობელებს მათ შესახებ არაფერი ახსოვთ.

ამჟამად, ჩანთეჩაარაკუნეთა საგინებლის ჩიგოგიძეებს ყველაზე შორეულ წინაპრად ნოე, ახსოვთ. ეს პიროვნება უნდა იყოს იესე ნიკოლოზის ძე ჩიგოგიძის შვილი, რომელიც მეტრიკული ჩანაწერების მიხედვით, 1870 წელს მოუნათლავთ. (იხ. ნახ. 14).


ეთნოგრაფიული მონაცემებით, ნოე ჩიგოგიძეს სამი ვაჟი ჰყოლია. ისიდორეს გარდა, ორი შვილისგან (სახელები უცნობია) შვილიშვილები ჰყავდა: ბორის და სანდრო ჩიგოგიძეები, აგრეთვე შვილთაშვილები: სიმონ და გოგი ჩიგოგიძეები (სანდროს შვილები).

ისიდორე ნოეს ძე ჩიგოგიძეს (დაბ. 1890–იან წ.) ჯერ I მსოფლიო ომი და მერე რუსეთის სამოქალაქო ომი გადახდა. კრასნოდარის მხარეში ჩარჩენილა, ნოვოროსიისკის პორტში ხელმძღვანელ თანამდებობაზე უმუშავია, ახალგაზრდა გარდაიცვალა. მისი ერთ–ერთი შვილი – ტერენტი ჩიგოგიძე რუსეთ–გერმანიის ომის დროს ცნობილ 414–ე ქართულ დივიზიაში იბრძოდა.

ნოე ჩიგოგიძის შთამომავალნი ამჟამად ინტაბუეთში და თბილისში ცხოვრობენ.



გიორგი
(დაბ. დაახ.1770 წ.)
ნიკოლოზ
(1800–1847)
დიანოზ
(1808–1867)
ბარბალე
(დაბ. 1834)
მზეხა
(დაბ. 1836)
მარინე
ანა
ნინო
იესე
(დაბ. 1829)
დიმიტრი
ბიჭია
(დაბ. 1830)
ბარბალე
(დაბ. 1874)
სოფო
(დაბ. 1878)
ტერეზია
(დაბ. 1867)
ნოე
(მოინათლა 1870)
ივანე
(დაბ. 1856)
მაქსიმენ
(დაბ. 1857)

ინტაბუეთის ჩიგოგიძენი, ჩანთეჩაარაკუნეთა შტო (საგინებელი)
გიორგის შთამომავლობა



ნახ. 13

ინტაბუეთის ჩიგოგიძენი, ჩანთეჩაარაკუნეთა შტო (საგინებელი)
ნოეს შთამომავლობა



ნახ. 14

ახალშენის ჩიგოგიძენი

ჭყიმენი

ჭყიმენი – გურიის სოფელ ახალშენში მცხოვრები ჩიგოგიძეების ერთ–ერთი შტოს სახელია. სიტყვა „ჭყიმა" ერთგვარ მხალს აღნიშნავს, გურიაში გაერცელებულს.

ჩიგოგიძეთა გვარის მთხრობელები არაფერს ამბობენ ახალშენში აზნაური ჩიგოგიძეების არსებობის შესახებ. მიაჩნიათ, რომ ახალშენის ჩიგოგიძეთა სამიეე შტო გლეხური წარმომავლობისაა, მაგრამ საარქიეო მასალა სხვაგეარად მსჯელობის საშუალებას გვაძლევს.

ახალშენის მაცხოვრის ეკლესიის 1843 წლის მეტრიკულ ჩანაწერებში ეკითხულობთ, რომ ახალშენში მცხოვრები აზნაური ჩიგოგიძე იესე იოვანეს ძე და სჯულიერი მეუღლე მისი გულქან ნიკოლოზის ასული, ორიეე მართლმადიდებლური აღსარებისანი, ნათლაეენ შვილს მარიამს. მიმრქმელი ყოფილა სოფელ ქვენუბანში მცხოვრები სახელმწიფო აზნაური ბექი იესეს ძე. საიდუმლო ნათლისღება აღასრულა ახალშენის მაცხოვრის ეკლესიის მღვდელმა, აზნაურმა საბა გიორგის ძე თაბერიძემ.

1870 წლის მეტრიკულ ჩანაწერებში სწერია, რომ ამ წლის 10 სექტემბერს ახალშენში გარდაიცვალა აზნაურის იესე ჩიგოგიძის დედა თამარ იესეს ასული.

შესაძლებლად მიგეაჩნია, რომ ეს ახალშენელი აზნაური იესე ჩიგოგიძე და 1843 წელს ახალშენში მოხსენიებული აზნაური იესე იოვანეს ძე ჩიგოგიძე ერთი და იგიეე პიროვნება იყოს. იგი 1810 წელს დაბადებულა, ხოლო მისი მამა იოვანე დაახლოებით 1780–იან წლებში უნდა იყოს დაბადებული.

1780 წელს დაბადებული იოვანე ჩიგოგიძე ჩვენ უკვე შეგვხვდა ინტაბუეთის წმინდა გიორგის ეკლესიის აღსარების მთქმელთა 1840 წლის სიაში (იმხანად ინტაბუეთში მცხოვრები 60 წლის მღვდელი იოვანე იესეს ძე ჩიგოგიძე). შეგვიძლია დავუშვათ, რომ ახალშენელი იესე იოვანეს ძე ჩიგოგიძე (დაბ. 1810 წ.) ინტაბუეთელი მღვდლის იოვანე იესეს ძე ჩიგოგიძის (დაბ. 1780 წ.) შვილია.

რადგან, ჩვენს ხელთ არსებული სხვადასხვა წერილობითი წყაროების მიხედვით, ახალშენელი იესე ჩიგოგიძე ნამდვილად აზნაურთა წოდებას ეკუთვნის, შეგვიძლია დანამდვილებით ვთქვათ, რომ ის და მისი შთამომაელობა ინტაბუეთის ჩიგოგიძეთაგან ყველაზე ახლოს სწორედ, ჩიბოტლეკიეთა შტოსთან დგანან.

ჩიგოგიძეთა გვარის მთხრობელთაგან ასეთი რამ არავის ახსოვს, მაგრამ სრული საფუძველი არსებობს იმის სათქმელად, რომ ახალშენელი ჩიგოგიძეების ჭყიმეთა შტო, ინტაბუეთელი ჩიგოგიძეების ჩიბოტლეკიეთა შტოს ახალი განშტოებაა. (იხ. ნახ. 15).

ახალშენის მაცხოვრის ეკლესიის მეტრიკულ ჩანაწერებში აღნიშნულია, რომ 1854 წელს იესე იოვანეს ძე ჩიგოგიძეს (ამ შემთხვევაში წოდების გარეშე იხსენიება) შეეძინა ვაჟი ნიკოლოზ (ბაბუის სახელი დედის ხაზით). ეთნოგრაფიული მონაცემებით ცნობილია, რომ ამ ოჯახში კიდევ ორი ვაჟი გაიზარდა: ალექსი და მაქსიმე.

მაქსიმე იესეს ძე ჩიგოგიძის შესახებ უკვე გვქონდა საუბარი. იგი, აზნაურის შვილი, ახალგაზრდობაშივე ბერად აღკვეცილა და შიომღვიმის მონასტერში მოღვაწეობდა. მოყვასისათვის ქრისტიანული თავგანწირვის მაგალითი ყოფილა მისი აღსასრული. მაქსიმე ჩიგოგიძეს შთამომაელობა არ დარჩენია. სამაგიეროდ, მის ძმებს ალექსის და ნიკოლოზს სამ-სამი ვაჟი ჰყავდათ.


ალექსის ერთი ვაჟი მალაქი ჩიგოგიძე ბიძამ, მაქსიმე ბერმა აღზარდა, ისე აღზარდა, რომ ახალგაზრდობიდანვე ერის სამსახურში ჩააყენა. მალაქი ალექსის ძე ჩიგოგიძე პედაგოგი გახდა. მის პედაგოგიურ მოღვაწეობაზე ტაო-კლარჯეთში და გურიაში ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი.

მაქსიმე ბერმა აღზარდა მეორე ძმისშვილიც, ნიკოლოზის შუათანა შვილი პროკოფი. ისიც ღმერთისა და საქართველოს სამსახურში ჩააყენა. პროკოფი ნიკოლოზის ძე ჩიგოგიძე მღვდლად მსახურობდა ბათუმში.

ტრაგიკული ბედი ჰქონდა ნიკოლოზ იესეს ძე ჩიგოგიძის ოჯახს. მისი შვილები: პარმენ და ერმალო ჩიგოგიძეები (ოფიცრები) და მღვდელი პროკოფი ჩიგოგიძეები 1937 წელს დააპატიმრეს და სამივე დახვრიტეს. დააპატიმრეს ნიკოლოზის ერთ-ერთი შვილიშვილიც, გიორგი (ბონდო) პროკოფის ძე ჩიგოგიძე, იმხანად სტუდენტი. იგი დახვრეტას გადაურჩა, მაგრამ მძიმედ დაავადებული, ცოცხალ-მკვდარი გამოიყვანეს შინსახკომის ჯურღმულებიდან. ნიკოლოზის მეორე შვილიშვილი, ერმალო 37 წელს გადაურჩა, მაგრამ რუსეთ-გერმანიის ომში გაიწვიეს და იქ დაიღუპა 1942 წელში.


ნიკოლოზ ჩიგოგიძის შთამომაველობაში ამჟამად მემკვიდრე გვარის გამგრძელებელი არ იზრდება.

ჩიგოგიძეთა გვარის ჭყიმეთა შტოს ოჯახები (მხოლოდ ალექსი იესეს ძე ჩიგოგიძის შთამომაველობა) ამჟამად ახალშენში (ჩოხატაურის რ-ნი), ლესაში (ლანჩხუთის რ-ში), ბათუმსა და ცხილისში ცხოვრობენ.


იოვანე
(ღაბ. დაახ 1780 წ.)
იესე
(1810–1872)
მარიამ
ეკა
ალექსი
კესარია
ივანე
(დაბ. 1872)
მალაქი
(დაბ. 1879)
ილია
ნინა
ფაცია
მარგალიტა
(1922–1981)
ნათელა
(დაბ. 1924)
ანნა
სერგო
(დაბ. 1915)
ოთარი
ტარასი
ნინო
თინა
ნანული
გია
დავითი
ვაჟა
სოსო
გვანცა
ხათუნა
ირმა
ივანე
კახა
ოთარი
გიორგი
ლაშა

ახალშენის ჩიგოგიძენი, ჭყიმეთა შტო (საგინებელი)

იოვანეს შთამომავლობა



ნახ. 15



ნიკოლოზ იესეს ძე და ბერი მაქსიმე იესეს ძე ჩიგოგიძეები



მღვდელი პროკოფი ნიკოლოზის ძე ჩიგოგიძე
ოჯახით



ძმები პარმენ, პროკოფი და ერეკლე ჩიგოგიძეები



მალაქი ალექსის ძე ჩიგოგიძე




ნათელა მალაქის ასული
ჩიგოგიძე



მარგალიტა მალაქის ასული
ჩიგოგიძე




ნინო ოთარის ასშლი
ჩიგოგიძე




ოთარ შალაძის ძე ჩიგოგიძე, შვილი დავით,
შვილიშვილები ოთარ და გვანცა ჩიგოგიძეები

ბრუენი

ახალშენის ჩიგოგიძეთა ორი შტო (საგინებელი) ბრუენი და ხარჩოყლაპიენი არცთუ დიდი ხნის წინ გაყრილან. მათ საერთო წინაპარს სვიმონ ჩიგოგიძეს XIX საუკუნის I ნახევარში უცხოვრია. სვიმონის ოჯახი, ალბათ, მისი გარდაცვალების შემდეგ გაიყარა. მას რამდენიმე შვილი ჰყოლია. ერთ-ერთი შვილის, ბიჭია სვიმონის ძე ჩიგოგიძის შთამომავლებს დღეს ახალშენში ბრუენებს ეძახიან.



ახალშენის ჩიგოგიძენი, ბრუეთა შტო (საგინებელი)
ბიჭვიას შთამომავლობა



ნახ. 16

საბატონო ყმა ჩიგოგიძე ბიჭია სიმონის ძე, ახალშენის მაცხოვრის ეკლესიის მეტრიკული ჩანაწერების მიხედვით, 1859 წელს გარდაცვლილა. მას დარჩა ორი ვაჟი როსტომ და ალექსი. როსტომ ბიჭიას ძე ჩიგოგიძე, ჩანაწერების მიხედვით, 1841 წელს მონათლულა. მას ოთხი ვაჟი და სამი ქალი ჰყოლია. ერთ-ერთი ვაჟი, სიმონ როსტომის ძე ჩიგოგიძე ექიმი ყოფილა, რომელიც ახალგაზრდა გარდაიცვალა, უცოლშვილო.

ბეგი როსტომის ძე ჩიგოგიძის სამივე ვაჟი: იპატი, ბესარიონ და პოლიო 1924 წლის ეროვნული აჯანყების მონაწილენი ყოფილან. ერთი მათგანი, იპატი ჩიგოგიძე 1937-ში დახვრიტეს, ხოლო ძმებს - ბესარიონ და პოლიო ჩიგოგიძეებს 12-12 წელი კატორღა მიუსაჯეს ურალისა და ციმბირის საბჭოთა საკონცენტრაციო ბანაკებში.

როსტომ ჩიგოგიძის შთამომავალნი ამჟამად ახალშენში, ჩოხატაურში, სამტრედიაში, ფოთში და თბილისში ცხოვრობენ.

ალექსი ბიჭიას ძე ჩიგოგიძის ოჯახს, შეიძლება ითქვას, ბედი სწყალობდა. მისი ერთადერთი ვაჟი, ვასო ალექსის ძე ჩიგოგიძე 1924 წლის აჯანყების აქტიური მონაწილე და ერთ-ერთი ხელმძღვანელიც ყოფილა გურიაში, რალა თქმა უნდა, დააპატიმრეს კიდეც, მაგრამ როგორლაც ცოცხალი გადარჩა. მას ექვსი შვილი ჰყავდა. უფროსი შვილი ვალიკო ჩიგოგიძე რუსეთ-გერმანიის ომში წაიყვანეს და ისიც ცოცხალი გადარჩა. ვასო ჩიგოგიძის ერთ-ერთი შვილიშვილი ვასიკო დემნას ძე ჩიგოგიძე დღეს თბილისში წარმატებული ბიზნესმენია.

ალექსი ჩიგოგიძის შთამომავალნი ამჟამად ახალშენში, ბათუმსა და თბილისში ცხოვრობენ.



ელენე იაშტის ასული ჩიგოგიძე შვილიშვილთან ერთად




ჯემალ ვალერიანის ძე
ჩიგოგიძე



დოდო ვალერიანის ასული
ჩიგოგიძე
ვაჟიშვილ პაატასთან ერთად



ნათელა ჯიმშელიანის ასული ჩიგოგიძე
მეუღლე ვლადი გოგიაშვილი



გრიგოლ ვასილის ძე ჩიგოგიძე ოჯახით



ლუარა გრიგოლის ასული ჩიგოგიძე, მეუღლესთან და შვილიშვილთან



ვასიკო დეიანას ძე ჩიგოგიძე, მეუღლე ია ოქიაძე

ხარჩოყლაპიენი


ახალშენელი ჩიგოგიძეების ხარჩოყლაპიეთა შტოს (საგინებლის) წინაპარი იგივე სეიმონ ჩიგოგიძე ყოფილა, რომლისგანაც ბრუეთა შთამომაელობა მომდინარეობს.

მეტრიკული ჩანაწერების მიხედვით, სეიმონ ჩიგოგიძის ერთ-ერთი შვილს იობს, 1854 წელს ორი ვაჟი (ალბათ, ტყუპები) შეეძინა – პეტრე და ნიკოლოზ. თავად იობი ჩიგოგიძე ამავე 1854 წელს გარდაცვლილა.

პეტრე იობის ძე ჩიგოგიძეს ორი ვაჟი და ორი ქალი ჰყავდა. მისი ერთ-ერთი შვილი, ანდრო ჩიგოგიძე 1924 წლის აჯანყებაში მონაწილეობდა, რის გამოც საბჭოთა კატორღას ვერ გადაურჩა. მასაც ორი ვაჟი და ორი ქალი ჰყავდა. უფროსი შვილი შოთა ანდროს ძე ჩიგოგიძე რუსეთ-გერმანიის ომში დაიღუპა. ანდრო ჩიგოგიძის შთამომაელები ამჟამად ჩოხატაურში და თბილისში ცხოვრობენ.

1937 წელს დაუპატიმრებიათ ანდროს ბიძაშვილი, ალექსანდრე ნიკოლოზის ძე ჩიგოგიძე, რომელიც ციმბირის რომელილაც ბანაკში დალუპულა. მისი შთამომაელები ამჟამად თბილისში ცხოვრობენ.

ახალშენის ჩიგოგიძენი, ხარჩოყლაპიეთა შტო (საგინებლი)
იობის შთამომავლობა




ნახ. 17

ახალშენში არიან ჩიგოგიძეები, რომლებიც თავს ვერც ერთ საგინებელს ვერ აკუთვნებენ. რა თქმა უნდა, ისინი შემოსახსენები ახალშენელი ჩიგოგიძეების ახლო ნათესავები არიან, მაგრამ მათში დაკარგულია ხსოვნა წინაპართა ნათესაური ურთიერთკავშირების შესახებ.

გადმოცემით, თითქოს, ბრუეთა და ხარჩოყლაპიეთა საერთო წინაპრის, სვიმონის ერთ-ერთი შვილის (სახელი უცნობია) შთამომავალია ახალშენელი გაიოზ ჩიგოგიძე.


ახალშენის ჩიგოგიძენი
სვიმონის შთამომავლობა



ნახ. 18

ჩიგოგიძეთა ამ შტოსთან ახლოს დგას ახალშენელი ფილიპე ჩიგოგიძის შთამომავლობა.

ახალშენის ჩიგოგიძენი
ფილიპეს შთამომავლობა




ნახ. 19

ფილიპე ჩიგოგიძე დიაკვნად მსახურობდა ახალშენის მაცხოვრის ეკლესიაში. მისი შთამომავლები ამჟამად ახალშენში, ლაითურში და თბილისში ცხოვრობენ. დიაკვან ფილიპე ჩიგოგიძის ერთ-ერთი შვილთაშვილი, თბილისში მცხოვრები ავთანდილ გიორგის ძე ჩიგოგიძე დღეს მღვდელია და მამა იოანედ იწოდება.

ახალშენის მაცხოვრის ეკლესიის მეტრიკულ ჩანაწერებში ვკითხულობთ, რომ 1876 წელს საბატონო გლეხს სიმონ ივანეს ძე ჩიგოგიძეს შეეძინა ვაჟი, სახელად ლავრენტი (მანამდე 1859 წელს მას შესძენია ერთი ვაჟი ივანე და 1870 წელს ტყუპი ქალები: ივლიტა და ნინო).


ახალშენის ჩიგოგიძენი
ივანეს შთამომავლობა




ნახ. 20

ბუნებრივად ჩნდება ვარაუდი, რომ სწორედ ამ ღიავრცნტი სიმონის ძე ჩიგოგიძის სახელი მეორდება მისი ან მისი უახლოესი ნათესაების შთამომავალთა თაობებში.

მეხრიობელთა აზრით, ჩიგოგიძეთა გვარის ხარჩოყლაპიეთა საგინებელს ეკუთვნის ან მასთან ახლოს დგას ახალციხელი იესე ჩიგოგიძის (დაბ. 1800-იან წლებში) შთამომავლობა.



ახალშენის ჩოგოიძენი
იესეს შთამომავლობა



ნახ. 21




პავლე გაბრიელის ძე ციგროვიძე მეუღლე პაპა ჩანტლაძე



მეტისი პავლეს ძე ციგროვიძე
მეუღლე გუგუცა
შალიკაშვილი



ევტიხი ჩიგოგიძის შთამომავლობა




შალვა ევტიხის ძე ჩიგოგიძე. მეუღლე ანასტასია

მეტრიკული ჩანაწერების მიხედვით, იესე ჩიგოგიძის შვილი გაბრიელ 1879 წელს გარდაცვლილა 46 წლის ასაკში, თავის 24 წლის ცოლთან და 9 წლის შვილიშვილთან ერთად. მის ერთ-ერთ შვილს, პაველე გაბრიელის ძე ჩიგოგიძეს თერთმეტი შვილი ჰყავდა. ამათგან ექვსი ძმა რუსეთ-ოსმალეთის ომში იბრძოდა. ძმებში უფროსმა – ევტიხიმ თავადი შალიკაშვილის ქალი მოიტაცა და ცოლად შეირთო. უკვე XX საუკუნე იყო. მათი შვილი შალვა ევტიხიის ძე ჩიგოგიძე რუსეთ-გერმანიის ომში იბრძოდა.

იესეს ჩამომავალნი ამჟამად ახალშენში, ბათუმში და თბილისში ცხოვრობენ.

მრავალრიცხოვანი ოჯახის პატრონი ყოფილა ახალშენელი მღვდელი, ესოფი ჩიგოგიძე. მას ცხრა შვილი ჰყოლია. ესოფი ჩიგოგიძე 1870-იანი წლების მეტრიკულ ჩანაწერებში ჯერ კიდევ „პრესვიტერად", მკდავიოსნედ იხსენიება.

ახალშენის ჩიგოგიძენი
ესოფის შთამომავლობა



ნახ. 22



შალვა სიმონის ძე ჩიგოგიძე (მეორე რიგში)
თანამებრძოლებთან ერთად


მღვდელი ესოფის ერთ-ერთი შვილი სოსო ესოფის ძე ჩიგოგიძე სამხედრო სასწავლებლის კურსანტი იყო საქართველოს დამოუკიდებლობის წლებში და 1921 წლის თებერვალში თბილისს იცავდა რუსეთის მე-11 არმიისაგან, ხოლო შვილიშვილები შალვა, ბიძინა და ოსიკო რუსეთ-გერმანიის ომში წაიყვანეს 20 წლის შემდეგ და უკვე რუსეთის მხარეზე აბრძოლეს.

ესოფ მღვდლის შთამომავალნი ამჟამად ახალშენში და თბილისში ცხოვრობენ.

XIX საუკუნის II ნახევარში ახალშენში უცხოერია ივანე ჩიგოგიძეს, რომლის შვილი გრიგოლ ივანეს ძე ჩიგოგიძე რუსეთ-გერმანიის ომში დალუპულა, ხოლო შვილიშვილი, მამის გარდაცვალების შემდეგ დაბადებული გრიგოლ გრიგოლის ძე ჩიგოგიძე (ამჟამად რეჟისორი) სხვა სოფელში და სხვის ოჯახში გაზრდილა, მაგრამ მაინც მამის და პაპის გვარი გაუგრძელებია.

ივანე ჩიგოგიძის შთამომავალნი ამჟამად თბილისში ცხოვრობენ.

ახალშენის ჩიგოგიძენი
ივანეს შთამომავლობა



ნახ. 23




ბრიბოლ ბრიბოლის ძე ჩიბოზიძე, მეუღლე ნინო,
შვილები ილიკო და ნიკა ჩიბოზიძე

XIX საუკუნეში ახალშენში უცხოერია მღვდლის, გიორგი ჩიგოგიძის ოჯახს.

ახალშენის მაცხოვრის ეკლესიის მეტრიკული ჩანაწერების მიხედვით, გიორგი მღვდლის შვილი ასევე მღვდელი მიხეილ (მიქელ) ჩიგოგიძე 1867 წელს გარდაცვლილა 45 წლის ასაკში, ამავე წელს გარდაცვლილა მისი ძმა სიმონ (ჩანაწერებში ყველგან იხსენიება როგორც „სიმონ გიორგი მღვდლის შვილი"). ძმებს თითო ვაჟი დარჩენიათ: დიმიტრი მიხეილის ძე ჩიგოგიძე (დაბ. 1862) და გიორგი სიმონის ძე ჩიგოგიძე (დაბ. 1859).


ახალშენის ჩიგოგიძენი
გიორგის შთამომავლობა



ნახ. 24

ჩიგოგიძეთა გვარის ვერც ერთმა ახალშენელმა მხარეთმცოდნემ ვერ გაიხსენა ეს სახელები. ჩვენ არ ვიცით, ვინ არიან და სად ცხოვრობენ ახალშენელი მღვდლის, გიორგი ჩიგოგიძის შთამომავალნი.

ახალშენში უცხოვრიათ სხვა ჩიგოგიძეებსაც, რომელთა სახელები საარქივო მასალებში შემორჩა და რომელთა შთამომავალნიც დღეს ახალშენში არ ჩანან.



ნახ. 25


გუთურის ჩიგოგიძენი

გურიაში ჩოხატაურის რაიონის სოფელ გუთურში ჩიგოგიძეები XIX საუკუნის I ნახევარში დასახლებულან. ისინი იყვნენ ინტაბუეთის ჩიგოგიძეთა აზნაურული შტოს წარმომადგენლები, კერძოდ, ჩიბოტლეკიეთა საგინებლის ოტია I – ის შთამომაველობას ეკუთვნოდნენ.

1873 წლის კამერალური აღწერის მასალებში გურიის სოფელ გუთურში იხსენიება აზნაური დავით ჩიგოგიძე. ეს არის ჩვენთვის უკვე ცნობილი ინტაბუეთელი აზნაური დავით იოვანეს ძე ჩიგოგიძე (დაბ. 1790–იან წ.), რომელიც ცავის სამ ვაჟთან: გლახვასთან, ლეკვანთან და ბეჟანთან ერთად ჯერ კიდევ 1840 წელს ინტაბუეთის წმინდა გიორგის ეკლესიის აღსარების მთქმელთა სიაში იხსენიება. მისი უმცროსი ვაჟი, ბეჟან დავითის ძე ჩიგოგიძე (დაბ.1830 წ.), გუთურელი აზნაურის ტარიელ ჩიგოგიძის 1848 წლის არზის დამწერად გვევლინება („არძა ესე შევეხზე და გადავწერე აზნაურმა ბეჟუკა ჩიგოგიძემ“). ინტაბუეთელი აზნაურის დავით ჩიგოგიძის ოჯახი გუთურში 1840–1848 წლებს შორის პერიოდში უნდა გადასახლებულიყო. მისი შვილის ბეჟანის შთამომაველობის შესახებ არაფერი ვიცით. მეტრიკულ ჩანაწერებში შემორჩა ცნობა ბეჟან ჩიგოგიძის ასულის, ნატალიას ნათლობის შესახებ (1867წ.).

გუთურში უცხოურია აზნაურ იესე ჩიგოგიძის შთამომაველებს. იესე დაახლოებით XVIII–XIX საუკუნეთა მიჯნაზე უნდა იყოს დაბადებული. მისი ერთ–ერთი შვილი ტარიელ იესეს ძე ჩიგოგიძე 1848 წლის არზით ჩვენთვის უკვე ცნობილია. ამავე არზაში იხსენიება იესეს მეორე შვილი, იმხანად უკვე გარდაცვლილი გიგო ჩიგოგიძე (რომელსაც ბერიძეთა ქალი ჰყოლია ცოლად). აზნაურ ჩიგოგიძეთა და აზნაურ ბერიძეთა ქორწინებითი ნათესაობა სხვა საბუთებშიც აისახა.

გუთურის ჩიგოგიძენი ჩიბოტლეკიეთა შტო (საგინებელი)
იესეს შთამომავლობა



ნახ. 26

თუმცა, მთხრობელებს ისე ახსოვთ, თითქოს ტარიელ ჩიგოგიძის შვილები: პანტელეიმონ, პაველე და იესე ყოფილიან, მაგრამ გენეალოგიური სქემა დამაჯერებლად ვერ გამოიყურება. გამოდის რომ, დაახლოებით 1820–იან წლებში ან უფრო ადრე დაბადებული ტარიელ ჩიგოგიძის შვილები 1880–იან წლებში დაბადებულან. შესაძლებელია, მთხრობელთა ხსოვნით შედგენილი გენეალოგიური ნახაზის ამ მონაკვეთში ერთი თაობა გამოტოვებულია.

იესეს ერთ–ერთი შთამომავალი იესე ჩიგოგიძე (დაბ. 1889 წ.) ოდესის უნივერსიტეტში სწავლობდა თურმე. ჩოხატაურში პირველად მას გაუხსნია აფთიაქი (ამჟამად მისი აფთიაქის ადგილზე ჩოხატაურის საავადმყოფო მდებარეობს).

გუთურელი აზნაურის, იესე ჩიგოგიძის შთამომავალნი ამჟამად გუთურში, ოზურგეთში და თბილისში ცხოვრობენ.

ქვემოხეთ–კოხნარის ჩიგოგიძენი

ოსურგეთის მაზრის ჩოხატაურის უბნის სოფელ ქვემოხეთში ჩიგოგიძეები XIX საუკუნის მეორე ნახევარში უკვე ცხოერობდნენ. 1873 წლის კამერალური აღწერის სიებში იხსენიებიან ქვემოხეთელი სახელმწიფო გლეხები: ფირან, ლუკა და მიქელ ჩიგოგიძეები. ესენი ოჯახის უფროსები არიან. ესე იგი ამ დროისათვის ქვემოხეთში ჩიგოგიძეები სამ კომლად ცხოერობდნენ. საიდან უნდა მისულიყვნენ ქვემოხეთში ჩიგოგიძენი, ამის შესახებ დანამდვილებით ვერაფერს ვიტყვით, მაგრამ თუ მათი სახელების მიხედვით ვიმსჯელებთ (უნდა აღინიშნოს, რომ XIX საუკუნეში სახელები: ფირან, ლუკა და მიქელ საერთოდ არ გვხვდება ინტაბუეთის ჩიგოგიძეებში, ხოლო ახალშენის ჩიგოგიძეებში ერთხელ გეხვდება სახელი ლუკა და ორჯერ სახელი მიქელ) შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ისინი ახალშენელ ჩიგოგიძეებთან უფრო ახლოს დგანან. თუმცა, ეს მტკიცებულებად ვერ ჩაითვლება.

დანამდვილებით ის ვიცით, რომ ქვემოხეთელი ჩიგოგიძეების ნაწილი კოხნარში და საჭამიასერზე გადასულან. ეს გადასვლა XIX საუკუნის მიწურულს მომხდარა. ისინი ყოფილან ქვემოხეთელი გლეხის, ივანე ჩიგოგიძის შთამომაელები. (იხ. ნახ. 27).


ივანე ჩიგოგიძის სამი ვაჟიდან ერთი – გროგოლი საჭამიასერზე დასახლდა, ხოლო ორნი – ანდრო და კაპიტო კოხნარში დასახლდნენ.

ანდრო ჩიგოგიძე ქართულ ჯარში მსახურობდა 1917–1920 წლებში. 1941–ში მნიშნელოვან ობიექტს ხელმძღვანელობდა ბაქო–ბათუმის ნაეთობსადენზე და რუსეთ–გერმანიის ომში გაწვევას გადაურჩა.

ივანე ჩიგოგიძის შთამომაელები ამჟამად კოხნარში და თბილისში ცხოერობენ.

კოხნარში უცხოვრია 1870-იან წლებში დაბადებულ მათე ჩიგოგიძეს, რომელიც პირველი მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ კოხნარიდან აყრილა და ოსურგეთის მაზრის სოფელ ხრიალეთში გადასახლებულა. მის შთამომავლობაზე ქვემოთ გვექნება საუბარი, რაც ხრიალეთის ჩიგოგიძეების საკითხს შეეხებით.

კოხნარის ჩიგოგიძენი
ივანეს შთამომავლობა




ნახ. 27

ერკეთის ჩიგოგიძენი

ამჟამად ჩოხატაურის რაიონის სოფელ ერკეთში მცხოვრებ გვარსა შორის ჩიგოგიძე ალარ იხსენიება, მაგრამ დოკუმენტურად დასტურდება, რომ XIX საუკუნის შუა ხანებში ამ სოფელში ასნაური ჩიგოგიძეებს ნამდვილად უცხოვრიათ.

მეტრიკული ჩანაწერების მიხედვით 1850 წელს გარდაცვლილა ერკეთელი ასნაური ნიკოლოზ სვიმონის ძე ჩიგოგიძე.

ერკეთის ჩიგოგიძენი



ნახ. 28

1873 წლის კამერალური აღწერის სიების მიხედვით ერკეთში ცხოვრობდა ასნაურ დავით ჩიგოგიძის ოჯახი.

ვერ ვიტყვით, 1873 წელს მოხსენიებული ერკეთელი ასნაური დავით ჩიგოგიძე, 1850 წელს გარდაცვლილი ერკეთელი ასნაურის ნიკოლოზ ჩიგოგიძისშვილის რა ნათესავი იყო. მათ ასნაურობას თუ გავითვალისწინებ, უსდა ვიფარაუდოთ, რომ ისინი ახლოს იდგნენ ინტაბუეთის ჩიგოგიძეთა ჩიბიტლეკიების ან ახალშენის ჩიგოგიძეთა ჭყიმეების საგინებელთან, რაც ფაქტობრივად ერთი და იგივეა.

ჩვენთვის უცნობია, თუ სად გადასახლდნენ და ვინ არიან ამჟამად ერკეთელი ასნაურების: ნიკოლოზ და დავით ჩიგოგიძეების შთამომაელები.


მაკვანეთის ჩიგოგიძენი

გურიის სოფელ მაკვანეთში დღეს ჩიგოგიძეები აღარ ცხოვრობენ, მაგრამ 1873 წლის აღწერის სიებში იხსენიება მაკვანეთელი აზნაურის ივანე ჩიგოგიძის ოჯახი. ამ ივანეს ოჯახის წევრი უნდა იყოს 1870–იან წლებში დაბადებული მაკვანეთელი დავით ჩიგოგიძე.

რამდენადაც XIX საუკუნის მეორე ნახევარში ოზურგეთის მაზრის სოფელ მაკვანეთში ჩიგოგიძეთა გვარის მხოლოდ ერთი ოჯახი ცხოვრობდა, დავით ჩიგოგიძეს აზნაურ ივანე ჩიგოგიძის სახლის შვილად მივიჩნევთ, ხოლო რადგან ივანე ჩიგოგიძის ოჯახი აზნაურთა კატეგორიას ეკუთვნოდა, საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ მაკვანეთის ჩიგოგიძენი (დავითის შთამომავალნი) ინტელიგენციის ჩიგოგიძეთა ჩიბოტლეკიების შტოს ენათესავებიან.

მაკვანეთელი დავით ჩიგოგიძის შთამომავალნი ამჟამად თბილისში ცხოვრობენ.

მაკვანეთის ჩიგოგიძენი ჩიბოტლეკიეთა შტო(საგინებელი)
დავითის შთამომავლობა



ნახ. 29



სილიბისტრო დავითის ძე ჩიგოგიძე. მეუღლე ფეოდოსია პანჩენკო



ალექსანდრე სილიბისტროს ძე ჩიგოგიძე. მეუღლე ქეთევან დადიანიძე




ვასტანგ ალექსანდრეს ძე
ჩიგოგიძე ქალიშვილ
ქეთისთან ერთად




რუსუდან ალექსანდრეს
ასული ჩიგოგიძე

ხრიალეთის ჩიგოგიძენი

1915 წელს გურიის სოფელ კოხნარიდან სოფელ ხრიალეთში (ოზურგეთის მაზრა) გადმოსახლებულა სახა'ხინო გლეხის, მათე ჩიგოგიძის მრავალრიცხოვანი ოჯახი. მათეს შთამომაველები ამჟამად ისევ ხრიალეთში ცხოვრობენ, ნაწილი ბათუმში და თბილისში დამკვიდრდნენ. ნათესაობით ისინი კოხნარ-ქვემოხეთის და საქარაულოდ. ახალშენის ჩიგოგიძეებთან უფრო ახლოს არიან, ვიდრე ინტაბუეთის ჩიგოგიძეებთან.




მათე
(დაბ. 1870-იან წ.)
ანეტა
გიორგი
(1898–1980)
პანტელეიმონ
(1903–1964)
აკაკი
(1907–1986)
კესო
ნინუცი
ელენე
ციცინო
ციალა
ტატიანა
ზინა
იური
(დაბ. 1940)
ვალოდია
(დაბ. 1943)
გენო
(დაბ. 1948)
ნინო
გოჩა
(დაბ. 1968)
გელა
(დაბ. 1971)
მაია
მარინე
მანანა
გიორგი
(დაბ. 1978)
გივი
(დაბ. 1982)
ქეთინო
(დაბ. 1998)
ვაჟა
საბა
მათე
(დაბ. 1999)

ნახ. 30




პანტელეიმონ ჭათეს ძე ჩიგოგიძე



სანდრო პანტელეიმონის ძე ჩიგოგიძე შვილი ავთანდილ ჩიგოგიძე, რძალი ნანა კიკვაძე, შვილიშვილები ია და თამარი



იური, ნიკოლოზ და გენო ჩიგოგიძეები ოჯახებით



ლაშა ნიკოლოზის ძე ჩიგოგიძე, მეუღლე ნინო ჭიღლაძე, შვილი ნიკა




მიხეილ გიორგის ძე ჩიგოგიძე



გიორგი მიხეილის ძე ჩიგოგიძე



ზინა აკაკის ასული ჩიგოგიძე, მეუღლე ლამენდო კეჭაღმაკე, დედა მარია გრიშოფა. ქმისშვილი ნინო უშრის ასული ჩიგოგიძე



ბიჯი და გოგიტა ჩიგოგიძეები მამიდაშვილთან მარინა კეჭაღმაკესთან ერთად



ვალერია აკაკის ძე ციცოშვილთან. ქალიშვილებთან მარინა და მაიკო. სიმი მის შრაშიძე



აკაკი მათეს ძე ციცოშიძის შვილიშვილები: ქეთინო და მათე ციცოშიძეები. საბა და ვაჟა გოგუაძეები

მელექედურის ჩიგოგიძენი

ოზურგეთის მაზრის სოფელ მელექედურში ჩიგოგიძეები XIX საუკუნის მეორე ნახევარში დასახლებულან. ესენი იყვნენ ჩიგოგიძეთა გვარის ჯღარკეთა საგინებლის ერთი ოჯახის წევრები.

ინტაბუეთის ღვთისმშობლის ეკლესიის 1859 წლის მეტრიკულ ჩანაწერებში სწერია, რომ საბატონო ყმას, ლაზარე გიორგის ძე ჩიგოგიძეს შეეძინა ვაჟი – გიორგი. ინტაბუეთელი გლეხი, ლაზარე ჩიგოგიძე ჯღარკეთა შტოს ეკუთვნოდა (პირობითად გიორგის შთამომავლობა). მას ექვსი შვილი ჰყავდა, ხუთი ვაჟი და ერთი ქალი. ლაზარეს ერთ–ერთი შვილის, ეროდე ჩიგოგიძის 'შთამომავალნი დღესაც ინტაბუეთში ცხოვრობენ, ხოლო მეორე 'შვილის, გიორგის (გიგოს) შთამომავალნი (იმ გიორგის, რომელიც 1859 წელს დაბადებულა ინტაბუეთში) ამჟამად ოზურგეთის რაიონის სოფელ მელექედურში ცხოვრობენ.

ოჯახის გადასახლება ინტაბუეთიდან მელექედურ'ში დაახლოებით 1860–იან წლებში უნდა მომხდარიყო. ალბათ, ბატონყმობის გაუქმების შემდეგ.


გიორგი (გიგო) ლაზარეს ძე ჩიგოგიძე ინტაბუეთ'ში დაბადებულა და მელექედურში გაზრდილა. არაფერია ცნობილი მისი ძმების: მათეს, თედოს და რაჟდენის შთამომავალთა 'შესახებ. ხოლო მისი ერთ–ერთი ძმის, ეროდეს შთამომავლები, როგორც უკვე ითქვა, ინტაბუეთ'ში ცხოვრობენ დღესაც.

თვითონ გიორგის (გიგოს) შვიდი შვილი ჰყავდა: სამი ვაჟი და ოთხი ქალი.

მისი შვილებიდან ორნი: აკაკი და ალიო'შა ჩიგოგიძეები და შვილი'შვილებიდან ერთი – ჯოლა ჩიგოგიძე რუსეთ–გერმანიის ომ'ში იბრძოდნენ.

გიორგი ჩიგოგიძის შთამომავალნი ამჟამად მელექედურში და ბათუმ'ში ცხოვრობენ.

მელექედურის ჩიგოგიძენი ჯღარკეთა შტო (საგინებელი)
ლაზარეს შთამომაელობა



ნახ. 31



ბიორგი ლაზარეს ძე
ჩიგოგიძე



ალიოშა გიორგის ძე
ჩიგოგიძე



თამაზ ალექსანდრეს ძე ჩიგოგიძე
და
თამაზ ალექსანდრეს ძე ჩიგოგიძე



გია თამაზის ძე
ჩიგოგიძე



ალექსანდრე თამაზის ძე
ჩიგოგიძე
ჟეულლე სოფიკო ტორტაძე



ჯოლა ამფილოს ძე
ჩიგოგიძე



გენოს ჯოლას ძე
ჩიგოგიძე




ამამუკა გენოს ძე
ჩიგოგიძე



ნათია გენოს ასული
ჩიგოგიძე



თენგო ამამუკას ძე
ჩიგოგიძე



სერგო აკაკის ძე
ჩიგოგიძე




ვალერი სერგოს ძე
ჩიგოგიძე




სერგო ვალერის ძე
ჩიგოგიძე



ლენა ვალერის ასული
ჩიგოგიძე



გელა სერგოს ძე
ჩიგოგიძე



სერგო გელას ძე
ჩიგოგიძე



სოფიო გელას ასული
ჩიგოგიძე

ოზურგეთის ჩიგოგიძენი

ჩიგოგიძეები ოზურგეთშიც XIX საუკუნის მეორე ნახევარში დამკვიდრებულან, ისინი აზნაურ მაქსიმე გიორგის ძე ჩიგოგიძის შთამომავალნი არიან და ინტაბუეთის ჩიგოგიძეთა ჩიბოტლეკიეთა შტოს მესამე სანათესაოს, პირობითად იესეს შთამომაველობას ენათესავებიან.


1808 წელს ინტაბუეთში დაბადებულა აზნაური მაქსიმე გიორგის ძე ჩიგოგიძე, რომელიც ბიძამისის, აზნაურ პეტრე ჩიგოგიძის ოჯახთან ერთად იხსენიება ქუთაისის თავადაზნაურთა დეპუტატების საკრებულოს 1868 წლის, ჩვენთვის უკვე ცნობილ დადგენილებაში.

მისი შვილები გიორგი და ვასილ ჩიგოგიძეები ოზურგეთში დასახლდნენ. ძმებს შორის დიდი ასაკობრივი სხვაობა ყოფილა. უფროსი ძმა გიორგი (დაბ. 1845 წ.) მამასთან და მამის ბიძაშვილებთან ერთად „აზნაურობაში დამტკიცებული" იქნა სემოხსენებული დადგენილებით, ხოლო უმცროსი ძმა ვასილი (დაბ. 1866წ) არც კი იხსენიება. შესაძლოა იმ დროისათვის, როდესაც იმპერატორი ჩიგოგიძეთა საკითხს განიხილავდა (1866 წლის 27 იენისი) იგი დაბადებული არ იყო, მაგრამ რადგანაც მამამისი, მაქსიმე ჩიგოგიძე აზნაური იყო, წოდება მასზეც უნდა გავრცელებულიყო.

აზნაურ გიორგი მაქსიმეს ძე ჩიგოგიძეს შვიდი შვილი ჰყავდა: ორი ვაჟი და ხუთი ქალი. მისი ერთ–ერთი შვილი, ნოე ჩიგოგიძე რუსეთ–გერმანიის ომში დაიღუპა.

აზნაურ ვასილ მაქსიმეს ძე ჩიგოგიძეს ხუთი შვილი ჰყავდა: სამი ვაჟი და ორი ქალი. მისი შვილები: კაკილო და მიხეილ ჩიგოგიძეები ციმბირის საბჭოთა ბანაკებში დაიღუპნენ. (მიხეილს თბილისის და მოსკოვის უნივერსიტეტები ჰქონდა დამთავრებული). ვასილის მესამე ვაჟი, კლავდიუს ჩიგოგიძე ოზურგეთში ცნობილი

ოზურგეთის ჩიგოგიძენი, ჩიბოტლეკიეთა შტო (საგინებელი)
მაქსიმეს შთამომავლობა



ნახ. 32

ექიმი იყო, ხოლო კლავდიუსის შვილი, რეჟისორი ვასილ ჩიგოგიძე წლების განმავლობაში ოზურგეთის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი იყო და ახლაც ქართული კულტურის სამსახურში დგას.


აზნაურ მაქსიმე ჩიგოგიძის შთამომავლები ამჟამად ისევ ოზურგეთში ცხოვრობენ.




მიხეილ ვასილის ძე ჩიგოგიძე




კლავდიუს ვასილის ძე ჩიგოგიძე



ვასილ კლავდიუსის ძე
ჩიგოგიძე




ვასილ კლავდიუსის ძე ჩიგოგიძის ოჯახი
მეშვლე ქეთევანი და შვილები სალომე და მისხილ



დავით გიორგის ძე
ჩიგოგიძე


გიორგი დავითის ძე
ჩიგოგიძე



გიორგი დავითის ძე
ჩიგოგიძე



თამუნა დავითის ასული
ჩიგოგიძე



ნახ. 33

გადმოცემით, ოსურგეთელები ყოფილან ჩოხატაურში ტრაგიკულად დაღუპული ექიმი ივანე ჩიგოგიძე და მისი შვილები გენერალ-მაიორი ნიკოლოზ ივანეს ძე ჩიგოგიძე და გენერალ-მაიორი გიორგი ივანეს ძე ჩიგოგიძე. ორივე ძმა რუსეთ-გერმანიის ომის მონაწილეა.

მამის გარდაცვალების შემდეგ ნიკოლოზ და გიორგი ჩიგოგიძეები დედამ რუსეთში (სამშობლოში) წაიყვანა, იქ გაიზარდნენ, იქ გახდნენ გენერლები და იქ დარჩნენ. მათი შთამომაქლების



გიორგი ივანეს ძე ჩიგოგიძე



ნიკოლოზ ივანეს ძე ჩიგოგიძე


შესახებ არაფერი ვიცით. ექიმ ივანე ჩიგოგიძეს ძმა ჰყავდა, პროვიზორი ალექსანდრე ჩიგოგიძე, რომელსაც ერთი ქალი დარჩენია.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ოზურგეთში ცხოვრობენ ჩიგოგიძეები, რომლებიც წარმოშობით არ არიან ჩიგოგიძეები. XX საუკუნის 20-იან წლებში ოზურგეთში იმერეთის სოფელ ბანოჯადან გადმოსახლდა ანტონ თედორეს ძე ჩოგოვაძე (დაბ. 1890 წ.), რომელიც მისი შთამომაელების თქმით, სრულიად უმიზეზოდ, („ისე უბრალოდო") ჩიგოგიძედ დაწერილა. „ისე უბრალოდ" გვარს არ იცვლიან. იმ კაცს რადგან იმერეთიდან გადასახლების მიზეზი ქონდა – გვარის შეცვლის მიზეზიც ექნებოდა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იმერელ ჩოგოვაძეებში არსებობს გადმოცემა მათი წინაპრების თითქოსდა აფხაზეთიდან მოსულობის შესახებ. ორი ძმა გამოქცეულა მკვლელობის გამო, იმერეთში დასახლებულანო, თითქოს მათი გვარი ჩიგოგიძე ყოფილაო (სხვა ვერსიით მათი ძველი გვარი ჩოგბა ყოფილა). იმერეთში გვარი დაუმალავთ და ჩოგოვაძეებად დაწერილანო. ეს ზეპირი გადმოცემაა, მაგრამ აფხაზეთში ჩიგოგიძეთა გვარი XIX ს. შუა ხანებში დოკუმენტურად დასტურდება. 1843 წლის მეტრიკულ ჩანაწერებში აფხაზეთის სოფ. კვიტოულში (დღევანდელი სოფ. კუტოლი, ოჩამჩირის რ-ნი) იხსენიებიან ბათაყვა ჩიგოგინძე და ქუთუ ჩიგოგინძე. ხოლო 1861 წლის ჩანაწერებში აღნიშნულია, რომ სოფ. მორკვილას გარდაცვლილა ისლამ სოფუჯის ძე ჩიგოგიძე და იგი სოფ. კვიტოულში დაუკრძალავთ. (ცსსა. ფ. 489, ან. 6, საქმე №1513, ეთნოგრაფ ანსორ სიჭინავას ინფორმაცია).

ანტონ ჩიგოგიძის (ჩოგოვაძის) ძმების: ივანეს, რაუდენის და თეოფილეს შთამომაელები დღესაც იმერეთის სოფელ ბანოჯაში ცხოვრობენ და დღესაც ჩოგოვაძეებად იწერებიან.

ანტონ ჩიგოგიძის (ჩოგოვაძის) შთამომაელნი ამჟამად ოზურგეთში და თბილისში ცხოვრობენ. ისინი ჩიგოგიძის გვარს ატარებენ, მაგრამ არც ჩოგოვაძეებთან ნათესაობას იეიწყებენ.

ოზურგეთის ჩიგოგიძენი (ჩიგოვაძენი)



ნახ. 34



დარეჯან ანტონის ასული
ჩიგოგიძე



ეთერ რევაზის ასული
ჩიგოგიძე

საჭილაოს ჩიგოგიძენი

ქვემო სამეგრელოში, სენაკის მაზრის სოფელ საჭილაოში (ამჟამად აბაშის რაიონის სოფ. მარანი) ჩიგოგიძეები XIX საუკუნის II ნახევარში დასახლებულან. საჭილაოს ჩიგოგიძეთა ერთ ნაწილში არსებობდა გადმოცემა, თითქოს მათი წინაპრები სამურზაყანოდან წამოსულან და გვარად ანჩაბაძეები ყოფილან. თითქოს ჯერ ვაკე იმერეთში დასახლებულან და ჩიჯავაძეებად დაწერილან, მერმე იქიდანაც აყრილან და ქვემო სამეგრელოში დასახლებულან. აქ ჩიგოგიძეებს უკვე უცხოერიათ და ეს მოსულებიც ახლა ჩიგოგიძეებად დაწერილან.

ვინ იცის, რამდენად მართალია ეს გადმოცემა, მაგრამ ამ ამბის მთხრობელნი იმასაც ამბობენ, რომ საჭილაოს ჩიგოგიძეთაგან სოგი, სამურზაყანოში, ბედიის ეკლესიაში დაიარებოდა თურმე სალოცავად.


იოსებ და სტეფანე ჩიგოგიძენი ძმები ყოფილან. ვაჭრობდნენ და შეძლებულადაც უცხოერიათ. იოსებს ხუთი ვაჟი ჰყოლია და როგორღაც ხუთივეს თავი დაუღწევია 1914 წლის ომში გაწვევისაგან. სტეფანეს ერთი ვაჟი ჰყავდა და ისიც ომში წაუყვანიათ. 1941 წლის ომში იოსების ოთხი შვილიშვილი გაიწვიეს: აკაკი ჩიგოგიძე, ძმები იოსებ და გიგლა ჩიგოგიძენი და ალექსანდრე ჩიგოგიძე. (იხ. ნახ. 35).

იოსებ და სტეფანე ჩიგოგიძეების შთამომავალნი ამჟამად საჭილაოში, ასპინძაში, თბილისში და კრასნოდარში ცხოვრობენ.

საჭილაოში ცხოვრობდა რუსეთ–გერმანიის ომის კიდევ ერთი მონაწილე. 1898 წელს გურიის სოფელ ახალშენში დაბადებული ერმალო ჩიგოგიძე.

ახალშენის ჩიგოგიძეებში სახელი ერმალო ორჯერ მეორდება ჭყიმეთა საგინებელში (ერმალო ნიკოლოზის ძე ჩიგოგიძე დაბ. 1891 წელს, რომელიც 1937 წელს დახვრიტეს და ერმალო პარმენის ძე ჩიგოგიძე დაბ. 1918 წელს, რომელიც რუსეთ–გერმანიის ომში დაიღუპა). შესაძლებელია, ეს ახალშენში დაბადებული და საჭილაოში გადასახლებული ერმალო ჩიგოგიძე ახალშენის ჩიგოგიძეების ჭყიმეთა შტოს ეკუთვნოდა.

საჭილაოს ჩოგოვიძენი
ერმალოს შთამომავლობა




ნახ. 36


ერმალო ჩოგოვიძის შთამომავალნი ამჟამად თბილისში ცხოვრობენ.

XIX საუკუნეში საჭილაოში ცხოვრობდა სოლომონ ჩოგოვიძის ოჯახიც, რომელიც შემდეგ სამტრედიაში გადასახლდა. ამ ოჯახის შთამომავალთა შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი, რომელსაც სამტრედიის ჩოგოვიძეთა გენეალოგიას შევეხებით. სოლომონის ძმის, ანტონ ჩოგოვიძის შთამომავალნი საჭილაოში დარჩენილან.

საჭილაოს ჩოგოვიძენი
ანტონის შთამომავლობა




ნახ. 37


(სახელი უცნობია)
იოსები
(დაბ. 1850-იან წ.)
გარსევან
სიმონ
გიორგი
(1874–1946 წ.)
მიხეილ
თამარ
(1901–1982)
ლუბა
(დაბ. 1905)
თინა
ნინო
(1910–1989)
ქეთევან
(1911–1963)
ცაცა
(დაბ. 1924)
აკაკი
(დაბ. 1921)
იოსებ
(1914–1986)
გოგლა
(1919–1942)
ნანი
ლალი
გია
(1944–1984)
თამაზ
მაიკო
თეა
სოსო
(დაბ. 1978)

საჭილაოს ჩიგოგიძენი

იოსების და სტეფანეს შთამომავლობა



ნახ. 35



ალექსანდრე ირაკლის ძე
ჩიგოგიძე



თამარ გარსევანის ასული
ჩიგოგიძე



რუსუდან ალექსანდრეს
ასული
ჩიგოგიძე



რევაზ ირაკლის ძე
ჩიგოგიძე



ნუგზარ ვლადიმერის ასული
ჩიგოგიძე



ბესარიონ ვლადიმერის ძე
ჩიგოგიძე



თამაზ ბესარიონის ძე
ჩიგოგიძე

საჯავახოს ჩიგოგიძენი

ვაკე-იმერეთის სოფელ საჯავახოში ჩიგოგიძეებს XIX საუკუნის I ნახევარში უკვე უცხოვრიათ. ასეთი დასკვნის საფუძველს იძლევა 1851 წლის მეტრიკულ ჩანაწერებში შემორჩენილი შემდეგი ცნობა: „ს. საჯავახოს მცხოვრები ჩიგოგიძე მიქელ იოვანეს ძე მართლმადიდებელი აღსარებისა, პირველითა ქორწინებითა ცოლად ირთავს ამავე სოფელს მცხოვრების დავით კვინტრაძის ასულს მარიამს ასევე პირველ ქორწინებულს. საიდუმლო აღასრულა მღვდელმა პეტრე გიორგის ძე შანიძემ. თავმდებნი იყვნენ სასიძოს მხრივ გლახუნა გიორგის ძე ზაქარეიშვილი და მახარობელი იოვანეს ძე ჩიგოგიძე."

XIX საუკუნის შუა ხანებში საჯავახოში კიდევ ერთი ჩიგოგიძე იხსენიება – მაქსიმე იოვანეს ძე ჩიგოგიძე.

საჯავახოს ჩიგოგიძენი



ნახ. 38

ვინ იცის, იქნებ საჯავახოელი მიქელ (მიხეილ) და მაქსიმე ჩიგოგიძეები ძმები იყვნენ. მიქელ იოვანეს ძე ჩიგოგიძე დაახლოებით 1820-იან წლებში უნდა დაბადებულიყო, ხოლო მისი მამა იოვანე 1790-იან წლებში დაბადებულად შეიძლება მივიჩნიოთ.

გურიის სოფელ ახალშენის მაცხოვრის ეკლესიის მეტრიკული ჩანაწერებში ორჯერ იხსენიება პიროვნება, რომელსაც მიქელი ჰქვია, იოვანეს შვილია და გვარადაც ჩიგოგიძეა (1862 წ. მიქელ იოვანეს ძე ჩიგოგიძეს შეეძინა ასული ალათა; 1872წ. გარდაიცვალა მიქელ იოვანეს ძე ჩიგოგიძე).


თუ საჯავახოში მცხოვრები 1851 წელს დაოჯახებული მიქელ იოვანეს ძე ჩიგოგიძე და 1872 წელს ახალშენის ეკლესიის გალავანში დასაფლავებული მიქელ იოვანეს ძე ჩიგოგიძე ერთი და იგივე პიროვნებაა, რომელიც ვთქვათ, საჯავახოში ცხოვრობდა, მაგრამ ახალშენის ეკლესიის მრევლს ეკუთვნოდა (რაც საკმაოდ შესაძლებელია), მაშინ საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ საჯავახოელი ჩიგოგიძეები ახალშენიდან ყოფილან გადასახლებულნი.

ჩვენთვის არაფერია ცნობილი საჯავახოელი მიქელ, მახარობელი და მაქსიმე ჩიგოგიძეების ამჟამინდელი შთამომავლების შესახებ.

სამტრედიის ჩიგოგიძენი

XX საუკუნის დამდეგს ქვემო-სამეგრელოს სოფელ საჭილაოდან სამტრედიაში გადმოსახლდა ნოე სოლომონის ძე ჩიგოგიძის ოჯახი. მათი უახლოესი ნათესაენი (იოანე ანტონის ძე ჩიგოგიძის ოჯახი) საჭილაოში დარჩნენ.

სამტრედიის ჩიგოგიძენი
ნოეს შთამომავლობა



ნახ. 39




ვახტანგ ნოეს ძე
ჩიგოგიძე



ნოე ვახტანგის ძე
ჩიგოგიძე

წარმოშობით სამტრედიიდან არის ამჟამად თბილისში მცხოვრები ივანე ჩიგოგიძის ოჯახიც.


სამტრედიის ჩიგოგიძეები
თადეოზის შთამომავლობა



ნახ. 40



თადეოზ ივანეს ძე
ჩიგოგიძე



ივანე თადეოზის ძე
ჩიგოგიძე



ნაირა თადეოზის
ასული ჩიგოგიძე



ცისანა თადეოზის
ასული ჩიგოგიძე



რუსუდან ივანეს
ასული ჩიგოგიძე

კახეთ–ქიზიყის ჩიგოგიძენი


ჩიგოგიძეთა გვარის ძველი ბუდე გურიაშია და დღევანდელი ჩიგოგიძეები იმერეთში იცხოვრებენ, სამეგრელოში თუ კახეთში, მაინც გურულებად რჩებიან.

XIX საუკუნის შუა ხანებში ქიზიყის სოფელ ვაქირში სკოლაში სამუშაოდ მისულა და მერე იქვე დასახლებულა ახალგაზრდა აზნაური იასე ჩიგოგიძე. დღეს მისი შთამომავლები წინაპართა პირველსაცხოვრისად გურიის სოფელ ინტაბუეთს ასახელებენ, ხოლო რამდენადაც იასე ჩიგოგიძე ნამდვილად აზნაური იყო, შეგვიძლია ის და მისი შთამომავლობა ანუ ჩიგოგიძეთა კახეთ–ქიზიყის შტო ინტაბუეთის ჩიგოგიძეთა ჩიბოტლეკიების საგინებელს მივაკუთვნოთ.

ჩიგოგიძეთა კახეთ–ქიზიყის შტოს ეკუთვნოდა კონსერვატორი–ის პროფესორი, კომპოზიტორი ნიკოლოზ სპირიდონის ძე ჩიგოგიძე, რომელმაც დიდი ამაგი დასდო ქართული მუსიკალური ფოლკლორის შესწავლის საქმეს. ნიკოლოზ სპირიდონის ძე ჩიგოგიძე დაკრძალულია თბილისში, დიდუბის საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში (ზ. ბაბუნაშვილი, თ. ნოზაძე, მამულიშვილთა საფანე, თბ. 1994, გვ. 380).

იასე ჩიგოგიძის შთამომავლები ამჟამად: წნორში, ყვარელში, თელავში, ზესტაფონში და თბილისში ცხოვრობენ.

კახეთ–ქიზიყის ჩიგოგიძენი, ჩიბოტლეკიეთა შტო (საგინებელი)
იასეს შთამომავლობა



ნახ. 41

ჩიგოგიძეთა გვარის განსახლება

ოდითგანვე არსებობდნენ ისტორიული, სოციალური თუ ეკონომიკური ფაქტორები, რომლებიც ადამიანებს საცხოვრებელი ადგილის გამოცვლისაკენ უბიძგებდა. მაგალითისათვის გამოდგებოდა თუნდაც ის გარემოება, რომ მოსახლეობა (ვთქვათ, ერთი სოფლის ან ერთი ხეობის მოსახლეობა) დროთა განმავლობაში მრავლდება, მოსახლეობის რიცხვი მატულობს, ხოლო სამოსახლო ტერიტორია იგივე რჩება, ანუ დროთა განმავლობაში მოსახლეობის მატებასთან ერთად სოფლის თუ ხეობის ფართობი არ მატულობს. ჭარბი მოსახლეობა იძულებულია, ეძიოს და აითვისოს ახალი საცხოვრებელი გარემო.

მრავალრიცხოვანი „დიდი ოჯახის“ გაყრა და განაყრების ახალ საცხოვრებელ ადგილზე გადასვლა საერთოდ მოსახლეობის და კერძოდ, ყოველი გვარის გამრავლების თანმხლები ბუნებრივი პროცესია. საქართველოში უკლებლივ ყველა გვარს (გვარ-მოდგინილობას) გააჩნია „ბუდე“ – და შემდგომი განსახლების პროცესის შედეგად შექმნილი „განსახლების არეალი“.

რა თქმა უნდა, არც ჩიგოგიძეთა გვარს უცხოვრია სრული შემადგენლობით და უძრავად თავის პირველად ბუდეში – ინტაბუეთში. ამ სოფელში ამჟამად ჩიგოგიძეთა გვარის მცირე ნაწილი შემორჩა. გვარის დიდი უმრავლესობა განსახლებულია საქართველოს სხვადასხვა მხარეში და საზღვარგარეთაც.

თუ ჩიგოგიძეთა გვარის განსახლების პროცესს დროსა და სივრცეში განვიხილავთ, დაახლოებით ასეთი სურათი დაიხატება:

XVIII საუკუნე – ინტაბუეთიდან ჩიგოგიძეთა ნაწილი გადასახლდა ახალშენში და შესაძლებელია იმერეთში, თავად აგიაშვილთა მამულში;

XIX საუკუნე – ინტაბუეთიდან გუთურში, ჩოხატაურში, ერკეთში, მაკვანეთში, მელექედურში, ოსურგეთში თბილისში, ვაქირში (ქიზიყი);

ახალშენიდან – ქვემოხეთში, ჩოხატაურში, სურებში, საჭილაოში (სამეგრელო), საგვახოში (იმერეთი);

ქვემოხეთიდან – კოხნარში, საჭამიასერზე;

XX საუკუნე – ინტაბუეთიდან – ოსურგეთში, ბათუმში, გორში, მარნეულში, თბილისში;

ახალშენიდან – ლესაში, ლაითურში, ბათუმში, ფოთში, სამტრედიაში, თბილისში;

სურებიდან – გოგოლეისუბანში, შუაგანახლებაში, ძიმითში :

გოგოლეისუბნიდან – ქუთაისში;

კოხნარიდან – ხრიალეთში, თბილისში;

ოსურგეთიდან – ბათუმში, თბილისში;

საჭილაოდან – ორპირში (ტყიბულის ზონა), სამტრედიაში, თბილისში;

ორპირიდან – ასპინძაში, დმანისში;

დმანისიდან – თბილისში;

სამტრედიიდან – თბილისში;

ბათუმიდან – თბილისში;

ვაქირიდან – ყვარელში, თელავში;

თელავიდან – ზესტაფონში, შორაპანში, თბილისში.

საქართველოს ფარგლებს გარეთ ჩიგოგიძეები ძირითადად XX საუკუნეში განსახლდნენ. განსაკუთრებით ბოლო ათწლეულში გაძლიერდა საქართველოდან მიგრაცია. ამჟამად ჩიგოგიძეები ცხოვრობენ: თურქეთში, რუსეთში, უკრაინაში, გერმანიაში, ჰოლანდიაში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, კანადაში, ყაზახეთში, იაპონიაში და ალბათ სხვა ქვეყნებში.

ჩიგოგიძეთა გვარისშვილნი

ნიჭი – უფალსთა მიერ საბოძვარი (საბა).

ნიჭი – წინაპართა გამოცდილება, რომელიც უნარის სახით გადაეცემა შთამომავლობას. ჩიგოგიძეთა გვარში ძველთაგანვე იყვნენ ასნაურებიც და სამღვდელონიც. მათ საქმე ჰქონდათ წიგნებთან, გალობასთან, ომში და მშვიდობაში ეკალებოდათ რაიმეს გაძღოლა, ორგანიზება და ასე შემდეგ. თაობების ცვლასთან ერთად ეს გარემოება. გარკვეული უნარ–ჩვევების ჩამოყალიბებას უწყობდა ხელს.

ჩიგოგიძეთა გვარში ნიჭი ტრიალებს. მიუხედავად იმ დიდი რეპრესიებისა და ომებით გამოწვეული მსხვერპლისა, რაც ამ გვარმა გადაიტანა მთელ საქართველოსთან ერთად, ჩიგოგიძეებს მაინც საკმაოდ მრავალრიცხოვანი ინტელიგენცია ჰყავდათ და დღესაც ჰყავთ.

ღმერთის და ერის სამსახურში გამოჩნდნენ ჩიგოგიძეთა გვარისშვილნი:

წინამძღვარი დაეით ჩიგოგიძე (იხსენიება 1815 წლის საბუთში, ქუთაისი);

მღვდელი გრიგოლ დაეითის ძე ჩიგოგიძე (იხსენიება 1860 წლის საბუთში, რაჭა);

მღვდელ–მონაზონი სერაპიონ ჩიგოგიძე (იხსენიება XIX საუკუნის ხელნაწერი წიგნის ანდერძ–მინაწერში);

მღვდელი იოვანე იესეს ძე ჩიგოგიძე (დაბ. 1780–იან წლებში, ინტაბუეთის ჩიგოგიძენი, ჩიბოტლეკიეთა შტო);

მღვდელი გიორგი ჩიგოგიძე (დაბ. 1790–იან წლებში, ახალშენის ჩიგოგიძენი);

მღვდელი იობი ოტიას ძე ჩიგოგიძე (1801–1870წწ. ინტაბუეთის ჩიგოგიძენი, ჩიბოტლეკიეთა შტო, ოტია II–ის შთამომაელობა);

მღვდელი ანტონ პეტრეს ძე ჩიგოგიძე (დაბ. 1820 წ. ინტაბუეთის ჩიგოგიძენი, ჩიბოტლეკიეთა შტო, იესეს შთამომაელობა);

მღვდელი მიქელ გიორგის ძე ჩიგოგიძე (1822–1867 წწ. ახალშენის ჩიგოგიძენი);

მღვდელი ერმალაოზ იობის ძე ჩიგოგიძე (დაბ. 1842 წ. ინტაბუეთის ჩიგოგიძენი, ჩიბოტლეკიეთა შტო, ოტია II–ის შთამომაელობა);

დიაკვანი ხალაპრე იობის ძე ჩიგოგიძე (დაბ. 1844 წ. ინტაბუეთის ჩიგოგიძენი, ჩიბოტლეკიეთა შტო, ოტია II–ის შთამომაელობა);

დიაკვანი ესოფი (იოსებ) ჩიგოგიძე (დაბ. 1850–იან წლებში, ახალშენის ჩიგოგიძენი);

ბერი მაქსიმე იესეს ძე ჩიგოგიძე (დაბ. 1850–იან წლებში, მოკლეს 1906 წელს შიო–მღვიმის მონასტერში, ახალშენის ჩიგოგიძენი, ჭყიმეთა შტო, იოვანეს შთამომაელობა);

მღვდელი იობი ერმალაოზის ძე ჩიგოგიძე (დაბ. 1870 წ. ინტაბუეთის ჩიგოგიძენი, ჩიბოტლეკიეთა შტო, ოტია II–ის შთამომაელობა);

დიაკვანი ფილიპე ჩიგოგიძე (დაბ. 1890–იან წლებში, ახალშენის ჩიგოგიძენი);

მღვდელი პროკოფი ნიკოლოზის ძე ჩიგოგიძე (1889–1937 წწ. ახალშენის ჩიგოგიძენი, ჭყიმეთა შტო, იოვანეს შთამომაელობა, ბათუმი);

მღვდელი იოვანე (აეთანდილ) გიორგის ძე ჩიგოგიძე (ახალშენის ჩიგოგიძენი, ფილიპეს შთამომაელობა, თბილისი);

ექიმი ლევან დავითის ძე ჩიგოგიძე (დაბ. 1825 წ. ინტაბუეთის

ჩიგოგიძენი, ჩიბოტლეკიეთა შტო, ოტია I–ის შთამომავლობა);

ექიმი ვალერიან ნოეს ძე ჩიგოგიძე (1887–1937 წწ. ინტაბუეთის ჩიგოგიძენი, ჩიბოტლეკიეთა შტო, ოტია I–ის შთამომავლობა, თბილისი);

ექიმი ვერა ნოეს ასული ჩიგოგიძე (1892–1934 წწ. ინტაბუეთის ჩიგოგიძენი, ჩიბოტლეკიეთა შტო, ოტია I–ის შთამომავლობა);

სამხედრო ექიმი, პოლკოვნიკი ვახტანგ ნიკოლოზის ძე ჩიგოგიძე (1917–1972 წწ. ინტაბუეთის ჩიგოგიძენი, ჩიბოტლეკიეთა შტო, ოტია I–ის შთამომავლობა, თბილისი);

ექიმი ევგენია ლეონიდეს ასული ჩიგოგიძე (ინტაბუეთის ჩიგოგიძენი, ჩიბოტლეკიეთა შტო, ოტია I–ის შთამომავლობა);

ექიმი ნიკოლოზ ვახტანგის ძე ჩიგოგიძე (დაბ. 1953 წ. ინტაბუეთის ჩიგოგიძენი, ჩიბოტლეკიეთა შტო, ოტია I–ის შთამომავლობა, თბილისი);

ექთანი ვასასი ალექსანდრეს ასული ჩიგოგიძე (ინტაბუეთის ჩიგოგიძენი, ჩიბოტლეკიეთა შტო, ოტია II –ის შთამომავლობა);

ექთანი ანეტა ალექსანდრეს ასული ჩიგოგიძე (ინტაბუეთის ჩიგოგიძენი, ჩიბოტლეკიეთა შტო, ოტია II –ის შთამომავლობა);

ექიმი ქეთევან იაგორის ასული ჩიგოგიძე (1921–1996 წწ. ინტაბუეთის ჩიგოგიძენი, ჩიბოტლეკიეთა შტო, ოტია II –ის შთამომავლობა, თბილისი);

ექიმი ტატიანა იაგორის ასული ჩიგოგიძე (ინტაბუეთის ჩიგოგიძენი, ჩიბოტლეკიეთა შტო, ოტია II –ის შთამომავლობა, თბილისი);

ექიმი, პროფესორი ნიკოლოზ ავთანდილის ძე ჩიგოგიძე (დაბ.1948 წ.

ინტაბუეთის ჩიგოგიძენი, ჩიბოტლეკიეთა შტო, ოტია II–ის შთამომავლობა, მოსკოვი);

ექიმი დავით ავთანდილის ძე ჩიგოგიძე (დაბ. 1954წ. ინტაბუეთის ჩიგოგიძენი, ჩიბოტლეკიეთა შტო, ოტია II–ის შთამომავლობა, თბილისი);

ექიმი ვალერიან გიტოს ძე ჩიგოგიძე (დაბ. 1890–იან წლებში, გუთურის ჩიგოგიძენი, ჩიბოტლეკიეთა ოზურგეთში გადასული შტო, იესეს შთამომავლობა, ოზურგეთი);

ექიმი ივანე ჩიგოგიძე (ოზურგეთის ჩიგოგიძენი);

ექიმი კლავდიუს ვასილის ძე ჩიგოგიძე (1921–1997 წწ. ინტაბუეთის ჩიგოგიძენი, ჩიბოტლეკიეთა ოზურგეთში გადასული შტო, მაქსიმენის შთამომავლობა, ოზურგეთი);

ექიმი ირაკლი იასონის ძე ჩიგოგიძე (დაბ. 1903 წ. ინტაბუეთის ჩიგოგიძენი, ჩიბოტლეკიეთა კახეთში გადასული შტო, იესეს შთამომავლობა, ყვარელი);

ექიმი ელეონორა პლატონის ასული ჩიგოგიძე (1930–1995 წწ. ინტაბუეთის ჩიგოგიძენი, ჩანთჩაარაკუნეთა შტო, ნოეს შთამომავლობა);

ექიმი გური შალვას ძე ჩიგოგიძე (ახალშენის ჩიგოგიძენი, იესეს შთამომავლობა, თბილისი);

ექიმი ხათუნა ჯუმალის ასული ჩიგოგიძე (დაბ. 1967 წ. ახალშენის ჩიგოგიძენი, ბრუეთა შტო, ბიჭიას შთამომავლობა, თბილისი);

ექიმი სიმონ როსტომის ძე ჩიგოგიძე (ახალშენის ჩიგოგიძენი, ბრუეთა შტო, ბიჭიას შთამომავლობა, ბორჯომი);

ექიმი დოდო ვალერიანის ასული ჩიგოგიძე (ახალშენის ჩიგოგიძენი, ბრუეთა შტო, ბიჭიას შთამომავლობა);

ექიმი ელენე ერმალოს ასული ჩიგოგიძე (1924–1998 წწ. ახალშენის ჩიგოგიძენი, ჭყიმეთა შტო, იოვანეს შთამომავლობა);

ექიმი ლია ერმალოს ასული ჩიგოგიძე (დაბ. 1929 წ. საჭილაოს ჩიგოგიძენი);

ექიმი თამაზ იოსების ძე ჩიგოგიძე (დაბ. 1947 წ. საჭილაოს ჩიგოგიძენი, იოსების შთამომაელობა, ასპინძა);

ექიმი ლალი აკაკის ასული ჩიგოგიძე (საჭილაოს ჩიგოგიძენი, სიმონის შთამომაელობა);

ექიმი ნანი აკაკის ასული ჩიგოგიძე (საჭილაოს ჩიგოგიძენი, სიმონის შთამომაელობა);

ექიმი ლევან გიორგის ძე ჩიგოგიძე (1919–1943 წწ. ინტაბუეთის ჩიგოგიძენი, ჩიბოტლეკიეთა შტო, ფარსადანის შთამომაელობა, თბილისი);

ექიმი გიორგი ტარიელის ძე ჩიგოგიძე (დაბ. 1968 წ. ინტაბუეთის ჩიგოგიძენი, ჩიბოტლეკიეთა შტო, ფარსადანის შთამომაელობა, თბილისი);

ექიმი, პროფესორი თეიმურაზ გალაქტიონის ძე ჩიგოგიძე (დაბ. 1951 წ. ინტაბუეთის ჩიგოგიძენი, ჩიბოტლეკიეთა ლა'შის ღელეში გადასული შტო, ბართლომეს შთამომაელობა, თბილისი);

პედაგოგი, თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიის დირექტორი ნიკოლოზ ნოეს ძე ჩიგოგიძე (1882–1938 წწ. ინტაბუეთის ჩიგოგიძენი, ჩიბოტლეკიეთა შტო, ოტია I–ის შთამომაელობა, თბილისი);

პედაგოგი, ბიოლოგი, გენეტიკოსი ნინო ნოეს ასული ჩიგოგიძე (1901–1978 წწ. ინტაბუეთის ჩიგოგიძენი, ჩიბოტლეკიეთა შტო, ოტია I–ის შთამომაელობა, თბილისი);

პედაგოგი ნათელა ნიკოლოზის ასული ჩიგოგიძე (დაბ. 1927 წ. ინტაბუეთის ჩიგოგიძენი, ჩიბოტლეკიეთა შტო, ოტია I–ის შთამომაელობა, თბილისი);

პედაგოგი ლიანა ლეონიდეს ასული ჩიგოგიძე (ინტაბუეთის

ჩიგოგიძენი, ჩიბოტლეკიეთა შტო, ოტია I–ის შთამომავლობა);

პედაგოგი მაია ოთარის ასული ჩიგოგიძე (ინტაბუეთის ჩიგოგიძენი, ჩიბოტლეკიეთა შტო, ოტია I–ის შთამომავლობა);

პედაგოგი მაია რესოს ასული ჩიგოგიძე (ინტაბუეთის ჩიგოგიძენი, ჩიბოტლეკიეთა შტო, ოტია II –ის შთამომავლობა);

პედაგოგი ნანა კლავდიუსის ასული ჩიგოგიძე (1949–1989 წწ. ინტაბუეთის ჩიგოგიძენი, ჩიბოტლეკიეთა ოზურგეთში გადასული შტო, მაქსიმენის შთამომავლობა);

პედაგოგი კლარა კლავდიუსის ასული ჩიგოგიძე (ინტაბუეთის ჩიგოგიძენი, ჩიბოტლეკიეთა ოზურგეთში გადასული შტო, მაქსიმენის შთამომავლობა);

პედაგოგი, დოცენტი თინათინ გიორგის ასული ჩიგოგიძე (დაბ. 1927 წ. ინტაბუეთის ჩიგოგიძენი, ჩიბოტლეკიეთა შტო, ფარსადანის შთამომავლობა, თბილისი);

პედაგოგი ბორის ნოეს ძე ჩიგოგიძე (1923–1992 წ. ინტაბუეთის ჩიგოგიძენი, ჩანთქაარაკუნეთა შტო);

პედაგოგი მალაქი ალექსის ძე ჩიგოგიძე (დაბ 1879 წ. ახალშენის ჩიგოგიძენი, ჭყიმეთა შტო, იოვანეს შთამომავლობა);

პედაგოგი მარგალიტა მალაქის ასული ჩიგოგიძე (დაბ. 1922 წ. ახალშენის ჩიგოგიძენი, ჭყიმეთა შტო, იოვანეს შთამომავლობა);

პედაგოგი ნათელა მალაქის ასული ჩიგოგიძე (დაბ. 1924 წ. ახალშენის ჩიგოგიძენი, ჭყიმეთა შტო, იოვანეს შთამომავლობა);

პედაგოგი ელენე იპატის ასული ჩიგოგიძე (დაბ. 1924 წ. ახალშენის ჩიგოგიძენი, ბრუეთა შტო, ბიჭიას შთამომავლობა);

პედაგოგი მიხეილ იოსების ძე ჩიგოგიძე (1876–1950 წწ. საჭილაოს

ჩიგოგიძენი, იოსების შთამომავლობა);

პედაგოგი ირაკლი იოსების ძე ჩიგოგიძე (1885–1959 წწ. საჭილაოს ჩიგოგიძენი, იოსების შთამომავლობა);

პედაგოგი ქეთევან გიორგის ასული ჩიგოგიძე (1911–1963 წწ. საჭილაოს ჩიგოგიძენი, იოსების შთამომავლობა);

პედაგოგი ვლადიმერ სტეფანეს ძე ჩიგოგიძე (1896–1972 წწ. საჭილაოს ჩიგოგიძენი, სტეფანეს შთამომავლობა);

პედაგოგი თამარ გარსევანის ასული ჩიგოგიძე (1901–1982 წწ. საჭილაოს ჩიგოგიძენი, იოსების შთამომავლობა);

პედაგოგი სოლომონ ნოეს ძე ჩიგოგიძე (გარდ. 1986 წ. სამტრედიის ჩიგოგიძენი);

პედაგოგი ვერიკო სოლომონის ასული ჩიგოგიძე (სამტრედიის ჩიგოგიძენი);

პედაგოგი იასე ჩიგოგიძე (დაბ. 1820–იან წწ. ინტაბუეთის ჩიგოგიძენი, ჩიბოტლეკიეთა კახეთის შტო, ს. ვაქირი);

პედაგოგი იასონ იასეს ძე ჩიგოგიძე (ინტაბუეთის ჩიგოგიძენი, ჩიბოტლეკიეთა კახეთის შტო, ს. ვაქირი);

პედაგოგი, პროფესორი შალვა ევტიხის ძე ჩიგოგიძე (1918–1992 წწ. ახალშენის ჩიგოგიძენი, იესეს შთამომავლობა, თბილისი);

პედაგოგი, დოცენტი შალვა საქარიას ძე ჩიგოგიძე (1908–1994 წწ. ინტაბუეთის ჩიგოგიძენი, ჩიბოტლეკიეთა კახეთის შტო, იესეს შთამომავლობა, თბილისი);

მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ალექსანდრე ჭოლას ძე ჩიგოგიძე (ინტაბუეთის ჩიგოგიძენი, ჩიბოტლეკიეთა ლაშის ღელეში გადასული შტო, ბარსელომეს შთამომავლობა, კანადა);

მეტალურგი ოთარ ვალერიანის ძე ჩიგოგიძე (1927–1992 წწ. ინტაბუეთის ჩიგოგიძენი, ჩიბოტლეკიეთა შტო, ოტია I–ის შთამომავლობა, თბილისი);

ეკონომისტი ბესარიონ ნოეს ძე ჩიგოგიძე (1889–1976 წწ. ინტაბუეთის ჩიგოგიძენი, ჩიბოტლეკიეთა შტო, ოტია I–ის შთამომაელობა, თბილისი);

ფიზიკა–მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი ზურაბ ნიკოლოზის ძე ჩიგოგიძე (1928–1989 წწ. ინტაბუეთის ჩიგოგიძენი, ჩიბოტლეკიეთა შტო, ოტია I–ის შთამომაელობა, თბილისი);

ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატი ლიდა პროკოფის ასული ჩიგოგიძე (დაბ. 1916 წ. ახალშენის ჩიგოგიძენი, ჭყიმეთა შტო, იოვანეს შთამომაელობა);

ფსიქოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი ქეთევან ზურაბის ასული ჩიგოგიძე (დაბ. 1952 წ. ინტაბუეთის ჩიგოგიძენი, ჩიბოტლეკიეთა შტო, ოტია I–ის შთამომაელობა, თბილისი);

ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, დიდოსტატი ჭადრაკში კახაბერ შალვას ძე ჩიგოგიძე (ახალშენის ჩიგოგიძენი, იესეს შთამომაელობა, თბილისი);

ფსიქოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი ქეთევან ლუარსაბის ასული ჩიგოგიძე (დაბ. 1952 წ. ინტაბუეთის ჩიგოგიძენი, ჩიბოტლეკიეთა შტო, ოტია I–ის შთამომაელობა, თბილისი);

არქიტექტორი ელენე ნიკოს ასული ჩიგოგიძე (1912–1992 წწ. ინტაბუეთის ჩიგოგიძენი, ჩიბოტლეკიეთა შტო, ოტია I–ის შთამომაელობა, თბილისი);

არქიტექტორი, დოცენტი გიორგი გიორგის ძე ჩიგოგიძე (1916–1993 წწ. ინტაბუეთის ჩიგოგიძენი, ჩიბოტლეკიეთა შტო, ფარსადანის შთამომაელობა, თბილისი);

არქიტექტორი ტარიელ გიორგის ძე ჩიგოგიძე (დაბ. 1937 წ. ინტაბუეთის ჩიგოგიძენი, ჩიბოტლეკიეთა შტო, ფარსადა-

ნის შთამომაელობა, თბილისი);

არქიტექტორი თინათინ გიორგის ასული ჩიგოგიძე (დაბ. 1963 წ. ინტაბუეთის ჩიგოგიძენი, ჩიბოტლეკიეთა შტო, ფარსადანის შთამომაელობა, თბილისი);

არქიტექტორი ბიძინა შალვას ძე ჩიგოგიძე (ახალშენის ჩიგოგიძენი, ესოფის შთამომაელობა);

ისტორიკოსი ლია ვიქტორის ასული ჩიგოგიძე (დაბ. 1940 წ. ინტაბუეთის ჩიგოგიძენი, ჩიბოტლეკიეთა შტო, იესეს შთამომაელობა, თბილისი);

არქეოლოგი ქეთევან ალექსანდრეს ასული ჩიგოგიძე (საჭილაოს ჩიგოგიძენი, იოსების შთამომაელობა, თბილისი);

მწერალი თამაზ გერონტის ძე ჩიგოგიძე (დაბ. 1947 წ. ინტაბუეთის ჩიგოგიძენი, ჩიბოტლეკიეთა შტო, ოტია II –ის შთამომაელობა, ზენუბანი);

მთარგმნელი ელენე ვახტანგის ასული ჩიგოგიძე (დაბ. 1929 წ. ინტაბუეთის ჩიგოგიძენი, ჯღარკეთა შტო, სტეფანეს შთამომაელობა, თბილისი);

მთარგმნელი მანანა გიორგის ასული ჩიგოგიძე (დაბ. 1952 წ. ინტაბუეთის ჩიგოგიძენი, ჩიბოტლეკიეთა შტო, ფარსადანის შთამომაელობა, მოსკოვი);

მთარგმნელი ქეთევან ჩიგოგიძე (თბილისი);

მხატვარი გიორგი ვახტანგის ძე ჩიგოგიძე (დაბ. 1956 წ. ინტაბუეთის ჩიგოგიძენი, ჩიბოტლეკიეთა შტო, ოტია I–ის შთამომაელობა, თბილისი);

მხატვარი, პედაგოგი ეკა ტარიელის ასული ჩიგოგიძე (დაბ. 1961 წ. ინტაბუეთის ჩიგოგიძენი, ჩიბოტლეკიეთა შტო, ფარსადანის შთამომაელობა, თბილისი);

ხელოვნებათმცოდნე ქეთევან დავითის ასული ჩიგოგიძე (დაბ. 1973) ინტაბუეთის ჩიგოგიძენი, ჩიბოტლეკიეთა შტო, ოტია II –

ის შთამომაელობა, თბილისი);

მუსიკოსი, პიანისტი ნინო ვახტანგის ასული ჩიგოგიძე (დაბ. 1963 წ. ინტაბუეთის ჩიგოგიძენი, ჩიბოტლეკიეთა შტო, ოტია I–ის შთამომაელობა, თბილისი);

მუსიკოსი, პიანისტი ეთერ რევაზის ასული ჩიგოგიძე (დაბ. 1953 წ. ოზურგეთის ჩიგოგიძენი, ანტონის შთამომაელობა);

მუსიკოსი, პიანისტი გულიკო გიორგის ასული ჩიგოგიძე (ხრიალეთის ჩიგოგიძენი, მათეს შთამომაელობა);

მუსიკოსი, არფისტი, კონსერვატორიის დოცენტი ნუნუ ნიკოლოზის ასული ჩიგოგიძე (დაბ. 1935 წ. ინტაბუეთის ჩიგოგიძენი, ჩიბოტლეკიეთა კახეთის შტო, იასეს შთამომაელობა, თბილისი);

მუსიკოსი, პოლიფონისტი, კონსერვატორიის პროფესორი ნიკოლოზ სპირიდონის ძე ჩიგოგიძე (1892–1962 წწ. ინტაბუეთის ჩიგოგიძენი, ჩიბოტლეკიეთა კახეთის შტო, იასეს შთამომაელობა, თბილისი);

კინორეჟისორი გრიგოლ გრიგოლის ძე ჩიგოგიძე (დაბ. 1942 წ. ახალქალაქის ჩიგოგიძენი, ივანეს შთამომაელობა, თბილისი);

თეატრის რეჟისორი ვასილ კლავდიუსის ძე ჩიგოგიძე (დაბ. 1952 წ. ინტაბუეთის ჩიგოგიძენი, ჩიბოტლეკიეთა ოზურგეთის შტო, მაქსიმეს შთამომაელობა, ოზურგეთი);

ტელერეჟისორი ხათუნა ტრისტანის ასული ჩიგოგიძე (დაბ. 1965 წ. ინტაბუეთის ჩიგოგიძენი, ჩანთეჩაარაკუნეთა შტო, ნოეს შთამომაელობა, თბილისი);

ქორეოგრაფი დარეჯან ანტონის ასული ჩიგოგიძე (დაბ. 1934 წ. ოზურგეთის ჩიგოგიძენი, ანტონის შთამომაელობა, თბილისი);

ქორეოგრაფი გიორგი მიხეილის ძე ჩიგოგიძე (დაბ. 1966 წ. ხრიალეთის ჩიგოგიძენი, მათეს შთამომაელობა).

სპორტის ოსტატი სროლაში რევაზ ანტონის ძე ჩიგოგიძე (ოზურგეთის ჩიგოგიძენი, ანტონის შთამომაელობა);

სპორტის ოსტატი ფიგურულ სრიალში სალომე გურამის ასული ჩიგოგიძე (დაბ. 1976წ. საჭილაოს ჩიგოგიძენი, ერმალიოს შთამომაელობა);

რუსეთის არმიის პოლკოვნიკი ნოე ლევანის ძე ჩიგოგიძე (1851–1930წწ. ინტაბუეთის ჩიგოგიძენი, ჩიბოტლეკიეთა შტო, ოტია I–ის შთამომაელობა, თბილისი);

საბჭოთა შინაგანი ჯარის პოლკოვნიკი გრიგოლ ივანეს ძე ჩიგოგიძე (გარდ. 1942წ. ახალშენის ჩიგოგიძენი);

საბჭოთა არმიის გენერალ–მაიორი გიორგი ივანეს ძე ჩიგოგიძე (ოზურგეთის ჩიგოგიძენი, მოსკოვი);

საბჭოთა არმიის გენერალ–მაიორი ნიკოლოზ ივანეს ძე ჩიგოგიძე (ოზურგეთის ჩიგოგიძენი, მოსკოვი);

ქართული ჯარის გენერალი მირონ ვიქტორის ძე ჩიგოგიძე (დაბ. 1956 წ. ინტაბუეთის ჩიგოგიძენი, ჩიბოტლეკიეთა შტო, იესეს შთამომაელობა, თბილისი).

სია არასრულია.

ჩიგოგიძეთა რაოდენობა

ბოლო სტატისტიკური მონაცემებით (1995 წ.) ჩიგოგიძეთა გვარი საქართველოში დაახლოებით 180 ოჯახს ითვლის. როგორც უკვე ითქვა, ჩიგოგიძეთა საგვარეულო ბუდეში, გურიის სოფელ ინტაბუეთში ჩიგოგიძეთა 16 ოჯახი შემორჩა, ხოლო იქვე ახლოს სოფელ ახალშენში – 12. კიდევ დაახლოებით ათი ოჯახი ჩიგოგიძეთა გვარისა გაფანტულნი არიან ჩოხატაურში და ჩოხატაურის რაიონის სოფლებში: გუთურში, გორაბერეჟოულში, გოგოლეისუბანში, შუაგანახლებაში, ქვემოხეთში, კოხნარში, ეანში და სენუბანში.

ჩიგოგიძეთა გვარის დაახლოებით 25 ოჯახი ცხოვრობს ოსურგეთში და ოსურგეთის რაიონის სოფლებში: მელექედურში, ნატანებში, ლაითურში და ხრიალეთში. გარდა ამისა, ჩიგოგიძეები ცხოვრობენ ლანჩხუთის რაიონის სოფელ ლესაში, აბაშაში და აბაშის რაიონის სოფელ საჭილაოში (დღევანდელი მარანი), სამტრედიაში და სამტრედიის რაიონის სოფელ გორმაღალში. ამ ადგილებში ერთად ჩიგოგიძეთა 20-ოდე ოჯახი დაითვლება. ამას ემატება ბათუმში თავმოყრილ ჩიგოგიძეთა დაახლოებით 15 ოჯახი, ქუთაისში დაახლოებით 5 და თბილისში დაახლოებით 70 ოჯახი. უმნიშვნელო რაოდენობით ჩიგოგიძეები გეხვდებიან: ფოთში, შორაპანში, ასპინძაში, გორში, მარნეულში, რუსთავში, ყვარელში და სხვა.

საქართველოში ჩიგოგიძეთა დიდ-პატარის, ქუდოსან-მანდილოსნის საერთო რიცხვი 700-ს აჭარბებს.

ღმერთმა ამრაველოს გვარი ჩიგოგიძეთა.

სარჩევი

გურია და გურულები 9
ჩიგოგიძეთა გვარსახელი 19
ჩიგოგიძეთა გვარმოდენილობა 21
ჩიგოგიძეთა გვარის სტრუქტურა 59
ინტაბუეთის ჩიგოგიძენი 61
ჩიბოტლეკიენი 61
ჯლარკენი 95
ტურაწველიენი 102
ჩანთეჩაარაკუნენი 107
ახალშენის ჩიგოგიძენი 111
ჭყიმენი 111
ბრუენი 120
ხარჩოყლაპიენი 127
გუთურის ჩიგოგიძენი 142
ქვემოხეთ–კოხნარის ჩიგოგიძენი 145
ერკეთის ჩიგოგიძენი 147
მაკვანეთის ჩიგოგიძენი 148
ხრიალეთის ჩიგოგიძენი 152
მელექედურის ჩიგოგიძენი 158
ოზურგეთის ჩიგოგიძენი 165
საჭილაოს ჩიგოგიძენი 174
საჯავახოს ჩიგოგიძენი 180
სამტრედიის ჩიგოგიძენი 182
კახეთ–ქიზიყის ჩიგოგიძენი 186
ჩიგოგიძეთა გვარის განსახლება 188
ჩიგოგიძეთა გვარისშვილნი 190
ჩიგოგიძეთა რაოდენობა 201